

BP საქართველოში
მდგრადი განვითარების ანგარიში 2014

bp.com/sustainability



BP – უფრო ძლიერი,
უფრო უსაფრთხო

ანგარიშის შინაარსი

წინამდებარე ანგარიში აღწერს კომპანია BP-ის საქმიანობას საქართველოში 2014 წელს და შეიცავს ინფორმაციას 2015 წელს დაგეგმილი მოვლენების შესახებ. ანგარიში მომზადებულია „BP საქართველოს“ მიერ. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია შეეხება საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებშიც კომპანია ოპერატორის ფუნქციას ასრულებს.

ანგარიშში BP-ისა და „BP ჯგუფის“ ხსენებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, და გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშში სხვაგვარად არის მითითებული, BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა ერთობლივად არის წარმოდგენილი.

აგრეთვე, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, ნაცვალსახელები „ჩვენ“ და „ჩვენი“ გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

თანხები მოყვანილია აშშ დოლარებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტაა მითითებული.

გამაფრთხილებელი განცხადება

BP საქართველოს „2014 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“ შეიცავს გარკვეულ განცხადებებს BP-ის სამომავლო ბიზნესთან, საქმიანობისა და სტრატეგიასთან დაკავშირებით.

თავისი არსით, სამომავლო საქმიანობასა და გეგმებთან დაკავშირებული განცხადებები გარკვეულ რისკებსა და უზუსტობებს შეიცავს, რადგან ისინი ეხება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოხდება ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ფაქტობრივი საბოლოო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარად პროგნოზირებული შედეგებისგან, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა

დამოკიდებული, მათ შორის: მრეწველობის ამ დარგის ნედლეულით მომარაგების ღირებულება, მოთხოვნის ღირებულება და ფასწარმოქმნა, წარმოებაში შექმნილი პრობლემები, ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა მოცემულ რეგიონში; ცვლილებები ქვეყნების კანონმდებლობებში; ვალუტის კურსის მერყეობა; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, საზოგადოების განსხვავებული მოლოდინი და შეცვლილი ბიზნესგარემო; კონკურენტების საქმიანობა, სტიქიური უბედურებები და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები; ომები, ტერორისტული და დივერსიული აქტები; აგრეთვე სხვა ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე დოკუმენტში ან BP-ის 2014 წლის ანგარიშში და ფორმა 20-F-ში. მდგრადი

განვითარების სფეროში გაწეული საქმიანობის ნებაყოფლობითი ანგარიშგების ფარგლებში, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია გარკვეული მასალები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომლებმაც, კომპანიის შეხედულებით, შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიონ მდგრადი განვითარების მარცენა ბეჭედი და/ან, საგარეოდ, მნიშვნელობა მიენიჭათ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების თვალსაზრისით. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული მასალები არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული იმავე სიტყვასიტყვით მნიშვნელობებით, რომლებიც მათ ენიჭებათ BP p.l.c.-ის მიერ გამოცემულ სხვა დოკუმენტებსა და ანგარიშებში.



ფოტო გარეკანზე

1768 კმ. სიგრძის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი ახალი ათასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საინჟინრო მიღწევაა. მისი დამხმარე საშუალებები მოიცავს რვა ნავთობსაქაჩ სადგურს (ორი აზერბაიჯანში, ორი საქართველოში, ოთხი თურქეთში). ფოტოზე ასახულია მილსადენის I ნავთობსაქაჩი სადგური, რომელიც გარდაბანში მდებარეობს.

სარჩევი



ზოგადი მიმოხილვა

- 2** შესავალი სიტყვა კომპანიის ხელმძღვანელობისგან
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი 2014 წელს განვითარებულ მოვლენებსა და მომავლის გეგმებს მიმოხილავს.

- 3** მიღწევები და ამოცანები
4 ჩვენი პროგრესი 2014 წელს

ძირითადი სფეროები

- 6** როგორ ვმუშაობთ
BP საქართველოში; კომპანიის მმართველობითი და მენეჯმენტის სისტემები; უსაფრთხოების ნორმები და ადამიანის უფლებები; კომპანიის ადგილობრივი წვლილი.
- 12** ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები
ჩვენი პერსონალის შემადგენლობა; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ჩვენი ღირებულებები და BP-ის ქცევის კოდექსი.
- 22** შრომის უსაფრთხოება
შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები; შრომის უსაფრთხოების სფეროს მართვა; რისკების მართვა და რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე.
- 30** გარემოს დაცვა
გარემოს დაცვის მენეჯმენტი; ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მართვა; ველური ბუნების დაცვა
- 34** საზოგადოება
ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან; სოციალური ინვესტირების პროექტები; სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა; კომპანიის მიერ წამოწყებული მდგრადი განვითარების პროექტების საფუძვლიანი განხილვა.

ჩვენი ანგარიშები და საქმიანობის მაჩვენებლები

- 44** დაინტერესებული მხარეები და ანგარიშგება
46 BP საქართველო ციფრებში



ზოგადი მიმოხილვა

როგორ ვმუშაობთ

ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები

შრომის უსაფრთხოება

გარემოს დაცვა

საზოგადოება

ჩვენი ანგარიშები

BP საქართველო ციფრებში

BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა



“

საკმაო საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ვიამაყოთ ჩვენი მიღწევებით და ასევე დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენ წარმატებით შევძლებთ მომავალი გამოწვევების დაძლევას.

”

კრის შლიტერი

BP საქართველოსთვის 2014 წელი კიდევ ერთი წარმატებული წელი იყო მაჩვენებლების და წინსვლის თვალსაზრისით. კომპანია საქმიანობას წარმართავდა უსაფრთხოდ, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გარემოს დაცვასა და სოციალურ ვალდებულებებს, მიღწევის ექსპლუატაცია კი შეუფერხებლად მიმდინარეობდა. კომპანიამ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტზე, რომელიც სამხრეთის გაზის დერეფნის სტრატეგიულ პროექტთა კონგლომერატის ნაწილია და გაზის მოპოვებასა და გატარებას ითვალისწინებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიზნესის კარგი მაჩვენებლები უსაფრთხო ექსპლუატაციასა და მოკიდებული. ჩვენი უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლები შემთხვევითობით არ არის განპირობებული. ჩვენ გულმოდგინედ ვიმუშავებთ და მუდმივად ვიყავით ორიენტირებული თანამშრომლებისა და ტექნოლოგიური პროცესის უსაფრთხოებაზე. კომპანიამ და კონტრაქტორებმა წარმატებას მიაღწიეს პოტენციურად სახიფათო სიტუაციების შესახებ ანგარიშების თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ჩვენ მიერ პოტენციური საგანგებო სიტუაციების შესახებ მონაცემებისა და შენიშვნების გულმოდგინედ გამოვლენისა და შეტყობინების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ჩვენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მზადყოფნის გამართული სისტემა გვაქვს, რაც უზრუნველყოფილია სპეციალური მომზადების მქონე, ნიჭიერი გუნდით, რომელმაც არაერთი წვრთნა გაიარა, მათ შორის, ორი ტრანსასამღვრო ტრენინგი.

ჩვენ მნიშვნელოვანი წინსვლა გვქონდა საექსპლუატაციო პროცესის უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით. უდავოა, რომ საექსპლუატაციო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შემთხვევა თავიდან უნდა იქნეს აცილებული და გამოძიებული. 2014 წელს მომხდარი შემთხვევები შედარებით უმნიშვნელო იყო, რაც შემთხვევათა შესახებ ღია შეტყობინებისა და მათი საფუძვლიანი გამოძიების დასტურია. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენიდან ნავთობის არალეგალური გადასაყვანის ორი მცდელობა გამოვლინდა; პირველი მათგანი გამოვლინდა მილსადენის შიგნიდან ინსპექტირებისას; მეორე კი ცხენოსანი პატრულის მიერ ინსპექტირებისას. ორივე შემთხვევაში მაგისტრალი უსაფრთხოდ და ოპერატიულად შეკეთდა.

ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოში ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციის საიმედოობის მაღალი სტანდარტებით. ჩვენი სამი მილსადენის საიმედოობის საშუალო მაჩვენებელმა 99%-ს გადააჭარბა, ხოლო ცალკეულ თვეებში თითოეული მათგანის საიმედოობამ 100%-ს მიაღწია. ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩვენ შეუზღუდავად ვახორციელებდით ბაზრებისთვის განკუთვნილი ნავთობისა და გაზის ნაკადების გატარებას საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანია ოპერირებდა შიგა და გარე მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მაჩვენებლები საიამაყოს საფუძველს იძლევა და მეტყველებს ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების სამუშაოების, პროექტების, სისტემის მართვასთან დაკავშირებული და დამხმარე სამსახურების მაღალ ხარისხზე.

SCPX პროექტის სამუშაოები უკვე სრული სვლით მიმდინარეობს, ამასთან ყველა ძირითადი კონტრაქტი გაფორმდა 2014 წელს, ხოლო სამუშაო გუნდები უკვე მობილიზებული და ამოქმედებულია. სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია გარდაბანთან მდებარე საკომპრესორო 1-ლ სადგურზე და წალკის მიმდებარე მე-2 საკომპრესორო სადგურზე მისასვლელი ახალი გზის მოსაწყობად. ფოთის ნავსადგურში ყოველთვიურად გემებით შემოდის SCPX-თვის განკუთვნილი მიწების 2000 სექცია, საიდანაც წარ-

მოებს მათი გადაზიდვა რკინიგზით აზერბაიჯანისა და საქართველოს მიწების საწყობებში. გარდა ამისა, ბათუმის პორტიდან, რომელიც აქტიურად იღებს შაშ დენიმ 2-სთვის განკუთვნილი მიწების სარტყელებსა და სხვა მასალებს, გადაზიდვები წარმოებს ბაქოში.

აღნიშნული აქტივობები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნება მთავრობასა და ადგილობრივ თემებთან, სადაც კომპანია ოპერირებს და ახალ პროექტებს ახორციელებს. ჩვენი სხვადასხვა პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი თემების განვითარებასა და შესაძლებლობების ზრდას, რაც ქმნის მყარ საფუძველს კომპანიის საქმიანობის მხარდაჭერისთვის. ამასთან ჩვენ პროექტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს მდგრად განვითარებაში.

ჩვენ გამოწვევებით სავსე და რთულ გარემოში გვიწევს მუშაობა, სადაც ყველა ჩვენთვის გასაგებია უწყვეტი გაუმჯობესება ბიზნესისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებების, რისკების მართვის, უსაფრთხოების ნორმების დაცვის, წინდახედული ინვესტიციებისა და მომგებიანად ოპერირების გზით. დანახარჯების მართვა ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს საბოლოო ანგარიშში დადებით ზემოქმედებას ახდენს საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების განვითარებაზე და ერთგვარ გამოცდას წარმოადგენს როგორც საკუთრივ ჩვენი თანამშრომლებისთვის, ისე იმ მრავალ კონტრაქტორისა და დანერგვებული მხარისთვის, რომლებიც მხარს გვიჭერენ და სარგებელს იღებენ ჩვენი საქმიანობიდან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ თანამშრომლებს და ბიზნეს-პარტნიორებს საკმარისი შესაძლებლობები და უნარები გააჩნიათ იმისთვის, რომ გამოწვევებს ეფექტურად გაუმკლავდნენ და განაგრძონ ბიზნესის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

2015 და მომდევნო წლები BP-სთვის საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანია საქმიანობის უსაფრთხოდ, საიმედოდ, კანონმდებლობის შესაბამისად და რენტაბელურად გაგრძელება და პროექტის განხორციელება. მიმდინარე წელს ჩვენ მივიღოთ რამდენიმე გადაწყვეტილება, მათ შორის უმსხვილესი SCPX პროექტის ჩათვლით, რომელიც ახალ ეტაპზე გადადის, რაც ობიექტებისა და მილსადენის სრული მოცულობით მშენებლობას გულისხმობს. SCPX-ს ექსპლუატაციისთვის მზადყოფნა უფრო თვალსაჩინო გახდება მას შემდეგ, რაც პროექტის ფარგლებში მშენებარე საკომპრესორო სადგურების, წნევის დამწვევი ობიექტის, დამატებითი ახალი მილსადენის და წნევის გამბოში სადგურის ოპერირებას დაიწყებს ჩვენი მიერ მომზადებული საქართველოს მოქალაქეებით დაკომპლექტებული მუშახელი. ამჟამად ჩვენთვის უაღრესად საინტერესო და ამაღლებელი პერიოდია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლები და კონტრაქტორები პროდუქტიულად იმუშავებენ და წარმატებით შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს..

დასასრულს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენთან მუშაობს და მხარს უჭერს BP საქართველოს, 2014 წლის წარმატებებში შეტანილი წვლილისათვის. საკმაო საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ვიამაყოთ ჩვენი მიღწევებით და ასევე დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენ წარმატებით შევძლებთ მომავალი გამოწვევების დაძლევას.

კრის შლიტერი
გენერალური მენეჯერი, BP საქართველო
2015 წლის მაისი

მიღწევები და ამოცანები

ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს 2014 წელს და ჩვენს სამომავლო ამოცანებს.

მიღწევები

ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები: გასული წელი მიმდინარე საქმიანობის უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ ერთი წარმატებული წელი იყო. მხოლოდ ორი უმნიშვნელო შემთხვევა აღინიშნა იმ პირობებში, როდესაც წლის განმავლობაში ნამუშევარი დროის ხანგრძლივობამ 3.9 მილიონი საათი შეადგინა და ჩვენმა ავტორანსპორტმა 7.7 მილიონ კილომეტრზე მეტი გაიარა ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებული ტრავმის გარეშე. ადგილი ქონდა ერთ პოტენციურად სახიფათო შემთხვევას, რომელიც ოდნავ განსხვავებულ გარემოებებში შესაძლოა გაცილებით სერიოზული შედეგებით დასრულებულიყო. აღნიშნული შემთხვევიდან ჩვენ სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ (იხ. გვერდი 23).

მილსადენის საიმედოობა: საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სამივე მილსადენის ეფექტურმა სიმძლავრემ, რომელთა ექსპლუატაციას ჩვენ ვახორციელებთ, საშუალოდ 99% შეადგინა. ჩვენ განუხრელად ვინარჩუნებთ ეფექტური სიმძლავრის აღნიშნულ მაჩვენებელს, რაც ჭეშმარიტად მსოფლიო დონის მაჩვენებელია (იხ. გვერდი 7).

სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის განხორციელების პროცესი: დაწყებულია სამუშაოები სამხრეთის გაზის დერეფნის საქართველოს სექციის პროექტებზე. გამსადენისა და მიწისზედა ობიექტების პროექტირების, დამზადების და მშენებლობის ყველა ძირითადი კონტრაქტი შეთანხმებული და ამოქმედებულია. SCPX პროექტი საქართველოში უმსხვილეს უცხოურ ინვესტიციას წარმოადგენს (იხ. გვერდი 19).

პოზიტიური ურთიერთობები: ურთიერთობები საქართველოს მთავრობასთან, სხვა ოფიციალურ პირებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან უაღრესად პოზიტიურია. მიწის შესყიდვების და ნებართვების გაცემის პროცესი, რომელიც წინ წაწრებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, წარმატებით დასრულდა, რამაც შესაძლებელი გახდა სამშენებლო სამუშაოების დაგეგმილ პერიოდში დაწყება და პროექტის შესრულების გრაფიკის დაცვა (იხ. გვერდი 21).

ამოცანები

SCPX პროექტის შესრულება: სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მასშტაბის მქონე პროექტის განხორციელება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს – ეს არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირებას საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოებში, შესყიდვებში, პარალელური მილსადენების და ნაგებობების მშენებლობაში არსებული სისტემის გამტარუნარიანობის გასაზრდელად. იმისათვის, რომ პროექტი გრაფიკის მიხედვით განხორციელდეს, საჭიროა სხვადასხვა გამოწვევის დაძლევა და იმავდროულად არსებული მილსადენების, შავი ზღვის ტერმინალისა და მრავალი დამხმარე ობიექტის უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაციის შენარჩუნება (იხ. გვერდი 19).

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება: მიუხედავად იმისა, რომ SCPX-ის მასშტაბის პროექტი მსხვილი საერთაშორისო კომპანიების გამოცდილებას საჭიროებს, ჩვენი მიზანია, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, ადგილობრივი კონტრაქტორი კომპანიების და ადგილობრივი მუშახელის გამოყენება, რაც ხელს უწყობს უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას ადგილობრივ დონეზე. ჩვენი მიზანია, რომ SCPX-ს ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შეყვანის პირველი დღიდანვე ექსპლუატაციის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი საქართველოს მოქალაქეებმა შეადგინონ. ადგილობრივი პერსონალის შერჩევა და მომზადება ისე, რომ მათ მიერ განხორციელებული სამუშაო მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად შესრულდეს, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მაგრამ ეს გამოწვევა ჩვენთვის ნაცნობია და ჩვენ გვჯერა, რომ დასახული ამოცანა შესრულდება (იხ. გვერდი 13).

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ფიზიკური მთლიანობა: აღნიშნული მილსადენი განსაკუთრებულ გამოწვევებს ქმნის მისი ასაკის, დიზაინის, მშენებლობის სტანდარტისა და მარშრუტის გამო. ჩვენ განუხრელად ვინარჩუნებთ კომპანიის მაღალ სტანდარტებს ამ მილსადენთან დაკავშირებით. პარტნიორებთან ერთად ჩვენ განვიხილავთ WREP-ის სექციების განახლების გეგმებს. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში შეიგეგმება საბჭოთა კავშირის დროინდელი ძველი მილები. ამასთან დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს ზოგიერთ მონაკვეთზე ნავთობსადენის მარშრუტის ცვლილებას, რაც მიზნად ისახავს გეოლოგიური მოვლენებით – მეწყერით, ეროზიითა და დატბორვით გამოწვეული საფრთხეების შემცირებას და მილსადენის მონაკვეთის გატანას ახალგორის რაიონის საზღვრებს გარეთ (იხ. გვერდი 8).

ჩვენი ღირებულებები

BP-ის ახალი ღირებულებების დანერგვა საქართველოში 2011 წლის ბოლოდან დაიწყო. 2012 წლის განმავლობაში ჩვენ ჩაატარეთ ახალი ღირებულებების გასაცნობი კამპანია თანამშრომლებისათვის, რათა უკეთ წარმოგვეჩინა მათი მნიშვნელობა თითოეული თანამშრომლის ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს ღირებულებები უკვე ასახულია BP-ის „ქცევის კოდექსში“, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

უსაფრთხოება

ჩვენი საქმიანობის საფუძველი ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაა. ჩვენ ასევე ვზრუნავთ გარემოს უსაფრთხოებაზე და ალერსული ვაქცეს ვალდებულება, რომ უსაფრთხოდ მოვამარაგოთ მსოფლიო ენერგორესურსებით.

პატივისცემა

ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით გარემოს, რომელშიც ვსაქმიანობთ. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ქვეყნის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებით. ჩვენ საკუთარ თავს ვუდგენთ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ვიქცევით იმგვარად, რომ ირგვლივ მყოფთა ნდობა დავიმსახუროთ.

სრულყოფილება

ჩვენს ბიზნესს თან ახლავს პოტენციური საფრთხეები და ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ, მაქსიმალურად დავხვეწოთ ჩვენი ოპერაციები და თანმიმდევრულად და რაციონალურად გმართოთ ჩვენი ბიზნესი. ჩვენ შედმიწვევით ვიცავთ და ვასრულებთ იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც ჩვენი კომპანიისთვის დავადგინეთ.

გამბედაობა

ხშირად, საუკეთესო შედეგების მიღწევა ჩვენგან მოითხოვს გამბედაობას, რომ გავუმკლავდეთ სირთულეებს, ღიად გამოვხატოთ ჩვენი აზრი და არ გადავუხვიოთ ჩვენს პრინციპებს. ჩვენ მუდამ ვცდილობთ, რომ ემოქმედოთ სწორად. ვეძებთ ახალ ხედვებს და დახმარების თხოვნის არ გვეშინია.

ერთი გუნდი

რა ინდივიდუალური ღირსებებიც არ უნდა გავაჩინდეს თითოეულ ჩვენგანს, ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით მეტს მივაღწევთ. ჩვენ გუნდის ინტერესებს პირად წარმატებაზე წინ ვაყენებთ და ვზრუნავთ მთელი გუნდის პოტენციალის ამაღლებაზე.

იხილეთ მეტი ვებ-მისამართზე: bp.com/values

ჩვენი პროგრესი 2014 წელს

ანგარიშის ამ თავში ასახულია დღემდე მიღწეული შედეგები და ჩვენი სამომავლო გეგმები.

რა დავისახეთ მიზნად

რას მივაღწიეთ

რას ვაპირებთ

დამატებითი ინფორმაცია

როგორ გმუშაობთ



საქართველოში ჩვენი საქმიანობა მთლიანად მიესადაგება BP-ის მიდგომებს მდგრადი განვითარების საკითხების მიმართ, ჩვენს სტრატეგიას, ღირებულებებს, მენეჯმენტის სისტემებსა და პროცესებს.

- გავაგრძელებთ ჩვენი მოქმედი ობიექტების უსაფრთხო და ეფექტიან ექსპლუატაციას. წვლილს შევიტანთ საქართველოს ეკონომიკაში და სარგებელს მოვუტანთ ადგილობრივ მოსახლეობას.
- გავაგრძელებთ სამხრეთ კავკასიური გამსაღწერის სისტემის გაფართოების პროექტის განხორციელებას, გავზრდით ადგილობრივ კომპანიებზე დახარჯული ინვესტიციების მოცულობას და მათი მონაწილეობის წილს მომავალ პროექტებში.
- გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ასამაღლებლად.

ჩვენი მიერ დახარჯილი

333 მლნ

ბარელის მოცულობის ნახშირ-
წალბადების ტრანსპორტირება
განხორციელდა.

ადგილობრივი კომპანიებისთვის
ჩარიცხულმა თანხამ კაშში

72 მლნ

აშშ დოლარი შეადგინა.

ჩვენი მოსაღწერის ექსპლუატაციის
ეფექტურობის საშუალო მაჩვენებელია

99% -ს გადააჭარბა.



- შევინარჩუნებთ ექსპლუატაციის ეფექტურობას და ჩვენი ობიექტების უსაფრთხოებას.
- გავაგრძელებთ SCPX პროექტის დაგეგმილი სამუშაოების ტენდერების მატებას, რათა დავიცვათ შესრულების გრაფიკის ძირითადი პარამეტრები და პროექტის განხორციელება გრაფიკის მიხედვით იყოს უსაფრთხო და საიმედო.
- ტრენინგების და შეფასების სისტემის უზრუნველყოფა, რათა ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების განყოფილებების თანამშრომლებმა შეინარჩუნონ პროფესიული ცოდნა და კვალიფიკაცია.

ვრცელი ინფორმაცია რისკების მართვის შესახებ იხილეთ მე-9 გვერდზე.

ინფორმაცია ჩვენი თანამშრომლების შესახებ იხილეთ მე-13 გვერდზე.

ჩვენი თანამშრომლები



ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ჩვენს თანამშრომლებს შევუქმნათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ისეთ სამუშაო გარემოში, რომელშიც ურთიერთობებს კონკრეტული ღირებულებები და „ქცევის კოდექსის“ მკაფიოდ გაგებადებული პრინციპები განსაზღვრავს.

- შევინარჩუნებთ საქართველოს მოქალაქეების მაღალ ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში.
- ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლებს მივცემთ შესაძლებლობას, რომ აიმაღლონ მართვის უნარ-ჩვევები.
- ხაზგასმით წარმოვაჩენთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის წარმართვა BP-ის „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.

2014 წელს „ქცევის კოდექსის“

შესახებ ჩატარებულ საინფორმაციო
სწავლებლებს დაესწრო

272 თანამშრომელი.



მენეჯერებისა და შუალედური
რგოლის ხელმძღვანელების

93% -ს საქართველოს
მოქალაქეები შეადგენენ.

საქართველოში BP-ის
თანამშრომელთა

97% -ს
საქართველოს
მოქალაქეები შეადგენენ.

- გავაგრძელებთ უფრო ძლიერი BP საქართველოს შენებას, ისეთი თანამშრომლებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით, რომლებიც მომავალში კომპანიის წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს.
- დავენერგავთ ხელმძღვანელობის ახალ სტანდარტებს და გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი თანამშრომლების მართვის უნარ-ჩვევების ასამაღლებლად.
- დავრჩებით ჩვენი ღირებულებებისა და „ქცევის კოდექსისადმი“ ერთგულნი მომავლის რთულ ბიზნეს გარემოში.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-14 გვერდზე.

ინფორმაცია ჩვენი თანამშრომლების შესახებ იხილეთ მე-13 გვერდზე.

შრომის უსაფრთხოება



გავაძლიერებთ ძალისხმევას, რომ შრომის უსაფრთხოება და საოპერაციო რისკების მართვა ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად ვაქციოთ.

- გავაძლიერებთ მალაღმდეგობრივ ბიზნეს საქმიანობას უსაფრთხოდ და საიმედოდ.
- გავაძლიერებთ მუშაობას ჩვენი ინდივიდუალური და საწარმოო უსაფრთხოების დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.
- ისევე, როგორც გასულ წლებში, გავაძლიერებთ მუშაობას კონტრაქტორებთან, შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებისა და თვითშეგნების ამაღლების მიზნით.

3.9 მლნ

კაცსაათი ნამუშევარი დროის და ავტორიზაციის დროის მიხედვით კილომეტრის გავლის პირობებში, ჩვენს საქმიანობაში არ მომხდარა თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა ან მსხვილმასშტაბიანი ავარია.

პოტენციური ინციდენტების კონტრაქტორების მიერ აღრიცხვიანობა გაიზარდა და საერთო რაოდენობის

31% შეადგინა.

ვახდენთ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს მოთხოვნების, მათი შესრულების, მიღებული გამოცდილებისა და საფრთხეების შესახებ სისტემატურ ინფორმირებას. გავაუმჯობესებთ განმარტებული უწყებების კომპეტენციას.



- გავაძლიერებთ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მარცვლებების გაუმჯობესებას.
- განვახორციელებთ უფრო მკაცრ და სისტემატურ თვითშეშეშვებს.
- კვლავაც უზრუნველყოფთ კონტრაქტორების უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სისტემების ეფექტურობისა და ორგანიზაციული უსაფრთხოების კულტურის გაუმჯობესებას.

ჩვენი კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სისტემა აღწერილია 23-ე გვერდზე.

ვრცელი ინფორმაცია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე იხილეთ 26-ე გვერდზე.

გარემოს დაცვა



ჩვენ სისტემატურ მიდგომებს ვიყენებთ გარემოს დაცვის მართვის სფეროში და მივმართავთ ძალისხმევას გარემოსდაცვითი შესრულების მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

- შევინარჩუნეთ სისტემატური მიდგომა გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის და მართვის სფეროში.
- გავანალიზებთ და გავაკონტროლოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე და მუდმივად ვიმზრუნოთ ჩვენი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.
- დავენერგოთ პროექტები და მოვაშენოთ პერსონალი, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი შედეგები გარემოს დაცვის სფეროში.

ჩვენი საქმიანობის წარმართავი გარემოს-დაცვითი მენეჯმენტის სისტემის –

ISO 14001 –ის

და BP-ს წარმოების მართვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.



შევამცირეთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება.

ჩვენი გავაუმჯობესებთ მიდგომები შესაბამის ანგარიშგების მიმართ და გადავამზადებთ თანამშრომლებს აღნიშნულ საკითხებში.

- გავაძლიერებთ სისტემატური მიდგომის გამოყენებას გარემოსდაცვითი სფეროში საოპერაციო რისკების მართვის საკითხში.
- გავაძლიერებთ შესაძლებლობების ძიებას, რათა მაქსიმალურად შევამცირებთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება.
- გავაძლიერებთ მუშაობას გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მიღებაზე, მათ შორის გაფრქვევებზე ხუთწლიანი ლიცენზიის განახლების ჩათვლით.

ნავთობის დაღვრაზე რეაგირების მეთოდები აღწერილია 31-ე გვერდზე.

დამატებითი ინფორმაცია გეოლოგიური ფაუნის დაცვის შესახებ იხილეთ 32-ე გვერდზე.

სამოგადოება



ჩვენი მიზანია, რომ ჩვენმა საქმიანობამ სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას. ამ მიზნით პროგრამებსა და ინიციატივებს ვახორციელებთ, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის პოტენციალის ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

- გავაძლიერებთ პოზიტიური ურთიერთობების, რომლებიც გავაჩნიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩვენი ოპერირების არეალში.
- გავაძლიერებთ ადგილობრივი კადრების უნარების და კვალიფიკაციის განვითარებას.
- გავაძლიერებთ მუშაობას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით.

ჩვენი მხარს ვუჭერთ პირადი და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა პროგრამას და პროექტს.

შევინარჩუნეთ მჭიდრო ურთიერთობები, 2014 წლის განმავლობაში ჩავატარეთ

803 შეხვედრა

ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და მივიღეთ პოზიტიური გამოხმაურება ჩვენი მერ განხორციელებულ სათემო ინვესტირების პროგრამებზე.

480

მცირე ბიზნეს საწარმო დაარსდა სათემო განვითარების ინიციატივის ფარგლებში, მათ შორის 91 2014 წელს.



- გავაძლიერებთ არსებული სათემო ინვესტირების პროგრამების განხორციელებას და გადავდგამთ შედეგომ ნაბიჯებს იმ ადგილობრივი თემების მხარდასაჭერად, რომლებიც ამჟამად მოხდენენ SCPX პროექტის ზემოქმედების ზონაში.
- გავაძლიერებთ შესაძლებლობების ამაღლებაზე მიმართულ პროგრამების განხორციელებას.
- გავაძლიერებთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას ჩვენი პროექტების და პროგრამების მეშვეობით.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხილეთ 35-ე გვერდზე.

სათემო განვითარების პროგრამა აღწერილია 37-ე გვერდზე.

როგორ ვმუშაობთ

საქართველოში ჩვენი საქმიანობა მთლიანად მიესადაგება BP-ის მიდგომებს მდგრადი განვითარების საკითხების მიმართ, ჩვენს სტრატეგიას, ღირებულებებს, მენეჯმენტის სისტემებსა და პროცესებს.

დასახული მიზნები

გავაგრძელებთ ჩვენი მოქმედი ობიექტების უსაფრთხო და ეფექტიან ექსპლუატაციას. წვლილს შევიტანთ საქართველოს ეკონომიკაში და სარგებელს მოვუტანთ ადგილობრივ მოსახლეობას.

გავაგრძელებთ სამხრეთ კავკასიური გამსაღდენის სისტემის გაფართოების პროექტის განხორციელებას, გავზრდით ადგილობრივ კომპანიებზე დახარჯული ინვესტიციების მოცულობას და მათი მონაწილეობის წილს მომავალ პროექტებში.

გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ასამაღლებლად.

რას მივალწიეთ

ჩვენი მილსადენების ექსპლუატაციის ეფექტურობის საშუალო მაჩვენებელმა 99%-ს გადააჭარბა.

ჩვენ მიერ დაახლოებით 333 მილიონი ბარელის მოცულობის ნახშირწალბადების ტრანსპორტირება განხორციელდა

ადგილობრივი კომპანიებისთვის ჩარიცხულმა თანხამ ჯამში 72 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

რას ვაპირებთ

შეგინარჩუნებთ ექსპლუატაციის ეფექტურობას და ჩვენი ობიექტების უსაფრთხოებას

გავაგრძელებთ SCPX პროექტის დაგეგმილი სამუშაოების ტემპის მატებას, რათა დავიცვათ შესრულების გრაფიკის ძირითადი პარამეტრები და პროექტის განხორციელება გრაფიკის მიხედვით იყოს უსაფრთხო და საიმედო




ტრენინგების და შეფასების სისტემის უზრუნველყოფა, რათა ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების განყოფილებების თანამშრომლებმა შეინარჩუნონ პროფესიული ცოდნა და კვალიფიკაცია.



BP საქართველოში

საქართველოში ჩვენს საქმიანობას წარმართავთ ჩვენი ღირებულებების, სისტემებისა და პროცედურების შესაბამისად.

BP-ის ინტერესები საქართველოში



BP ნავთობისა და გაზის ერთი-ერთი წამყვანი კომპანია მსოფლიოში საერთო საბაზრო ღირებულების, დამტკიცებული მარაგებისა და წარმოების მოცულობის მიხედვით. ჩვენი მიზანია შევქმნათ სარგებელი ჩვენი აქციონერებისათვის, უზრუნველყოთ ენერგიის მიწოდება უსაფრთხოდ, საიმედოდ და ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით. ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 84,600 თანამშრომელს ვასაქმებთ. 2014 წელს წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ბიზნესს ვაწარმოებდით 28 ქვეყანაში, მათ შორის ვახდენდით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიის გავლით.

საქართველოში BP ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) ოპერირებაზე პასუხისმგებელი, ენერგოკომპანიებისა და ინვესტორებისგან შემდგარი ორი საერთაშორისო კონსორციუმის სახელით. აღნიშნული მილსადენები ექსპლუატაციის მეცხრე წელს ითვლის. ერთ დერეფანში, ერთმანეთის პარალელურად გაყვანილი ნავთობსადენი და გაზსადენი საქართველოს ტერიტორიას 248 კმ სიგრძეზე გადაკვეთს. საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ორი ნავთობსაქაჩი სადგური, სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გამგამანაწილებელი, წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურები ფუნქციონირებს. ნავთობსადენზე დამონტაჟებულია 16 ჩამკეტი სარქველი და 11 უკუსარქველი, ხოლო გაზსადენზე – ექვსი ჩამკეტი სარქველი.

გარდა ამისა, ენერგოკომპანიების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ BP დანიშნულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (იგივე ბაქო-სუფსის ნავთობსადენი) ოპერატორად. ამ ნავთობსადენის 373-კილომეტრიანი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის და იგი აღჭურვილია სამი ნავთობსაქაჩი სადგურით, ორი წნევის დამწვევი სადგურით, 27 ჩამკეტი სარქველით, ოთხი უკუსარქველით და ერთი ინტეგრირებული ჩამკეტი ნავთობი კასპიის ზღვის სანაპირის ტერმინალიდან შავი ზღვის სანაპირზე მდებარე სუფსის ნავთობტერმინალს მიეწოდება.



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის II ნავთობსაქაჩი სადგური.

2014 წელს ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლების შეჯამება

2014 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობამ 260 მილიონ ბარელს გადააჭარბა, ხოლო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით 31 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი გადაიზიდა. ამასთან ორივე ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა 99%-ს გადააჭარბა ჩვენ უსაფრთხოდ მოვახდინეთ 235 მილიარდი სტანდარტული კუბური ფუტი გაზის ტრანსპორტირება, რაც დაახლოებით 41 მილიონი ბარელი ნავთობის ექვივალენტია.

2014 წლის განმავლობაში თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის ტერმინალზე, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბოლო წერტილს წარმოადგენს, გადაზიდული ნავთობით 362 ტანკერი დაიტვირთა, ხოლო სუფსის ტერმინალიდან, რომელიც დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის ბოლო წერტილია, გავიდა ნავთობით დატვირთული 52 ტანკერი.

BP-ის ინტერესები კასპიის ზღვის რეგიონში



BP-ის ხელძღვანელმა საქართველოში ფოთის ნავსადგური მოინახულა, სადაც SCPX-ის მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწები ჩამოიტვირთა.

უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაცია

2014 წელს რამდენიმე პროექტი განვახორციელეთ მილსადენებისა და მილსადენების ობიექტების ტექნიკური მომსახურებისა და მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

მდინარეების დამორჩილება მილსადენის მთლიანობის უზრუნველსაყოფად

საქართველოს მთის სწრაფი და წყალუხვი მდინარეები გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) მთლიანობისთვის, რაც ჩვენი ექსპლუატაციის გუნდისგან მოითხოვს მილსადენის დაცვას მდინარის კალაპოტის და ნაპირების წარცხვით გამოწვეული საფრთხეებისგან.

შესაძლო ტექნიკური გადაწყვეტების და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალურად გაანალიზების შემდეგ, WREP-ის ექსპლუატაციის გუნდმა 2014 წელს განახორციელა მდ. ლიხვის გადაკვეთის სამუშაოები. საშენებლო სამუშაოების მასშტაბსა და მიმდინარეობაზე გვესაუბრება WREP-ის სახმელეთო ოპერაციების ხელმძღვანელი, ტარიელ მარგველაშვილი: „პროექტი მოიცავდა ძალიან დიდი მოცულობის მიწის სამუშაოებს, მდინარის კალაპოტში ჩავსვამეთ დაახლოებით 40 ათასი კუბური მეტრი ქვა, ამასთან მოხდა მდინარის ნაპირების გამაგრება, რათა გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდის წყალდიდობებმა არ გამოიწვიოს ნაპირების ეროზია“.

წინა პერიოდში ჩვენს მიერ განხორციელდა მდინარის ნაპირამაგრი სამუშაოები მდ. ქსანზე, ყვირილასა და არაგზე. მაგრამ მდ. ლიხვზე განხორციელებული გამაგრებითი სამუშაოები უფრო დიდი მასშტაბისაა. პროექტი ითვალისწინებდა მარჯვენა ნაპირის 329 მ სიგრძის მონაკვეთის, მარცხენა ნაპირის 419 მ სიგრძის მონაკვეთის და მდინარის კალაპოტის 360 მ სიგრძის მონაკვეთის გამაგრებას. ყოველდღიურად სამშენებლო უბანზე მუშაობდა 45 ადამიანი და 15 ერთეული მძიმე ტექნიკა.



სუფსის ტერმინალი.

საექსპლუატაციო საიმედოობის დაცვა

მრავალგზარი პოტენციური საფრთხე, რომელსაც ჩვენი საქმიანობა აწეობდა, ყოველთვის პროგნოზირებადი არ არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს ქმედითი პროცედურები, რომელთა საშუალებით ვცდილობთ ინციდენტებისა და კრიზისული სიტუაციების განჭვრეტას და მათთვის მზადყოფნას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოვლენათა ისეთი ფართო სპექტრისთვის, როგორცაა მეწყერი, ბუნებრივი კატაკლიზმები, პოლიტიკური კონფლიქტები, დანაშაულებრივი ქმედებები, დაავადებების გავრცელება და ავარიული სიტუაციები.

პოტენციური საფრთხის შემცველი მოვლენების მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ღონისძიებები გარდა ჩვენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალადგრი პოტენციური გაგვიანია. ჩვენ რეალურ ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პრაქტიკულ მეცადინეობებს ვატარებთ კრიზისული სიტუაციების მართვის სფეროში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი უსაფრთხოების შესახებ.

ტექნიკური მომსახურების პროექტები

ჩვენი მილსადენების ობიექტებზე ტექნიკური მომსახურების არაერთი პროექტი განვახორციელეთ. მსხვილ პროექტებს შორის იყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა ღუზის ჯაჭვის გამოცვლას სუფსის ტერმინალის ჩასატვირთ ტივტივაზე საექსპორტო საზღვაო ხაზის ბოლოს, სადაც ზღვის ფსკერზე დამაგრებულია 250 მეტრის სიგრძის ჯაჭვები. ჩვენ ასევე განვახორციელეთ მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა მომავალში, საჭიროების შემთხვევაში წყალქვეშა და მოტივტივე სახელობის გამოცვლას.

მე-2 ნავთობსაქარ სადგურთან (PSG2) ჩვენ ახალი საცხოვრებლის მშენებლობა და მისი წყალგამუმენდი ნაგებობების გაფართოება დავიწყეთ. გარდა ამისა, ავაშენეთ 1-ლ ნავთობსაქარ სადგურთან (PSG1) მისასვლელი გზა, რაც აადვილებს აღნიშნულ ობიექტზე დაწყებული ახალი საცხოვრებლისა და ახალი საკომპრესორო სადგურის სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ობიექტების სახელმწიფო ენერგომომარაგების სისტემაში ჩართვის მიმართულებით იქ, სადაც ეს ტექნიკურად შესაძლებელია. ამასთან აქცენტი კეთდება სუფსის ტერმინალსა და 1-ლ და მე-2 ნავთობსაქარ სადგურებზე (PSG 1 და PSG2). უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ენერგოსისტემა საკმარისად საიმედო გახდა, რამაც მისი გამოყენების შესაძლებლობა მოგვცა. უპირატესობა აშკარაა: ენერგოსისტემიდან ჩვენი ობიექტების ელექტრომომარაგება უფრო რენტაბელურია და ამცირებს ემისიებს დიზელ-გენერატორებიდან.

მილსადენის მთლიანობის უზრუნველყოფის სამუშაოები

ჩვენ გვაქვს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის უწყვეტი ტექნიკური მომსახურების პროგრამა. ექვს თვეში ერთხელ ვამოწმებთ მილსადენის ძველ სექციებს (ინსპექტირების მაღალტექნოლოგიური ხელსაწყოთა გამოყენებით), რომელთა სიგრძე 154 კმ-ია. ინსპექტირების მონაცემები ეხმარება გეოლოგიური საშიშროებების შეფასებისა და მილსადენის მთლიანობის დაცვის ზომებზე მომუშავე სპეციალისტებს, რომ უკეთ განსაზღვრონ პოტენციური რისკები და მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბები.

2014 წელს გამოვლინდა WREP-ზე უკანონო მიერთების, ანუ მილსადენიდან ნავთობის დატაცების ორი მცდელობა. აქედან ერთ-ერთმა უკანონო მიერთებამ 1300 ლიტრი ნავთობის დაღვრა გამოიწვია. ჩვენ მოვახდინეთ მყისიერი რეაგირება და ავამოქმედეთ მილსადენის კონტროლირებადი გათიშვის რეჟიმი. დაზიანებული ნიადაგი მოიხსნა, გაიწმინდა და დაბრუნდა თავის ადგილზე. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა დაზიანებული ტერიტორიის გაწმენდა აღწერილია გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ თავში.

მმართველობისა და მენეჯმენტის სისტემები

საქართველოში ჩვენი საქმიანობა, სტრატეგია, ღირებულებები, მენეჯმენტის სისტემები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია BP-ს მდგრადი განვითარების მიდგომებთან.

BP-ის რისკების მართვის სისტემა

ყოველდღიური რისკების მართვა

ჩვენი მოქმედი ობიექტებისა და დანაყოფების ხელმძღვანელობა და პერსონალი ახორციელებს რისკების იდენტიფიცირებას და მართვას, რითაც ხელს უწყობს მილსადენების უსაფრთხო, საიმედო და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამის ექსპლუატაციას. ჩვენი წარმოების მართვის სისტემები მოიცავს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროების, გარემოს დაცვის, სოციალური ვალდებულებების, ექსპლუატაციის საიმედოობის და მათთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას.

საწარმოო საქმიანობა და სტრატეგიული რისკების მართვა

ჩვენი საოპერაციო და ფუნქციონალური დანაყოფების მიერ რისკების მართვა კომპლექსურად ხორციელდება საწარმოო საქმიანობის ისეთი ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით, როგორიცაა ბიზნესის წარმოების სტრატეგია, დაგეგმვა, ეფექტიანობის მართვა, რესურსებისა და კაპიტალის განაწილება და პროექტის შეფასება. რისკებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვება, რისკების მართვაზე მიმართული აქტივობების შეფასება, მათი შემდგომი დახვეწა და ახალი აქტივობების დაგეგმვა წარმოებს სტანდარტული პროცედურის მიხედვით.

ზედამხედველობისა და მართვის სისტემა

BP-ის მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიცირების, გაანალიზებისა და შესაბამისი ზომების გატარების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებს ფუნქციონალური ხელმძღვანელობა, უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა, დირექტორთა საბჭო და შესაბამისი კომიტეტები. ისინი აგრეთვე განსაზღვრებენ რისკების მართვის, ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობისა და კონტროლის სისტემებს ამ რისკების შერბილების მიზნით. აღმასრულებელი კომიტეტები განსაზღვრავენ პოლიტიკას და ახორციელებენ ზედამხედველობას მნიშვნელოვანი რისკების მართვაზე, ხოლო საგანგებოდ შექმნილი კომიტეტები ახორციელებენ გარკვეული სახის რისკების გადასინჯვას და მონიტორინგს მთელი წლის განმავლობაში. აღნიშნული კომიტეტები მთლიანად არა-აღმასრულებელი დირექტორებით არიან დაკომპლექტებული. ექვს ასეთ კომიტეტს შორის ერთ-ერთი კომიტეტი არის უსაფრთხოების, ეთიკისა და გარემოს დაცვის კომიტეტი (SEEC), რომელიც არამატერიალური რისკების მართვის მონიტორინგზეა პასუხისმგებელი.

დირექტორთა საბჭო

ჩვენ გარკვეული რისკები მაღალი პრიორიტეტულობის რისკებს მივაკუთვნეთ და მათზე საგანგებო ზედამხედველობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ. 2015 წელს ასეთ რისკებს განეკუთვნება: მექსიკის ყურეში ნავთობის დაღვრასთან დაკავშირებული რისკები, გეოპოლიტიკური რისკები, უშიშროება, ეთიკური გადაცდომები, სამართლისა და კანონმდებლობის ნორმებთან შეუსაბამობა, სავაჭრო რეგულაციებთან შეუსაბამობა, კიბერუსაფრთხოება, მსხვილი პროექტების განხორციელება და ტაბურღილების ბურლვასთან დაკავშირებული ინციდენტები, ობიექტების ექსპლუატაცია და ნახშირწყალბადების ტრანსპორტირება. 2015 წლის პირველიანგვარს შეიქმნა საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან თავმჯდომარე, ორი აღმასრულებელი დირექტორი და 11 არააღმასრულებელი დირექტორი.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტი

ჩვენ ვამუშავებთ გეგმებს, რომელთა მიხედვით ამ ნავთობსადენის საბჭოთა პერიოდის დროინდელი მონაკვეთების შეცვლაა დაგეგმილი. პროექტით გათვალისწინებულია ნავთობსადენის ძველი სექციების ახალი შეცვლა და ზოგიერთ მონაკვეთზე ნავთობსადენის მარშრუტის ცვლილება, რაც მიზნად ისახავს გეოლოგიური მოვლენებით, კერძოდ კი მეწყერით, ეროზიითა და დატბორვით გამოწვეული საფრთხეების შემცირებას და მილსადენის მონაკვეთის გატანას ახალგორის რაიონის საზღვრებს გარეთ. ამ სამუშაოების მიზანია ნავთობსადენის ექსპლუატაციისა და ტექნომსახურების პროცესის თანხმეობით უსაფრთხოებისა და უშიშროების ძირითადი რისკების შემცირება.

ჩვენ ინტენსიური მოლაპარაკებები გავმართეთ ჩვენს პარტნიორებთან ამ პროექტის ტექნიკურ და კომერციულ ასპექტებზე, და ეს მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება. მოლაპარაკებების საგანს, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიციების მოცულობა და ადამიანური რესურსი.

BP-ის სტრატეგია და მდგრადი განვითარება

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ იმისთვის, რომ BP-მ, როგორც კომპანია, მდგრად წარმატებას მიაღწიოს, ჩვენ ორიენტირებული უნდა ვიყოთ ჩვენი აქციონერებისთვის, პარტნიორებისა და საზოგადოებისთვის გრძელვადიანი სარგებლის შექმნაზე.

ჩვენი მიზანია შეიქმნას გრძელვადიანი სარგებელი ჩვენი ინვესტორებისთვის და იმ ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოებებისთვის, სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ. ჩვენ ვცდილობთ გავამარტივოთ ჩვენი ბიზნესი და მეტი ყურადღება დავუთმოთ იმ სფეროებს, რომლებშიც ნავთობისა და გაზის მოპოვებით მეტი ღირებულების შექმნა შეგვიძლია, და არ არის აუცილებელი, რომ ეს მოპოვების მეტ მოცულობებთან იყოს დაკავშირებული. ჩვენ ვაფართოვებთ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ მაღალშემოსავლიან და უფრო მდგრადი მოპოვებითი სიმძლავრეების შექმნას და იმავედროულად, მაღალხარისხიანი ნავთობგადამამუშავებელი და მარკეტინგის სექტორების ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს ეფუძნება ჩვენს კომპეტენტურობას, ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ეფექტურ ურთიერთობებს. ჩვენ მივსწრაფვით, რომ ვიყოთ მსოფლიო კლასის კომპანია-ოპერატორი, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესი და საიმედო დამსაქმებელი.

ბუნებრივია, რომ ჩვენ უმთავრეს პრიორიტეტად კვლავაც რჩება გამუდმებული ყურადღება შრომის უსაფრთხოების მიმართ. რისკების მართვის გამართული სისტემა გვეხმარება ჩვენს საწარმოებში დასაქმებული ადამიანების, ჩვენი საქმიანობის ადგილებისა და ჩვენი კაპიტალის დაცვაში. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი სისტემების, პროცედურებისა და სტანდარტების დახვეწას, მათ შორის ვცდილობთ უკეთ ვმართოთ რისკები, რომლებიც ჩვენი კონტრაქტორების და ჩვენი მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების ოპერატორების ქმედებებს უკავშირდება. ჩვენ ვაღნობიერებთ, რომ პოლიტიკურად, გეოგრაფიულად და ტექნიკურად რთულ პირობებში საქმიანობის პროცესში, მაგალითად ღრმა წყლების რეზერვუარების ან ნავთობიანი ქვიშის საბადოების ათვისებისას, მოგვეთხოვება განსაკუთრებული სიფრთხილით მოგვიციდოთ ადგილობრივი გარემოსა და საზოგადოებას.

ჩვენი მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ჩვენ შევინარჩუნებთ ჩვენი თანამშრომლებისა და საზოგადოების ჩვენადმი ნდობას. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით იმისათვის, რომ ადამიანების ნდობა მოვიპოვოთ. ჩვენ ზედმიწევნით ვაღვწევთ თვალყურს ჩვენი საქმიანობის შედეგებს და ვუზრუნველყოფთ ჩვენი ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობას. ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ სრულფასოვანი კომუნიკაციისა და ღია დიალოგის გზით შევძლებთ, რომ გავამართლოთ ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლების, აქციონერებისა და საზოგადოების მოლოდინი ჩვენი საქმიანობის ქვეყნებში.

მყარი ფინანსური მაჩვენებლები აუცილებელია იმისათვის, რომ მოვახდინოთ ინვესტირება მსოფლიოსთვის ესოდენ საჭირო ენერგომატარებლების წარმოებაში და იმავედროულად, უზრუნველყოთ სარგებელი ჩვენი აქციონერებისთვის და შევინარჩუნოთ მათი ნდობა.

მსოფლიოსთვის ენერგიის მიწოდებით ჩვენ ხელს ვუწყობთ ეკონომიკურ განვითარებას და მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენი საქმიანობით სტიმულს ვაძლევთ სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების განხორციელებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, მთავრობისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

 დამატებითი ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე: bp.com/strategy

ჩვენი ოპერაციების სისტემური მართვა

ჩვენი საქმიანობის რისკების მართვაში გვეხმარება BP-ის წარმოების მართვის სისტემა (OMS), რომელშიც გაწერილია ექსპლუატაციის სათანადო პრაქტიკის პრინციპები.



ნავსადგურში მილების გადმოტვირთვისთვის საჭირო აღჭურვილობა დამონტაჟდა.

მმართველობა და რისკების მართვა

BP-ის რისკების მართვის სისტემა მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირების, გაფრთხილებისა და მართვის ხელშეწყობას მიღსადენების უსაფრთხო და ეფექტიანი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით.

BP საქართველო, რომელიც BP-ის შემადგენელი კომპანია-ოპერატორია, პასუხისმგებელია მიღსადენების უსაფრთხო, საიმედო და რეგულაციების შესაბამისად ექსპლუატაციაზე. ჩვენ ყოველდღიურად განვსაზღვრავთ და ვარეგულირებთ წარმოების რისკებს ჩვენი მართვის სისტემების მოთხოვნების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში მივმართავთ ღონისძიებებს რისკების მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. რისკების დონეებისა და რისკების მართვის გეგმების გადასინჯვა პერიოდულად ხორციელდება. მათ შორის გადასინჯვას ექვემდებარება მსხვილი ავარიებისა და სხვა მნიშვნელოვანი შედეგების გამოწვევი პოტენციური რისკები.

OMS-ში, როგორც მართვის ერთიან სისტემაში, თავმოყრილია BP-ის სტანდარტები ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და საექსპლუატაციო საიმედოობის სფეროებში, აგრეთვე ამ სფეროებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ტექნიკური მომსახურება, კონტრაქტორებთან ურთიერთობა და სწავლება სამუშაო ადგილზე.

OMS-ის მოთხოვნების განსაზღვრავს რა უნდა გაკეთდეს BP-ის საქმიანობის პროცესში რვა პრიორიტეტული მიმართულებით, ის მიმართულებებია: მმართველობა, სტრუქტურა, ოპტიმიზაცია, ობიექტები, რისკები, პროცედურები და ექსპლუატაცია. აღნიშნული მოთხოვნები მოიცავს ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრის პრინციპებს და იმ ობიექტების მართვას, რომელთა გამოცდილებისა და გათვალისწინებულია ექსპლუატაციის მთელ პერიოდზე.

საჭიროების შემთხვევებში, ჩვენს მიერ უზრუნველყოფილია პრაქტიკული ზომები და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს მოთხოვნათა შესრულების გზებს. პერიოდულად OMS-ის მოთხოვნები ექვემდებარება გადასინჯვას და შესწორებას, რათა მართვის აღნიშნული სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს კომპანიის პრიორიტეტებთან, პრაქტიკულ გამოცდილებასთან ან გარე ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებებთან.

მუდმივი სრულყოფა


OMS-ის სისტემა ჩვენ ასევე გვეხმარება ჩვენი საწარმოო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში. BP-ის ყველა საწარმო, რომლებზეც ვრცელდება OMS-ის სისტემა, ყოველწლიურად წარმართავს ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესების ციკლურ პროცესს და აფასებს OMS-ის ნორმებთან შესაბამისობას. OMS-ის სისტემაზე გადასვლა მოეთხოვებათ ექსპლუატაციის მიმართულებაში ახლახან ჩართულ დანაყოფებს. ჩვენ წარვმართავთ მაჩვენებლების გაუმჯობესების ციკლურ პროცესს, რათა გამოვავლინოთ გასაუმჯობესებელი სფეროები, იქნება ეს სამუშაო უბნებზე არსებული ინდივიდუალური გამოწვევები თუ ჩვენი პრაქტიკის დაგეგმვა და განხორციელება. ჩვენი პრაქტიკა მოიცავს სფეროთა ფართო დიაპაზონს, მათ შორის სათბური გაზების ემისიების, წყლის რესურსების, სოციალური პროგრამების და კულტურული მემკვიდრეობის მართვას.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის პრაქტიკა

ჩვენი OMS სისტემა მოიცავს მოთხოვნებსა და დირექტივებს, რომელთა საშუალებით ხორციელდება ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედებების გამოვლენა და მართვა ჩვენი პროექტების დაგეგმვის ადრეულ ეტაპებზე. ჩვენი პრაქტიკა მოიცავს სფეროთა ფართო დიაპაზონს, მათ შორის სათბური გაზების ემისიების, წყლის რესურსების, სოციალური პროგრამების და კულტურული მემკვიდრეობის მართვას. შევალენიშნული მოთხოვნები და დირექტივები ვრცელდება კომპანიის მსხვილ პროექტებზე; პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებს ახალი მისასვლელი გზების გაყვანას; პროექტებზე, რომლებზეც სავარაუდოდ ახდენს ზემოქმედებას დაცულ ტერიტორიებზე და BP-ის მიერ შექმნილ ზოგიერთ ობიექტებზე.

იმ პროექტების ადრეული დაგეგმვის ეტაპებზე, რომლებზეც ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის პრაქტიკასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვრცელდება, ჩვენ სკრინინგს ვახორციელებთ ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებების გამოვლენის მიზნით. სკრინინგის პროცესის შემდეგ, პროექტების ფარგლებში ზემოქმედების შეფასება უნდა მომზადდეს, გამოვლენილი იქნას შემარბილებელი ღონისძიებები, და ეს ასპექტები გათვალისწინებული უნდა იქნას პროექტის შემუშავების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. საქართველოში აღნიშნული პროცესები სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის შემუშავებისა და განხორციელების საწყის ეტაპზე მოხდა.

ჩვენი წარმოების მართვის სისტემა



ჩვენი თანამშრომლები ფოთის ნავსადგურში მიწების გადმოტვირთვის პროცესში მონაწილეობენ.



ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა (EMS) საქართველოში უკვე

14

წელია სერტიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის აუდიტი დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ 2014 წელს

მე-**16**-ედ ჩატარდა.



გარემოს დაცვის მართვა

საქართველოში ჩვენ სისტემურ მიდგომებს ვიყენებთ გარემოს დაცვის მართვის სფეროში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების შემუშავების საწყის ეტაპზე ჩვენ ჩავატარეთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დეტალური შეფასების (ESIA) და ამ სფეროებში აღებული ვალდებულებები გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებში ჩამოვაცალიბეთ. ანალოგიურად, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ანგარიშის პარაგრაფში სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის შესახებ, ახლახან ჩვენ დავასრულეთ მუშაობა სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. ამ პროცესების მეშვეობით დგინდება პოტენციური ზემოქმედების სახეები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მიმდინარეობს ამ ღონისძიებების განხორციელების მკაცრი კონტროლი, მათ საბოლოო დასრულებამდე. ჩვენს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემას საფუძვლად უდევს ISO 14001-ის პრინციპი – „დაგეგმვა-შესრულება-შემოწმება-ქმედება“. ამავე პრინციპს იზიარებს OMS-ით გათვალისწინებული საქმიანობის გაუმჯობესების პროცესიც.


ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა (EMS) საქართველოში უკვე 14 წელია სერტიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით, ხოლო ამ სისტემის ფარგლებში მოქმედი ოპერაციების მასშტაბები თანდათან ფართოვდება. ISO-ს მოთხოვნების თანახმად სისტემას პერიოდულად უტარდება გარეშე აუდიტი. გასული წლების აუდიტის შედეგები ჩვენ წინა „მდგრადი განვითარების ანგარიშებში“ არის გამოქვეყნებული.

გარდა ამისა, ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა რეგულარულად მოწმდება დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის მიერ, რომელიც პროექტის თავდაპირველი კრედიტორების მიერ არის დანიშნული. დღეის მდგომარეობით გარეშე აუდიტი უკვე 16-ჯერ ჩატარდა, მათ შორის ბოლო – 2014 წელს. 2014 წლის აუდიტის მიერ შესაბამისობა არ გამოვლენილა.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. საქართველოს შესაბამისობის უზრუნველყოფისა და გარემოსდაცვითი ჯგუფის პასუხისმგებელი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის კოორდინაციასა და მართვაზე, ხოლო რეგიონის მასშტაბით სისტემის ზედამხედველობას უწევს BP-ის გარემოს დაცვისა და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის რეგიონალური დირექტორი. ობიექტებზე სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ობიექტების მენეჯერებს ეკისრებათ.



დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის (IEC) მიერ მომზადებული აუდიტის ანგარიშები იხ. ვებგვერდზე: bp.com.



ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები

ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ჩვენს თანამშრომლებს შევუქმნათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ისეთ სამუშაო გარემოში, რომელშიც ურთიერთობებს კონკრეტული ღირებულებები და „ქცევის კოდექსის“ მკაფიოდ გაცხადებული პრინციპები განსაზღვრავს.



დასახული მიზნები

შეინარჩუნებთ საქართველოს მოქალაქეების მაღალ ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლებს მივცემთ შესაძლებლობას, რომ აიმაღლონ მართვის უნარ-ჩვევები.

ხაზგასმით წარმოვჩინებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის წარმართვა BP-ის „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.

რას მივაღწიეთ

საქართველოში BP-ის თანამშრომელთა 97%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ.

მენეჯერებისა და შუალედური რგოლის ხელმძღვანელების 93%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ.

2014 წელს „ქცევის კოდექსის“ შესახებ ჩატარებულ საინფორმაციო სწავლებებს დაესწრო 272 თანამშრომელი.

რას ვაპირებთ

გაგაგრძელებთ უფრო ძლიერი BP საქართველოს შენებას, ისეთი თანამშრომლებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით, რომლებიც მომავალში კომპანიის წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს.

დავწერავთ ხელმძღვანელობის ახალ სტანდარტებს და გაგაგრძელებთ მუშაობას ჩვენი თანამშრომლების მართვის უნარ-ჩვევების ასამაღლებლად.

დავრჩებით ჩვენი ღირებულებებისა და „ქცევის კოდექსისადმი“ ერთგულნი მომავლის რთულ ბიზნეს გარემოში.

ჩვენი პერსონალის შემადგენლობა


ჩვენს მიზანს წარმოადგენს ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ისეთ სამუშაო გარემოში, რომელიც ხასიათდება განცხადებული პრინციპებისადმი ერთგულებით.

საქართველოს ტექნიკური პერსონალის ფორუმები

ტექნიკური პერსონალის ფორუმების ინიციატივა, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასა და ექსპლუატაციის დანაყოფის თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალება, 2009 წელს ამერბაიჯანი-საქართველო თურქეთის რეგიონში (AGT) იქნა წამოწყებული. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკური პერსონალი ჩვენი ორგანიზაციის დიდ ნაწილს შეადგენს, რეგულარული თათბირების გამართვა ჩვენი ბიზნესის ხელმძღვანელებსა და ტექნიკურ პერსონალს შორის უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ვიცოდეთ თუ რა ხორციელდება წარმატებით და რა საჭიროებს გაუმჯობესებას.

საქართველოს ტექნიკური პერსონალისა და ექსპლუატაციის განყოფილების საჭიროებებზე მეტი ფოკუსირების მიზნით 2013 წელს ჩვენ გადაწყვიტეთ საქართველოს ტექნიკური პერსონალის ფორუმების ცალკე ჩატარება. 2014 წელს ორი ასეთი ფორუმი ჩატარდა, სადაც მონაწილეობდა ყველა ჩვენი ობიექტის 24 ტექნიკოსი. ამ ღონისძიებებს უძღვებოდა მიზანდევნიანი ექსპლუატაციის ვიდე პრეზენტაციები და BP საქართველოს გენერალური მენეჯერი. განხილული საკითხების უმეტესი ნაწილი ეხებოდა ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ტრენინგის პროცესის საჭიროებებს. ფორუმის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაწყებულია თანამშრომელთა გამოკითხვის პროცესი.

BP საქართველოს პერსონალის შემადგენლობა 2010-2014



ბოლო დადღის – BP ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორის და გორდონ ბირელის – BP-ის ამერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის რეგიონალური პრეზიდენტის ვიზიტი | ნავთობსაქან სადგურზე.

ჩვენი პერსონალის შემადგენლობა

ჩვენი პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა მიესადაგება იმ კონკრეტულ საქმიანობას, რომელსაც კომპანია მოეცემა პერიოდში ახორციელებს. უკანასკნელ წლებში კომპანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეთა რიცხვის და ხვედრითი წილის თანმიმდევრულ ზრდასთან ერთად, ზოგიერთ თანამდებობას უცხოელი კონტრაქტორებიც იკავებენ, რაც ძირითადად იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც თანამდებობა სპეციალურ კვალიფიკაციას ან გამოცდილებას მოითხოვს, როგორც ეს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში ხდება.


BP საქართველოს ექსპლუატაციის განყოფილების თანამშრომლების საერთო რაოდენობა 2010 წლის შემდეგ გაიზარდა. ნაწილობრივ ეს უკავშირდება კადრების შერჩევის უფრო ბალანსირებულ მოდელზე გადასვლას, რომლის მიზანია დააკომპენსიროს ტრენინგის ან ავადმყოფობის შემთხვევაში თანამშრომელთა მიერ სამუშაოს ხანმოკლე გაცდენა. თანამშრომელთა რაოდენობის მატების მეორე მიზეზი სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტია, რომლის პერსონალით დაკომპლექტება 2011 წელს დაიწყო. პროექტში უშუალოდ ჩართულ თანამშრომელთა რაოდენობამ, კონტრაქტორის მიერ მოზიდილებული რამდენიმე ასეული ადამიანის გარდა, 2014 წლის დეკემბერში 52 თანამშრომელი შეადგინა. მომდევნო წლებში პროექტის მშენებლობის მიმდინარეობისა და ექსპლუატაციისთვის მზადების პროცესში ჩვენ ამ ციფრის შემდგომ მატებას ველოთ.

BP საქართველოს ექსპლუატაციის განყოფილებაში მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა ხვედრითი წილი 2014 წელს 97%-მდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მილსადენის ექსპლუატაციის დაწყებიდან დღემდე.

მენეჯერებისა და შუალედური ხელმძღვანელი რგოლის დაახლოებით 93%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ, რაც გასული წლის მაჩვენებელზე ოდნავ მეტია. როგორც ექსპლუატაციის, ისე პროექტების განყოფილებების მენეჯერების და შუალედური ხელმძღვანელი რგოლის დაახლოებით 13%-ს ქალები შეადგენენ. საქართველოში ჯგუფის ხელმძღვანელთა 22%-ც ქალია.

ჩვენ ვთანამშრომლობთ 72 ქართულ კონტრაქტორ კომპანიასთან. მათი თანამშრომლები ჩვენი ორგანიზაციის სტრუქტურის ნაწილი არიან და მონაწილეობას იღებენ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

BP საქართველოს პერსონალის ნაციონალიზაცია 2010-2014 (%)



კვალიფიციური კადრების ნაკლებობა გამოწვეულია სირთულეებით, რომლებიც თან ახლავს საქართველოში ტექნიკური სპეციალობების კურსდამთავრებული ახალგაზრდების მოზიდვასა და კომპანიაში დასაქმებას. საინჟინრო სპეციალობების მქონე კანდიდატების მოსაზიდად ჩვენ ვითანამშრომლებთ უმაღლეს სასწავლებლებსა და განათლების სამინისტროსთან. მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის დასაქმების ფორუმში, რომელიც გამომწვევით იყო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებზე. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კომპანიის ცნობადობის გაზრდას ქართველ სტუდენტებში და საკადრო რეზერვის შექმნას, რის შედეგადაც კომპანიაში საინჟინრო სპეციალობის ექვსი ახალი სტაჟიორი დაესაქმეთ.

ტექნიკური პერსონალის დაქირავება და კვალიფიკაციის ღონის ამაღლება

გასული სამი წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებულ ტექნიკური პერსონალის რაოდენობამ 74 კაცი შეადგინა. ტექნიკური პერსონალის ნაწილი ექსპლუატაციის მოქმედ ობიექტებზე დავასაქმეთ, ხოლო მათ უმეტესობას კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის გაძლიერება, რათა ისინი მომავალში სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ექსპლუატაციის სისტემაში დასაქმდნენ. ჩვენი პროექტის წინსვლასთან ერთად ტექნიკური პერსონალის დაქირავების პროცესი გრძელდება.

კვალიფიკაციის ღონის ასამაღლებლად სამსახურში მიღებული ტექნიკური პერსონალი სტადნარტიზირებული ტრენინგებს გადის. აღნიშნული პროცესი მოიცავს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების ექვსთვიან კურსს, რომლის შემდეგ გამოცდილი უცხოელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მათ უტარდებათ ტექნიკური მომზადების ექვსთვიანი კურსი. 1-ლ ნავთობსაქან სადგურზე (PSG1) ჩვენ დავაარეთ ტექნიკური გადამზადების ცენტრი, რომელიც თეორიულ ცოდნასთან ერთად სტაჟიორებს აძლევს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას.

საკლასო ფორმატის ტრენინგების წარმატებით დასრულების შემდეგ სტაჟიორები ნაწილდებიან საექსპლუატაციო ობიექტებზე, სადაც გამოცდილ და კვალიფიციურ ტექნიკურ კადრებთან მუშაობის პროცესში იხეიან პრაქტიკულ გამოცდილებას.

ივანე მამუკაძე ავტორი

ჩვენი თანამშრომლები

ჩვენ სამართლიანად და პატივისცემით ვეპყრობით ჩვენს თითოეულ თანამშრომელს და ვიცით, რომ პროფესიონალი, მოტივირებული და ნიჭიერი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საფუძველია.

სამუშაო მივლინებით ამერბაიჯანში: ანზორ დობორჯინიძე

BP-ში მუშაობა 1998 წელს მოპოვების დანაყოფის სტაჟიორ-ოპერატორად, სუფსის ტერმინალზე დაიწყო, რომელიც ჩემი სახლიდან ათი წუთის სავალზეა. სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის შემდეგ, 2004 წელს დაინიშნე ტერმინალის მენეჯერად. ეს თანამდებობა სამი წელი მკაფა. იქ მუშაობის პერიოდში ობიექტი და თანამშრომლები ძალიან კარგად გაეცანი და ადგილობრივ მოსახლეობასა და ოფიციალურ პირებთანაც კარგი ურთიერთობა მაკავშირებდა.

შემდგომში ვმუშაობდი 1-ლ ნავთობსაქონლად გურამზე ობიექტის უფროსად. ეს პოზიცია მოიცავდა ექსპლუატაციის და ტექნიკური მომსახურების გუნდების ხელმძღვანელობას. ჩემთვის ეს ფრიად განსხვავებული მოვალეობები იყო თუნდაც იმიტომ, რომ მევალებოდა გამსაღდენის სისტემასთან დაკავშირებული ობიექტების, მაგალითად სამხრეთ კავკასიური გამსაღდენის გამგამოშობი და გამგამანაწილებელი სადგურების, საფუძვლიანი ცოდნა.

2010 წელს ძალიან გამძიმართლა, როცა ამერბაიჯანში ნავთობმომპოვებელ საზღვაო პლატფორმაზე დაიწყო მუშაობა. დასაწყისში ვმუშაობდი ცენტრალური ამერის პლატფორმაზე, ხოლო მოგვიანებით – დასავლეთ ამერის პლატფორმაზე. ნაპირიდან საკმაოდ დამორბეულ ამ პლატფორმაზე მისვლა-მოსვლას ვერტმფრენით 40 წუთი, ხოლო კატარით სამი საათი სჭირდება, რასაც ადვილად შევჩვედი. საზღვაო პლატფორმაზე 50 თანამშრომლისგან დამკომპლექტებულ ექსპლუატაციის გუნდს ხელმძღვანელობდი და პასუხისმგებელი ვიყავი უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციამდე. საქმიანობა იმდენად ინტენსიური იყო, რომ დრო შეუმჩნევლად გადიოდა.

ამერბაიჯანელებსა და სხვა უცხოელებთან ერთად მრავალწლოვანი გუნდის შემადგენლობაში მუშაობა ძალზე საინტერესო იყო. ამგვარ სამუშაო გარემოში არსებითი თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობების დამყარება და შრომის უსაფრთხოებისა და მართვის სისტემების საფუძვლიანი ცოდნა. ისიც აღსანიშნავია, რომ მოტენდინის ქ. აბერდინში საკვალიფიკაციო ტრენინგის კურსისა და ატესტაციის გავლის შემდეგ გავხდი ანგლო კომპლექსების საგანგებო სიტუაციებში მართვის სერტიფიცირებული მენეჯერი. საზღვარგარეთ გამგზავრებისა და ახალ გარემოში საქმიანობის შესაძლებლობა, რასაც კომპანია იძლევა, BP-ში მუშაობის დიდი უპირატესობაა. ამასთან კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სტანდარტები და სისტემები გაიცემა ადვილად ადაპტაციას და ექსპლუატაციის უსაფრთხო და განხორციელებას მივლინების ნებისმიერ ადგილზე.

ამჟამად ვმუშაობ ექსპლუატაციის გუნდის ხელმძღვანელად სამხრეთ კავკასიური გამსაღდენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში, რაც პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების კიდევ ერთი შესაძლებლობაა. პროექტი ითვალისწინებს ახალი მსხვილი ობიექტების მშენებლობას, ახალი თანამშრომლების მოზიდვას და მათთან ერთად მუშაობას. პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობა, როცა მის მსვლელობას საწყისი ეტაპიდან თვალს ადევნებ, შთამბეჭდავია.

როდესაც იმ საქმიანობას განვიხილავთ, რომელსაც ჩვენი კომპანია ამ რეგიონში ახორციელებს, ხშირად ვახსენებთ ენერგომატარებლების გატარებას, რომელიც კასპიის ზღვიდან იწყება და ამერბაიჯანისა და საქართველოში მდებარე სუფსის ტერმინალის გავლით მსოფლიო ბაზრებისკენ მიემართება. ჩემ შემთხვევაში კი პირაქით მოხდა – სუფსიდან დაიწყო და საქართველოს სხვადასხვა ობიექტების გავლით გზი კასპიის ნავთობმომპოვებელი პლატფორმისკენ ავიღე. ჩემთვის განვლილი გზა ყოველთვის სწორი მიმართულებით მოძრაობას გულისხმობდა.



ჩვენი თანამშრომელი ერთ-ერთ ობიექტზე ტექნიკური სამუშაოს შესრულების პროცესში.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

ჩვენ ვაგრძელებთ ჯგუფის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ტრენინგების საშუალებით, რომლებიც მიმართულია კადრების მართვის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა რთული სიტუაციაში თანამშრომელთან საუბრის წარმართვის უნარი, საქმიანობის შედეგების განხილვა, ახალი თანამშრომლების სამუშაოზე აყვანის პროცესი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხები.

ჯგუფის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით 2014 წელს ჩვენ შემოვიღეთ გამოკითხვა, რომლის ფარგლებში თანამშრომლები აფასებენ თავიანთი ხელმძღვანელების საქმიანობის შედეგებს. ხელმძღვანელი კადრების გადამზადების პროცესის ფარგლებში გამოკითხვის შედეგები ჯგუფის ხელმძღვანელებს გადაეცემა.

წელიწადში ერთხელ ჩვენ ვაწყობთ ღია კარის დღეებს, რომლებიც მიზნად ისახავს პერსონალის ინფორმირებას ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელები რეგულარულად ახორციელებენ ობიექტების ინსპექტირებას, სადაც ისინი ეცნობიან და ავგვარებენ თანამშრომელთა საჭიროებებს. წელიწადში ორჯერ ქართულ და ინგლისურ ენებზე ჩვენ ვაძეგნებთ შეტყობინებას „ოქვენს ინტერესებში“, რომელიც მიმოიხილავს აქტუალურ საკითხებს, კადრების მართვასთან დაკავშირებულ ცვლილებებს და პასუხობს თანამშრომელთა მიერ ხშირად დასმულ შეკითხვებს.

ჩვენ უზრუნველყოფთ კომპანიის ყველა თანამშრომელს ტრენინგებით და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებით. მაგალითად, გუნდების ხელმძღვანელებისთვის ჩვენ ვატარებთ კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს მათი მართვის უნარ-ჩვევების ამაღლებას. ეს კურსები შედგება ისეთი კომპონენტებისგან, როგორიცაა პერსონალის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება, ეფექტიანი გუნდური მუშაობა და სააგენტოს პერსონალის მართვა. 2014 წელს ადგილობრივი თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგის ხანგრძლივობამ თითო თანამშრომელზე გადაანგარიშებით დაახლოებით 27 საათი შეადგინა.

თანამშრომელთა გამოკითხვა – „პულისი“

„პულისი“ არის ელექტრონული ანონიმური გამოკითხვა, რომელსაც BP ახორციელებს მსოფლიო მასშტაბით წელიწადში ერთხელ. ამ ნებაყოფლობითი ხასიათის გამოკითხვაში ჩვენი ობიექტებისა და ოფისის პერსონალის დაახლოებით ორმა-მესამედმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვის შედეგები თანამშრომელთა მკაცრობის დონის საერთო მაჩვენებლის გამოანგარიშების შესაძლებლობას იძლევა: ოფისის პერსონალისთვის ამ მაჩვენებელმა 78% შეადგინა (2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 75%), ობიექტებზე მომუშავე პერსონალისთვის კი – 91% მაშინ, როცა 2013 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 84% იყო.

ინფორმაციის უზრუნველყოფა საბაზისო ხელფასის, კარიერული წინსვლის და მოკლევადიანი წამახალისებელი პრემიების შესახებ კომპანიის მენეჯმენტის ყურადღების არეალში რჩება. წლების განმავლობაში საბაზო ხელფასსა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხებისათვის სხვა სფეროებთან შედარებით, როგორც წესი, დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა. თუმცა თანამშრომელთა მიერ აღნიშნული საკითხების ცოდნის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია.

ჩვენი ღირებულებები და ქცევის კოდექსი

BP ხუთი ღირებულება გამოხატავს ჩვენს საერთო დამოკიდებულებას საქმისადმი, ჩვენი ქცევისადმი და იმისადმი, თუ როგორი ორგანიზაცია გვინდა რომ ვიყოთ.

ჩვენი ღირებულებები
უსაფრთხოება
პატივისცემა
სრულყოფილება
გამბედაობა
ერთი გუნდი

უსაფრთხოება: ჩვენი საქმიანობის საფუძველი ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაა. ჩვენ ასევე ვზრუნავთ გარემოს უსაფრთხოებაზე და ალბულის გვაქვს ვალდებულება, რომ უსაფრთხოდ მოვაპარაგოთ მსოფლიო ენერგორესურსებით.

პატივისცემა: ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით გარემოს, რომელშიც ვსაქმიანობთ. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ქვეყნის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებით. ჩვენ საკუთარ თავს ვუდგენთ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ვიქცევით იმგვარად, რომ ირგვლივ მყოფთა ნდობა დავიმსახუროთ.

სრულყოფილება: ჩვენს ბიზნესს თან ახლავს პოტენციური საფრთხეები და ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ, მაქსიმალურად დავხვეწოთ ჩვენი ოპერაციები და თანმიმდევრულად და რაციონალურად ვმართოთ ჩვენი ბიზნესი. ჩვენ ზედმიწევნით ვიცავთ და ვასრულებთ იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც ჩვენი კომპანიისთვის დავადგინეთ.

გამბედაობა: ხშირად, საუკეთესო შედეგების მიღწევა ჩვენგან მოითხოვს გამბედაობას, რომ გავუმკლავდეთ სირთულეებს, ღიად გამოვხატოთ ჩვენი აზრი და არ გადავუხვიოთ ჩვენს პრინციპებს. ჩვენ მუდამ ვცდილობთ, რომ ვიმოქმედოთ სწორად. ვეძებთ ახალ ხედვებს და დახმარების თხოვნის არ გვეშინია.

ერთი გუნდი: რა ინდივიდუალური ღირსებებიც არ უნდა გავაჩინდეს თითოეულ ჩვენგანს, ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით მეტს მივაღწევთ. ჩვენ გუნდის ინტერესებს პირად წარმატებაზე წინ ვაყენებთ და ვზრუნავთ მთელი გუნდის პოტენციალის ამაღლებაზე.

ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომელთა უმაღლესი პროფესიული განათლების დაფინანსებას, რაც მათ შესაბამისი ოფიციალური კვალიფიკაციის ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის მიღების შესაძლებლობას აძლევს. ჩვენ ასევე ვაფინანსებთ ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს. 2014 წელს ინგლისური ენის კურსი. გაიარა 100-მა ტექნიკოსმა.

ჩვენ ასევე ხელს ვუწყოთ ჩვენი თანამშრომლების კარიერულ წინსვლას და ფართო გამოცდილების შეძენას რეგიონის მასშტაბით, BP-ის აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რეგიონალური დანაყოფის შემადგენლობაში. 2014 წელს ჩვენი რვა თანამშრომელი გაემგზავრა სამუშაო მივლინებით საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის დიდ ბრიტანეთში. ორი მათგანი უკვე დაბრუნდა საქართველოში და ისინი განაგრძობენ საქმიანობას სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში.

ჩვენი „ქცევის კოდექსი“

ჩვენი „ქცევის კოდექსი“ განსაზღვრავს ჩვენ მიერ ალბულ ვალდებულებას დავიცვათ ბიზნეს ეთიკის მაღალი სტანდარტები კომპანიის სტრუქტურის ფარგლებში.

კოდექსი ეფუძნება ჩვენს ღირებულებებს და განმარტავს იმ პრინციპებს და მოლოდინებს, რომლებიც BP-ში მომუშავე ყველა ადამიანმა უნდა დაიცვას. ეს ეხება ყველა თანამშრომელს, ოფიცერს თუ საბჭოს წევრს.

ჩვენ ყველა ჩვენი კონტრაქტორისგან და მათი თანამშრომლებისგან ველით მოიქცნენ ისე, რომ მათი ქცევა შეესაბამებოდეს ჩვენი კოდექსის წესებს. ჩვენ მივიღებთ სათანადო ზომებს იმ შემთხვევაში, თუ დავრწმუნდებით, რომ მათი ქცევა არ შეესაბამება ჩვენს სტანდარტებს ან მათ სახელმწიკრულებო ვალდებულებებს.

„ქცევის კოდექსის“ ცოდნაზე სერტიფიცირების გავლა

ჩვენ თანამშრომლებს ვუტარებთ ტრენინგებს და ვაწვდით სრულყოფილ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ვრცელდება კოდექსის პრინციპები მუშაობის პროცესზე. აღნიშნულ თემაზე 2014 წელს საქართველოში ჩვენს ყველა ობიექტზე თანამშრომლებისთვის ჩავატარეთ მოკლე თათბირები. BP საქართველოში მუშაობის დაწყებისთანავე ახალი თანამშრომლები გადიოდნენ ტრენინგს. გარდა ამისა, ყოველწლიურად ჩვენს თანამშრომლებს მოეთხოვებათ ქცევის კოდექსის ცოდნაზე სერტიფიცირების გავლა. ეს პროცესი შეახსენებს ჩვენს თანამშრომლებს, რომ ისინი ვალდებული არიან დაიცვან BP-ის ღირებულებები, სათანადოდ მოიქცნენ და შექმნან ისეთი გარემო, სადაც ადამიანები შეძლებენ დამაჯერებლად ისაუბრონ პრობლემებზე. ჯამში, 2014 წელს 270-ზე მეტმა თანამშრომელმა და კონტრაქტორმა გაიარა „ქცევის კოდექსზე“ ცნობიერების ამაღლების პროგრამა საქართველოში.

ღია გარემო

BP საქართველო უზრუნველყოფს ღია გარემოს, სადაც ჩვენს თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და სხვებს, ვისთანაც კავშირი გვაქვს, საშუალება აქვთ ღიად ისაუბრონ და დასვან კითხვები ჩვენი ქცევის კოდექსის შესახებ ან ისეთ თემებზე, რაც მათი აზრით სახიფათო, არაეთიკური ან პოტენციურად ზიანის მომტანია. ხდება თანამშრომლების წახალისება, განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხები და პრობლემები მათ ზემდგომ მენეჯერებთან, მათი გუნდის, შესაბამისი მხარდამჭერი ჯგუფების მენეჯერებთან ან BP-ის კონფიდენციალური ცხელი ხაზის მეშვეობით. 2014 წელს დაფიქსირდა „ქცევის კოდექსის“ დარღვევის რამდენიმე შემთხვევა BP საქართველოში, რომლებიც დასრულდა დისციპლინური ზომების გატარებით და სამსახურიდან გათავისუფლებით.

BP-ი ატარებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც რჩევას ითხოვენ. საუბრობენ პრობლემებზე, აქვთ ინფორმაცია სამსახურებრივ გადაცდომაზე ან მონაწილეობენ მოკვლევებში.



ადამიანის უფლებები

ჩვენი მიზანია ვაწარმოოთ ბიზნესი ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ყველა ადამიანის ღირსება და უფლებები.

2014 წელს

270

–ზე მეტმა

თანამშრომელმა და კონტრაქტორმა გაიარა „ქვევის კოდექსზე“ ცნობიერების ამაღლების პროგრამა საქართველოში.



BP ვალდებულია დაიცვას საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებები ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია „შრომის სფეროში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“. ეს ნიშნავს ისეთი საკითხების ეფექტურ მართვას, როგორიცაა პერსონალის კეთილდღეობა, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, წყლით სარგებლობა, ჰაერის ხარისხი და შესაძლო ზემოქმედება ადგილობრივი თემების საარსებო წყაროებზე, მაგალითად, მიწის ნაკვეთის შეძენის შედეგად.

BP-ს 2013 წელს გამოცემული ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკაში ასახულია მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც BP-ს ყველა თანამშრომელს და ნებისმიერ პირს, ვისთანაც ურთიერთობას ვამყარებთ, სამართლიანად, პატივისცემით და ღირსეულად უნდა მოვეპყრათ კომპანიის ქვევის კოდექსის მოთხოვნების დაცვით. პოლიტიკა ავალდებულებს კომპანიას აწარმოოს საქმიანობა იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს ყველა ადამიანის უფლება და ღირსება, როგორც ამას ადამიანის უფლებების მარეგულირებელ საერთაშორისო შეთანხმებები გვავალდებულებს. აქ იგულისხმება ისეთი დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა, მომწოდებლები და კონტრაქტორების პერსონალი.

BP უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა ნებაყოფლობითი პრინციპების დოკუმენტის ერთ-ერთი ხელისმომწერია. მოცემულ დოკუმენტში განმარტებულია ყველა ის პრინციპი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენი ოპერაციების უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად იმ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას.

2014 წელს საქართველოში ჩავატარეთ ორი სემინარი, რათა უკეთ გაგვეგო მიმდინარე პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ დაინტერესებული მხარეების მხრიდან გაიზარდოს მოთხოვნა კომპანიების მიმართ, რათა მათ ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვის პასუხისმგებლობა იკისრონ.

პირველი სემინარი განმზღვნილი იყო BP-ის სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე თანამშრომლებისთვის. სემინარის მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების ზემოქმედება და მათი შესაძლო გავლენა ბიზნესზე, რისკების ადრეული გამოვლენის მნიშვნელობა, შემცირება და ადამიანის უფლებების საკითხების მართვა.

მეორე სემინარი განმზღვნილი იყო BP-ის SCP გამსაღენის გაფართოების პროექტის პერსონალისთვის და კონტრაქტორებისთვის. BTC/SCP მილსადენების მშენებლობის კონტექსტის განხილვის და მიღებული ინფორმაციის შედეგად სემინარის მონაწილეებმა გამოავლინეს და შეაფასეს შესაძლო გამოწვევები. მათ შორის, მაგალითად, იყო სამუშაო ადგილების რაოდენობასთან დაკავშირებით არარეალისტური მოლოდინებით გამოწვეული ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრები. სემინარის დროს გამოვლინდა რისკების პრევენციისთვის და რეაგირებისთვის აუცილებელი შესაძლო ქმედებები.

ჩვენ ტრენინგი ჩავუტარეთ უშიშროების ახალ ოფიცრებს BP საქართველოს თბილისის ოფისში და SCP გამსაღენის გაფართოების პროექტის ობიექტებზე. ტრენინგის მიზანი იყო მათი ცნობიერების ამაღლება საერთაშორისო კანონმდებლობის, უშიშროების და ადამიანის უფლებების საკითხებში, მათ შორის, ნებაყოფლობითი პრინციპების, საქართველოს შესაბამის კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული BP-ს პოლიტიკის შესახებ.

ჩვენ აგრეთვე ჩავუტარეთ აღნიშნულ თემებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროში შემაჯავლი განსაკუთრებული დანიშნულების ქვედანაყოფის წევრებს, რომელთა პასუხისმგებლობას დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) დაცვა წარმოადგენს.


ადამიანის უფლებების პოტენციური ზემოქმედების სფეროები ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში




ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე

საქართველოში ჩვენ მიერ განხორციელებულმა ინვესტიციამ და საქმიანობამ დადებითი გავლენა მოახდინა სახელმწიფო შემოსავლების მატებაზე, სამუშაო ადგილებისა და მიწოდების ქსელში ახალი შესაძლებლობის შექმნაზე.


საგადასახადო და სატარიფო გადასახდელები (\$ მლნ.)



საოპერაციო და კაპიტალური ხარჯები (\$ მლნ.)



გადახდები ადგილობრივი კომპანიებისთვის (\$ მლნ.)



72

ქართული კომპანიის თანამშრომლები ჩვენი ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილი არიან და მონაწილეობას იღებენ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ფინანსური და ეკონომიკური წვლილი

ჩვენი სატარიფო და მოვების გადასახადიდან შემოსულობები, რომლებიც დაკავშირებულია მილ-სადენის გამტარუნარიანობასთან, ჩვენ სტაბილური და მნიშვნელოვანი წვლილი შეგვავსებს ეროვნულ საგადასახადო შემოსავლებში:

- BTC-ის ყველა ბიზნეს პარტნიორის მიერ გადახდილი მოვების გადასახადის ჯამმა 2014 წელს \$36.4 მილიონი შეადგინა, ხოლო 2013 წელს კი იგივე მაჩვენებელმა – \$35 მილიონი.
- WREP-ის სატარიფო გადასახადებიდან საქართველოს ბიუჯეტში შემოსავალმა \$7.7 მილიონი შეადგინა, ხოლო 2013 წელს იგივე მაჩვენებელი \$7 მილიონი იყო.

ჩვენ ასევე წვლილი შეგვავსებს საქართველოს ექსპორტის საერთო მოცულობაში. ოფიციალური სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ჩვენი მილსადენის ოპერაციების შედეგად ჩვენმა წვლილმა დაახლოებით 9% შეადგინა საექსპორტო მომსახურების საერთო მოცულობაში 2014 წელს.

ჩვენ ვახორციელებთ ინვესტირებას, რათა მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი ბიზნესი საქართველოში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, SCP გაზსადენის გაფართოების პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინვესტიციას ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში. მოცემული საკითხი უფრო დეტალურად მოცემული ანგარიშის შესაბამის თავშია აღწერილი. ჩვენს მიმდინარე ოპერაციებში საოპერაციო ხარჯების წილმა 2014 წელს საქართველოში ჯამში \$119 მლნ შეადგინა, ხოლო 2013 წელს ეს მაჩვენებელი \$133 მლნ იყო. 2014 წელს კაპიტალურმა ხარჯებმა დაახლოებით \$20 მლნ შეადგინა, 2013 წელს ეს მაჩვენებელი \$17 მლნ იყო.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ გავრძელებთ თანამშრომლობას ადგილობრივ კონტრაქტორებთან. ჩვენ მოვითხოვთ კონტრაქტორებისგან, რომელთა პერსონალი ძირითადად BP-ს ობიექტებზე მუშაობს, რომ მათ შეძლებისდაგვარად, პერსონალი დააკომპლექტონ საქართველოს მოქალაქეებით და ქვეკონტრაქტები გააფორმონ ან შეიძინონ მარაგები ადგილობრივი კომპანიებისგან.

ამჟამად, ჩვენი კონტრაქტებით მათ მოეთხოვებათ განმარტონ, როგორ გეგმავენ გაზარდონ ადგილობრივი პერსონალის ხვედრითი წილი საკუთარი პერსონალის შემადგენლობაში. ჩვენი შეფასებით ჩვენი მომწოდებლების დაახლოებით 80% ადგილობრივი კომპანიები. ჩვენ ასევე კონტრაქტორებისგან მოვითხოვთ ადგილობრივი გამოყვანილი პერსონალის უნარების და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას და მათთვის ტრენინგების ჩატარებას.

2014 წელს, ჩვენ მიერ ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხების მოცულობამ საერთო ჯამში დაახლოებით \$72 მლნ. შეადგინა, 2013 წელს ეს მაჩვენებელი \$77 მლნ. იყო.

ადგილობრივ კომპანიებში სტანდარტების ამაღლება

კონტრაქტორები ვალდებული არიან დააკმაყოფილონ ჩვენი სტანდარტები და ამისათვის მათ ხშირად ესაჭიროებათ ტრენინგის გავლა BP-ის პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე და ასევე მუშაობის პროცესში. სამუშაო ობიექტებზე კონტრაქტორები ტექნიკურ ტრენინგს რეგულარულად გადიან და ჩვენ უზრუნველყოფთ მათი კომპეტენციების განვითარებას. ზოგიერთი კონტრაქტით პირდაპირ გათვალისწინებულია სავალდებულო ტრენინგების ჩატარება ისეთ თემებზე, როგორიცაა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა (HSE) და საინფორმაციო სისტემები.

ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერასთან ერთად, ჩვენ აგრეთვე ვზრუნავთ ბიზნესის წარმართვის სტანდარტების ამაღლებაზე. ჩვენი კონტრაქტის პირობები ავალდებულებს კონტრაქტორებს დაიგვიან BP-ის „ქვეყნის კოდექსი“. კოდექსის შესაბამისად, კონტრაქტორის თანამშრომლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ BP-ს, თუკი თვლიან, რომ ჩვენთან მუშაობის პროცესში კოდექსის პირობების დარღვევას ჰქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ უფლებს გვაქვს კონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად გავარკვიოთ საჩივრის მიზანშეწონილობა და ვითანამშრომლოთ მათთან საკითხის მოსაგვარებლად. სხვა შემთხვევებში, BP-ს შეუძლია უშუალოდ თანამშრომელს დაუკავშირდეს. „ქვეყნის კოდექსში“ პირდაპირ განმარტებულია, რომ ჩვენ, საჭიროების შემთხვევაში, უფლებს გვაქვს ჩავატაროთ შიდა მოკვლევა.

ჩვენი სახელმწიფოებო პირობები ახლა უკვე მოიცავს ისეთ დებულებებს, რომელთა მიხედვით კონტრაქტორს მოეთხოვება რიგი ზომების გატარება, რომლებიც ხელს უწყობენ კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას თანამშრომლებთან. აქ იგულისხმება, მაგალითად, კადრების შერჩევის ღია და გამჭვირვალე პროცესები, შესაბამისობა ადამიანისა და შრომითი უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობასთან და საჩივრების და დავების განხილვის შესაბამისი პროცედურები. აგრეთვე, არსებობს კონკრეტული მოთხოვნები BP-ის რეგულარულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვამოწმებთ ჩვენი კონტრაქტორების დასაქმების პრაქტიკას, თუ რამდენად შეესაბამება ის ადგილობრივ სოციალურ მოთხოვნებს. აუდიტი ისეთ საკითხებს ამოწმებს, როგორიცაა კადრების შერჩევის პრაქტიკა, სამუშაო პირობები, კადრების შემცირების და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის, დისციპლინური, და საჩივრების განხილვის პროცედურები. 2014 წელს ჩვენ შევამოწმეთ კონტრაქტორი, რომელიც ახორციელებს მილსადენების საცხენოსნო პატრულებას. მათ დაახლოებით 170 ადამიანი ჰყავთ დასაქმებული.

მუშაობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენი, როგორც უსაფრთხო და საიმედო ოპერატორის წარმატება, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია ჩვენი კონტრაქტორების შესაძლებლობებსა და საქმიანობის შედეგებზე.

დავით ბეთანელი

დირექტორი, შპს „საინჟინრო სერვისი“

„ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი მიზანია ვიცოთ ღია, სამართ-
ლიანი და კონსტრუქციული პარტნიორებთან და თანამშ-
რომლებთან ურთიერთობის პროცესში. ჩვენი თანამშრომ-
ლები პირად პასუხისმგებლობას იღებენ მუშაობის ხარისხზე
და შედეგების გუნდი ეხმარება მათ ამ საქმეში.

ჩვენ ხანგრძლივი ურთიერთობა გვაკავშირებს BP საქარ-
თველოთთან; ჩვენ უზრუნველყოფთ BTC/SCP მილსადენების
საცხენოსნო პატრულირებას. 2014 წელს BP აუდიტორთა
ჯგუფმა გადახედა ჩვენს პროცედურებს და ჩაატარა ინტერვი-
უები ჩვენს ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან.
აუდიტის შედეგად გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომელთა
გამოსწორება იყო საჭირო. ყველაზე მნიშვნელოვანი მიწნება
აუდიტის დასკვნის თანახმად იყო მკაფიო, გამჭვირვალე და
თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების მიცემა კადრების
შერჩევის პროცესში. ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა
შრომითი ხელშეკრულებების დახვეწას, თანამშრომლების-
თვის სამუშაოს წერილობითი აღწერილობების შემუშავებას
და მოწოდებას, და საჩივრების განხილვის პროცედურის
შემოღებას.

აღნიშნული რეკომენდაციების შედეგად, ჩვენ ვახორ-
ციელებთ მთელ რიგ მნიშვნელოვან ცვლილებებს.
გადავხედე და გადაახლეე თანამშრომლების შრომითი
ხელშეკრულებები, შევიმუშავეთ სამუშაოთა აღწერილობები.
ჩვენ ჩამოვადგინეთ საჩივრების განხილვის პოლიტიკა,
რომელიც ასახულია პერსონალის ახალ სახელმძღვანე-
ლოში. ჩვენი კადრების შერჩევის პროცესი ახლა უფრო
გამჭვირვალე გახდა და დასაქმების თანაბარ შესაძლებლო-
ბებს აძლევს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ პროექტის
განხორციელების არეალში. ჩვენ ამჟამად ვაგრძელებთ
ზოგიერთი რეკომენდაციის განხორციელებას და ვგეგმავთ
დავასრულოთ აღნიშნული პროცესი დადგენილ ვადებში.

ჩვენ იმედს გვაქვს, რომ აუდიტორულ ჯგუფთან ჩვენი
თანამშრომლობა დაგვცხმარება დაგვაკმაყოფილოთ BP-ს
მოთხოვნები და ყოველივე ეს ასევე გამოგვადგება ჩვენს
მომავალ საქმიანობაში“.



ჩვენი თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის მოეწყო სემინარი, რომელიც მიზნად ისახავდა
ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების შემოქმედებაზე და მათ
შესაძლო გავლენაზე ბიზნესზე.

BP საქართველოს სოციალური აუდიტის ჯგუფმა
განიხილა არსებული პროცედურები და ჩაატარა
ინტერვიუები კონტრაქტორი კომპანიის ხელმძღ-
ვანელობასთან და მათ თანამშრომლებთან. ხელმ-
ძღვანელობას გაეწია რეკომენდაციები ძირითადად
კადრების შერჩევის პროცესების გაუმჯობესების,
შრომითი ხელშეკრულებების და საჩივრების გან-
ხილვის პროცედურის შემუშავების კუთხით.

კონტრაქტორების დახმარების მიზნით გარემოს-
დაცვითი და სოციალური საკითხების მართვის
საქმეში, ჩვენ კონტრაქტორებისთვის 2014 წელს
შევიმუშავეთ სპეციალური გარემოსდაცვითი
და სოციალური საკითხების მართვის სტანდარ-
ტული სახელმძღვანელო მოდელი. მოცემული
მოდელის მიზანია გარემოსდაცვითი და სოცი-
ალური მართვის სფეროში მაღალი ხარისხის
მიღწევა და BP საქართველოს გარემოსდაცვით
და სოციალურ ვალდებულებებთან შესაბამისო-
ბის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მოდელში მოცემულია სტანდარტების და საორ-
განიზაციო მოთხოვნების ფართო სპექტრი. მათ
შორისა გარემოსდაცვითი საკითხები, ნიადაგის
შენარჩუნება, დაბინძურების პრევენცია და კონ-
ტროლი, ფლორის და ფაუნის დაცვა, გარემოს
დაცვა, ნარჩენების მართვა და ნალექის კონტ-
როლი, ნაყარი გრუნტის მართვა და ადგილის
აღდგენითი სამუშაოების მეთოდები.

აგრეთვე, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურ-
თიერთობა და უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა
და სერვისები, დასაქმება და გადამზადება, ტრანს-
პორტის მართვა და სოციალური მონიტორინგის
პროგრამები, რაც სავალდებულოა პროექტის
განხორციელების არეალებში.

ჩვენი გუნდი ეხმარება კონტრაქტორებს სო-
ციალური რისკების შეფასებების მომზადების
პროცესში. BP-ის გუნდის წევრები ეცნობიან
წინასაშენებლო კვლევებს, რათა დარწმუნდ-
ნენ, რომ კონტრაქტორებს გათვითცნობიერებული
აქვთ დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებული
რისკები და ისინი ითვალისწინებენ სათანადო
ზომებს რისკების აღმოფხვრის ან შერბილების
მიზნით.

საქართველოში წარმომადგენელი ეკონომიკური ღირებულება, 2014 წ.

თანამშრომლები	საოპერაციო და კაპიტალური ხარჯები	ადგილობრივი კომპანიები	მთავრობა
ჩვენ უშუალოდ დაქი- რავებული გვაქვს 530-ზე მეტი ადამიანი. თანამშ- რომელთა ხელფასები და დახმარებები გაიცემა აგრეთვე BP-ს სააგენტოს და ადგილობრივი პერსო- ნალისთვის.	აქ შედის საოპერაციო ხარჯები და ხარჯები ახალი ინიციატივებისთვის და პროექტებისთვის	გადახდები ჩვენი ადგილობრივი მოწოდებლების ქსელის კომპანიებისთვის.	სატარიფო და მოგების გადასახადის გადახდები
\$22 მლნ.	\$139 მლნ.	\$72 მლნ.	\$36.4 მლნ.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტი (SCPX)

ეს მასშტაბური წამოწყება უკვე რეალობად იქცა. ამჟამად უკვე დაწყებულია საკომპრესორო სადგურების მშენებლობა და ქვეყანაში მიწების სექციების შემოტანა.


2014 წელს გაფორმდა

\$528 მილიონიანი

კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს SCPX პროექტის ობიექტების მშენებლობას და ექსპლუატაციაში შეყვანის სამუშაოებს საქართველოში.



სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტი: კომპანიათა წილობრივი მონაწილეობა



BP-ი, თავის პარტნიორებთან ერთად, აგრძელებს შაჰდენიზის საბადოს სრულმასშტაბიან ათვისებას კასპის ზღვაში, საიდანაც გაზის ტრანსპორტირება მოხდება სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მეშვეობით. შაჰ დენიზის საბადოს მე-2 ეტაპის განვითარება გულისხმობს 26 წყალქვეშა ჭაბურღილის გაბურღვას, ხიდებით დაკავშირებული 2 პლატფორმის აშენებას და გადამამუშავებელი და საკომპრესორო ნაგებობების აგებას სანგაჩალის ტერმინალზე ამერბაიჯანში.

იმისათვის, რომ გაზი მიეწოდოს მომხმარებელს, დაგეგმილია არსებული სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოება სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში (SCPX).

სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოების პროექტი სისტემის პირველ რგოლს წარმოადგენს, რომელიც ინტეგრირებული მიწისქვეშა გაზსადენებისგან შედგება და ახალ სამხრეთ კავკასიური გაზის კორიდორს ქმნის. როდესაც მშენებლობა დასრულდება, სამხრეთის კორიდორის სიგრძე დაახლოებით 3500 კილომეტრს შეადგენს და მის შემადგენლობაში იქნება SCPX, ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP) და ტრანსადრიატიკული გაზსადენი (TAP). ნავარაუდევია, რომ მოცემული ქსელის მეშვეობით წელიწადში 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზი იქნება მიწოდებული მილიონობით მომხმარებლისთვის საქართველოში, თურქეთში, საბერძნეთში, ბულგარეთსა და იტალიაში.

გაზის პირველი პარტიის მიწოდება საქართველოსა და თურქეთის მომხმარებლებისთვის 2018 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი, ხოლო ევროპისთვის გაზის მიწოდება 2020 წელს დაიწყება.

ძირითადი კონტრაქტების უმეტესობა 2014 წელს გაფორმდა, \$528 მილიონიანი კონტრაქტის ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს SCPX პროექტის ობიექტების მშენებლობას და ექსპლუატაციაში შეყვანის სამუშაოებს საქართველოში. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა ამ კონტრაქტის ფარგლებში, რომელიც Bechtel Enka Joint Venture-ს გაუფორმდა (რომელიც


საქართველოში განსახორციელებელი შეთავაზებული პროექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ახალი, 48 ლუიმის დიამეტრის მიწისქვეშა მშენებლობა, რომელიც პარალელურად მოუყვება BTC/SCP მიწისქვეშა გაზსადენის, საქართველო-ამერბაიჯანის საზღვრიდან 63 კილომეტრის მანძილზე და არსებულ სამხრეთ კავკასიურ გაზსადენს უერთდება. დამატებითი ჩამკეტი სარქველი და მიწისქვეშა დგუშის გამშვები სადგური
- 1-ლი ნავთობსაქსი სადგურის მიმდებარე განთავსებული ახალი საკომპრესორო სადგური (CSG1) გარდაბანში. მე-2 საკომპრესორო სადგური (CSG2) არსებულ სამხრეთ კავკასიურ გაზსადენზე, წალკის წყალსაცავის დასავლეთით.
- 16 კილომეტრი სიგრძის ახალი მისასვლელი გზა, რომელიც მე-2 საკომპრესორო სადგურს სამხრეთ-აღმოსავლეთით დააკავშირებს. სოფელ ნარდევანთან წნევის მარეგულირებელი და გამაგამოზომი სადგური (PRMS), მოქმედი მე-80 გაზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველო-თურქეთის საზღვრის სიახლოვეს 2,5 კმ სიგრძის შემართებული მიწისქვეშა PRMS-დან თურქეთის საზღვრამდე, რომელიც სამხრეთ კავკასიურ გაზსადენს თურქეთის ტერიტორიაზე მშენებარე ტრანსანატოლიის გაზსადენთან (TANAP) დააკავშირებს. მშენებლობის დამხმარე ბანაკების, მიწების საწყობების, აგრეთვე მასალებისა და ტექნიკის სასაწყობო მოედნების მოწყობა.

შედგება Bechtel International Inc. და ENKA İnşaat ve Sanayi A.Ş.-ს განიხილვის წინაშე 16 კმ. მისასვლელი გზის, წნევის დამწევი და სააღრიცხვო სადგურის მშენებლობას.

კონტრაქტები მიწისქვეშა და ობიექტების საინჟინრო და მიკროტუნელირების ოპერაციებისათვის, და მტკვრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე გადაკვეთის ქვეშ მიწის სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად ასევე 2014 წელს გაფორმდა.

სამხრეთის დერეფნის რუკა



ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შესწავლა

ჩვენ განვადგომით ადგილობრივ მთავრობასთან და მოსახლეობასთან თანამშრომლობას პროექტის მსვლელობის პერიოდშიც.

კითხვა: როგორ დაგეგმეთ, რომ კერძო საკუთრებაში მყოფი მიწისთვის კომპენსაციის გაცემის პროცესი სამართლიანად მიმდინარეობს?

პასუხი: მიწის კერძო მესაკუთრეების დადგენა, მათთან დაკავშირება, საკუთრების უფლების განსაზღვრა, დათანხმება გაყიდვებზე, იჯარის და კომპენსაციების გაცემის საკითხების მოგვარება და აღნიშნული პროცესების მართვა საკმაოდ პრობლემატურია. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში მიწის მესაკუთრე გაურკვეველია, ან რეგისტრაცია არ არის დასრულებული. ანდა, მიწის მესაკუთრე შეიძლება გარდაცვლილი იყოს, საზღვარგარეთ იმყოფებოდეს, ან მისი მოძებნა იყოს შეუძლებელი. თუ საქმე ასეთ შემთხვევასთან გვაქვს, ჩვენ უნდა მივმართოთ სასამართლოს იმის გასარკვევად, შეგვიძლია თუ არა მოვიპოვოთ ამ მიწაზე შესვლის უფლება. მიწის მესაკუთრეებისთვის პროცესის გამარტივების მიზნით, კომპენსაციების გაცემის პროცესი დეტალურად არის აღწერილი ორ დოკუმენტში, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. პროცესის დასაწყისში ჩვენ მითითებები ასევე მივეცით მიწის თითოეულ კერძო მესაკუთრეს ან მოსარგებლეს.

დავით მაისურაძე
BP-ის მიწის საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი



თანამშრომლები საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სასწავლო წვრთნისთვის ემზადებიან.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შეფასება

დაინტერესებული მხარეების კონსულტირება SCPX პროექტის განვითარების შემადგენელი ნაწილია. ამოსავალი წერტილი ამ საკითხში არის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიში“ (ESIA). „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიში“ წარმოადგენს ერთგვარ ბაზისს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს პროექტის შემოქმედების შეფასება, გამოვლინდეს პოტენციური უარყოფითი და დადებითი ეკოლოგიური და სოციალური ზეგავლენა, განისაზღვროს შემარბილებელი ზომები, მოხდეს პროექტის გეგმის შესახებ ინფორმირება და შესაძლებელი იყოს დამყარდეს ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან. ESIA განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის შესაბამისად და დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს.

ძირითადი ESIA-ის დამტკიცების შემდგომ, პროექტის საწყის გეგმაში ცვლილებები შევიდა. აღნიშნული ცვლილებები აისახა ESIA-ს დანართში, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას 2014 წლის დეკემბერში და რომელიც მთავრობამ დამტკიცა 2015 წლის თებერვალში.

შეტანილი ცვლილებების გამო საჭირო გახდა დამატებითი კონსულტაციების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან, ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან, რომლებიც ყველაზე ახლოს ცხოვრობენ მილსადენის დამატებით სექციებთან. წამოჭრილი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების უმრავლესობა იყო პროექტის შემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობისგან დასაქმების შესაძლებლობებთან და კადრების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით. პასუხები გაიცა ყველა მიღებულ შენიშვნას.

ჩვენ განვადგომით დაინტერესებულ მხარეებთან კავშირს და კონსულტაციებს პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის. ეს ურთიერთობა გულისხმობს დაინტერესებული მხარეების წახილების გაცნობას და მათზე რეაგირებას.

ESIA-ს ფარგლებში საჯარო კონსულტაციებთან ერთად, აუცილებელია ურთიერთობა ადგილობრივ და ეროვნულ ხელისუფლებასთან მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების მიზნით.

დეტალური ინფორმაცია, იხილეთ „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიში“ (ESIA) არატექნიკურ რეზიუმეში: bpgeorgia.ge

გორდონ ბირელი BP-ს რეგიონული პრეზიდენტი აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში

„ჩვენ ამ დროისთვის SCPX-სთან და მასთან ასოცირებული გაფართოების ობიექტებთან დაკავშირებული თითქმის ყველა კონტრაქტი გავაფორმეთ აზერბაიჯანსა და საქართველოში. მე მოხარული ვარ, რომ სამშენებლო სამუშაოების უმრავლესობა შესრულდება აზერბაიჯანის და საქართველოს კომპანიების მიერ, რაც სარგებელს მოუტანს ორივე ქვეყანას“.

„ჩვენ მოხარულები ვართ, რომ შპს დენიშ 2 და სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტი განხორციელების პროცესშია ყველა მონაკვეთზე. მუშაობა დაიწყო ქურთუკების და იატაკის ზედამირების საწარმოო ბაზებსა და აგრეთვე სახმელეთო ტერმინალის სამშენებლო ობიექტებზე. ზოგადად, ბურღვითი სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს იმტიგალის და ჰეიდარ ალიევის საზღვარიდან დადგარებით, უკვე გაიბურღა 7 ჰა ბაზის პირველი გამგებიისთვის 2018 წლის ბოლოს“.



კითხვა: რას აკეთებთ იმისათვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების მაქსიმალური შესაძლებლობა მისცეთ SCP სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში?

პასუხი: ჩვენ კონკრეტულ პრინციპებს და მიზნებს ვეყრდნობით ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებასთან მიმართებაში.


აღნიშნული პრინციპების მიხედვით კონტრაქტორებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ადგილობრივი კადრების დასაქმებას და უზრუნველყონ მოცემული მოთხოვნის ასახვა ყველა ქვეკონტრაქტში. მათ მაქსიმალურად უნდა გაზარდონ პროექტის განხორციელების არეალში მყოფი ადგილობრივი თემების და მუნიციპალიტეტების, და ზოგადად საქართველოს ეკონომიკური საგრძნობელი. მათ უნდა მართონ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებული რისკები, როგორცაა დასაქმების პროცესთან დაკავშირებული საჩივრები. მათ, შეძლებისდაგვარად, თავი უნდა შეიკავონ ადგილობრივი კადრების გადაყვანისგან ქვეყნის საზღვრებს ან სამუშაო არეალის გარეთ სოციალურ დაძაბულობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით.

ამ პრინციპებთან ერთად, დასაქმების სტრატეგია უნდა იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე და თანაბარ შესაძლებლობებზე დაფუძნებული ორივე შემთხვევაში, როდესაც დასაქმების განაცხადების მიღება ხდება მხოლოდ ოფიციალური შერჩევის პროცედურის მეშვეობით და როდესაც უპირატესობა ენიჭება არაკვალიფიციური მუშაკების დაქირავებას სამშენებლო ობიექტების მიმდებარე ადგილობრივი მოსახლეობიდან.

იურგენ ფონ ბორისი
BP-ის გარემოს დაცვის და სოციალური ჯგუფის ხელმძღვანელი



SCPX დასაქმება



გზების მშენებლობა

16 კმ. გზის მშენებლობა შესაძლოა სულაც არ მოეჩვენოს ვინმეს განსაკუთრებულ მიღწევად, მით უმეტეს მილსადენებთან შედარებით, რომელთა სიგრძე 100-ჯერ მეტია. მაგრამ მოშორებული ადგილმდებარეობა, მთიანი რელიეფი, 1,700 მეტრამდე სიმაღლე, 3 სოფელი მარშრუტის მანძილზე, და შეთანხმების მიღწევა რამდენიმე ასეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებთან SCPX გუნდისთვის მთელ რიგ გამოწვევებთან იყო დაკავშირებული.

საკომპრესორო სადგური 2 (CSG2) ახალი SCPX-ის მილსადენის უმნიშვნელოვანესი ობიექტი იქნება. მისი დაგეგმვა ადგილმდებარეობა, წალკის ტბის დასავლეთით და მთის ფერდობზე მეტწილად განპირობებული არა მხოლოდ ჰიდრავლიკური მახასიათებლებით, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეგავლენის შემცირების საჭიროებითაც. უბანი მხოლოდ 16 კმ-ის მოშორებით მდებარეობს უახლოესი ცენტრალური გზიდან, მაგრამ ვინაიდან ობიექტებზე მომუშავე ჯგუფს მოუწევს ათასობით ტონა მასალის და ალტერნატივების მიტანა ამ ადგილამდე, აუცილებელია ცალკე მისასვლელი გზის აშენება.

ახალი მისასვლელი გზის მარშრუტი შევსებული იქნა იმგვარად, რომ გვერდი აეღო მოცემული სოფლებისთვის საკომპრესორო სადგურამდე უსაფრთხო და მუდმივი მისასვლელი გზის უზრუნველყოფის და ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეგავლენის მინიშნულამდე შემცირების მიზნით.

მიწის სერვიტუტი და შესყიდვა

პროექტისთვის მიწის სერვიტუტის და შესყიდვის პროცესი 2014 წლის განმავლობაში გაგრძელდა პროექტის შემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მესაკუთრეებთან და მოსარგებლეებთან საკონსულტაციო შეხვედრების პარალელურად. მიწის სერვიტუტთან და შესყიდვასთან დაკავშირებული პროცესი წარმატებით მიმდინარეობს პროექტის გრაფიკის მიხედვით. კომპენსაციების გაცემის პროცესი და პრინციპები შეესაბამება „მიწის შეძენისა და კომპენსაციის ჩარჩო-დოკუმენტის“ (LACF) და „მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის გაცემის სახელმძღვანელოს“ (GLAC) პირობებს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ „კომპენსაციების გაცემის პროცესი და პრინციპები მიწის შეძენისა და კომპენსაციის ჩარჩო-დოკუმენტში (LACF)“ და „მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის გაცემის სახელმძღვანელოში“ (GLAC): bpgeorgia.ge.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

SCPX პროექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ყველა ცნობილ და პოტენციურ უბანზე განხორციელდა I ფაზის კულტურული მემკვიდრეობის კვლევები საველე და სამაგიდო კვლევების ჩათვლით, არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე და BTC/SCP-ის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის სარგებლის უზრუნველყოფა

ახალი გზა არა მხოლოდ საკომპრესორო სადგურისთვის ალტერნატივების და მასალების მისაბრუნებლად იქნება გამოყენებული, არამედ სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობასაც.

გზის მშენებლობა და მასთან მიმდებარე ბანაკი დასაქმების შესაძლებლობას გაუზრდის ადგილობრივ მოსახლეობას და ეს გაგრძელდება მშენებლობის სრული ციკლის მანძილზე. მაგრამ მშენებლობის ადგილის შერჩევის თაობაზე მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა. ამას გარდა, მშენებლობის დასრულების შემდეგ მოსახლეობა შეძლებს გზის გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო მანქანების გადაადგილებისთვის ან უფრო იოლად, და სწრაფად მისასვლელად სოფლებში.

„ეკრძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების უმრავლესობა მდებარეობს სოფ. ნარდევანს, ქუშსა და ბერთას შორის მარშრუტის პირველ ნაწილში, ხოლო გზის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს“, განმარტავს იურგენ ფონ ბორისი, გარემოს დაცვის და სოციალური ჯგუფის ხელმძღვანელი. ჩვენ გვქონდა დეტალური და ლია მოლაპარაკებები მიწის მესაკუთრეებთან რამდენიმე თვის განმავლობაში, რომლებიც ჩატარდა BP-ს სოციალური და გარემოს დაცვის ვალდებულებების და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასების შესაბამისად.

გზის მარშრუტი შეირჩა ყველა შესაძლო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის და ჭარბტენიანი ტერიტორიების გვერდის ავლით, რაც მნიშვნელოვანია როგორც ლალეების, როტოს ჯიმის ფრინველის, სახვოვრებული ადგილი. მარშრუტი არ გადის აღნიშნული ტერიტორიის შუაგულში, მაგრამ გარემოს დაცვის ჯგუფებმა მაინც აიღეს ვალდებულება ჩაატარონ რეგულარული კვლევები ფრინველთა პოპულაციებზე უარყოფითი ზეგავლენის მონიტორინგის მიზნით.

II და III ფაზების განმავლობაში უფრო მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა იმ ადგილებში, სადაც ვიზუალურად შეინიშნებოდა არქეოლოგიური მახასიათებლები, ან გარკვეული არქეოლოგიური პოტენციალი არსებობდა. ასეთი სამუშაოები განხორციელდა წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის და მარნეულის რაიონებში. მაგალითად, ტრანსანატოლიური ბუნებრივი გაზსადენის (TANAP) კვანძზე საქართველო-თურქეთის საზღვართან ახლოს ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩენილი იქნა რამდენიმე ერთ- და მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომლებიც ეკუთვნის პერიოდებს დაწყებული ადრეული ბრინჯაოს ხანიდან (დათარიღებული მე-4-მე-3 საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე), და დამთავრებული გვიანი შუასაუკუნეების პერიოდით. უფრო მასშტაბური არქეოლოგიური სამუშაოების დასრულება მშენებლობის ტერიტორიაზე 2015 წლისთვისაა დაგეგმილი.

SCPX-ის ეკონომიკური სარგებელი

SCPX უმსხვილესი საინვესტიციო პროექტია საქართველოში, რომლის ფარგლებში გამოყოფილი თანხები დაიხარჯება საქონლის და მომსახურების შესყიდვაზე ადგილობრივი ქსოვილი მომწოდებლებისგან. საქართველოში განხორციელების პროცესში მყოფი პროექტებისთვის მოზილიშებული იქნა კონტრაქტორები და გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. პროექტში 2014 წლის ბოლოსთვის 533 ადამიანი დასაქმდა.

შრომის უსაფრთხოება

გავაგრძელებთ ძალისხმევას, რომ შრომის უსაფრთხოება და საოპერაციო რისკების მართვა ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად ვაქციოთ.



დასახული მიზნები

გავაგრძელოთ მაღალეფექტიანი ბიზნეს საქმიანობა უსაფრთხოდ და საიმედოდ.

გავაგრძელოთ მუშაობა ჩვენი ინდივიდუალური და საწარმოო უსაფრთხოების დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.

ისევე, როგორც გასულ წლებში, გავაგრძელოთ მუშაობა კონტრაქტორებთან, შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებისა და თვითშეგნების ამაღლების მიზნით.

რას მივაღწიეთ

3.9 მილიონი კაცსაბაითი ნამუშევარი დროის და ავტოტრანსპორტით 7.7 მილიონი კილომეტრის გავლის პირობებში, ჩვენს საქმიანობაში არ მომხდარა თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა ან მსხვილმასშტაბიანი ავარია.

პოტენციური ინციდენტების კონტრაქტორების მიერ აღრიცხვიანობა გაიზარდა და საერთო რაოდენობის 31% შეადგინა.

ვასდენთ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს მოთხოვნების, მათი შესრულების, მიღებული გამოცდილებისა და საფრთხეების შესახებ სისტემატურ ინფორმირებას. გავაუმჯობესეთ განმარტებული უწყებების კომპეტენცია.

რას ვაპირებთ

გავაგრძელოთ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

განვახორციელოთ უფრო მკაცრ და სისტემურ თვითშემაჯობებას.

კვლავაც უზრუნველყოფთ კონტრაქტორების უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სისტემების ეფექტურობისა და ორგანიზაციული უსაფრთხოების კულტურის გაუმჯობესებას.

შრომის უსაფრთხოება

ჩვენი მთავარი მიზანია – უსაფრთხო და საიმედო ოპერაციების შესრულება კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნების სრული დაცვით. სამუშაოს შესრულების უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევასთან ერთად, ჩვენთვის უმთავრესია დავიცვათ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობა და ჩვენი წარმოების უსაფრთხოება.

ერთი დღე აკაკი ადგიშვილის ცხოვრებიდან – ობიექტის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელმძღვანელი, BTC PSG1/ SCP A 72


დღე იწყება 07:00–ზე, როდესაც ვესწრები დღის ცვლის გადაბარების შეხვედრას საკონტროლო ოთახში, სადაც ხდება ინფორმაციის მიწოდება, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების და BP საქართველოში ან რეგიონში გასული დღის მანძილზე მომხდარი შემთხვევების განხილვა.

ვმონაწილეობ რისკების შეფასებაში და ნებართვების გაცემის შემდეგ დილით გავდივარ ობიექტის დასათვალიერებლად და შესამოწმებლად, რათა დაგრწმუნდე, რომ ყველა გაცემული ნებართვა და იზოლაციის კონტროლის სერტიფიკატი (ICC) წესრიგშია, სამუშაო ადგილებზე ინსტრუქტაჟი ჩატარებულია, თანამშრომლებს ესმით რისკები და უსაფრთხოების ღონისძიებები სათანადოდ შესრულებულია. ამ საქმიანობით მე დაცვის დამატებით ბარიერს ვქმნი, რათა მოვახდინო სახიფათო ქმედებების და პირობების იდენტიფიკაცია და შევწყვიტო სამუშაო მანამ, სანამ ავარი მოხდება. მეორე მხრივ, ჩემი ფუნქციაა გამოავლინო და წავახალისო უსაფრთხოების კარგი პრაქტიკა.

მე ჩართული ვარ ობიექტის თვითკონტროლის ღონისძიებებში, რაც გულისხმობს ისეთი საქმიანობების შეფასებას როგორებიცაა, გადაფარვებთან, იზოლაცია, საოპერაციო რისკების შეფასება ანუ სამუშაოები და სამუშაო პროცედურები, რათა გამოვავლინო სუსტი რგოლები მათი გამოსწორების მიზნით.

ყოველდღიური საქმიანობა მოიცავს საველე გასვლას ობიექტის გვერდის ხელმძღვანელებთან ობიექტზე ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შემოწმების მიზნით. PSG1, AREA72, PSG1 ბანაკში, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზაზე ან ნარჩენების დაგროვების ცენტრალურ ზონაში, რათა უზრუნველყოფოთ HSE მაღალი სტანდარტების შენარჩუნება ყველა ობიექტზე.

დღის ბოლოს მონაწილეობას ვიღებ „სამუშაო ნებართვის“ შეხვედრაში, სადაც განვიხილავთ დღის განმავლობაში გახიზნულიყოფილ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა შორისაა ნებართვები მომდევნო დღეს დაგეგმილი სამუშაოებისათვის, მათთან დაკავშირებული საფრთხეები, და კონტროლის ღონისძიებები.



პირველი ნავთობსაქაჩი სადგურის სტურები ტოვებენ ობიექტს.

ვგარძელებთ რეგიონალური დანაყოფის დონეზე წარმოების მართვის სისტემის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მუშაობის უსაფრთხოებასა და საიმედოობას.

ვგარძელებთ მუშაობას, რათა მივაღწიოთ ჩვენი ოპერაციების შესაბამისობას OMS-ის მოთხოვნებთან და ამ მიზნით ვატარებთ თვითკონტროლის ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით ვაკონტროლებთ თითოეული მოთხოვნის შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას. ჩვენ მივმართავთ გეგმამომიერ ქმედებებს, რათა შევინარჩუნოთ სტანდარტებთან შესაბამისობა რისკების დონეების შემცირებისა და ჩვენი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

უცვლელი რჩება ჩვენი ვალდებულება – თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები, დავიცვათ ადამიანების უსაფრთხოება და გავუფრთხილოთ გარემოს.

შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები და ინციდენტების შედეგად მიღებული გამოცდილება

2014 წლის განმავლობაში BP-სა და მისი კონტრაქტორების მიერ ნამუშევარმა დრომ 3.9 მლნ. კაცსათი შეადგინა, ხოლო ავტორიზაციისპირატი გავლილი კილომეტრების რაოდენობა 7.7 მილიონს გაუტოლდა, ამასთან, არ მომხდარა არც ერთი უბედური შემთხვევა ან მსხვილი ავარია.

არ დაფიქსირებულა არც ერთი გაცდენა და ალერგია კონტრაქტორი თანამშრომლის სამშენებლო ბანაკში ფეხის წამოკვრის შედეგად დაცემის ერთი შემთხვევა.

აღირიცხა 7 ავტოსაგზაო შემთხვევა, ერთით მეტი შარშანდელ წელთან შედარებით. არც ერთი ხსენებული ინციდენტი არ იქნა კლასიფიცირებული, როგორც „ძვირ“ და ჩატარებული გამოძიებებით დადასტურდა, რომ მათი უმრავლესობა გამოწვეული იყო გარეშე მხარის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

2014 წლის იანვარში აღირიცხა ერთი ინციდენტი, რომლის დროს კონტრაქტორის კატარა ჩაძირა შავ ზღვაში ნაპირიდან 2 კმ.-ში, როდესაც ის ბრუნდებოდა წერტილოვანი ნავმისადგომიდან I. ბორტზე მყოფი 3 ადამიანი დაუყოვნებლივ ევაკუირებულ იქნა ახლოს მყოფ ტექნიკური მომსახურების ხომალდის მიერ. შემთხვევის დროს არავინ დაშავებულია. ჩვენ ამ შემთხვევას „მაღალი რისკის“ კლასიფიკაცია მივანიჭეთ, რომლის შედეგები შეიძლება გაცილებით მძიმე ყოფილიყო ოდნავ განსხვავებულ გარემოებებში.

აღინიშნა ხანძრის 5 უმნიშვნელო შემთხვევა, რომელთაგან არც ერთი არ იყო დაკავშირებული ნავთობპროდუქტებთან და არც ერთი არ მომხდარა გადაუმუშავების ტერიტორიაზე. აღნიშნული შემთხვევები ძირითადად გამოწვეული იყო მცირე ზომის მოწყობილობებში ელექტრული ხარვეზებით. ჩვენ დეტალურად გამოვძიეთ და გამოვასწორეთ თითოეული შემთხვევა.

ჩვენ ვიძიებთ თითოეულ ინციდენტს, რათა გამოვავლინოთ მათი გამოწვევები ფაქტორები და მიზეზები იმისათვის, რომ მივიღოთ სათანადო ზომები მომავალში მათ აღსაკვეთად და მაქსიმალურად შევამციროთ შესაძლო ნეგატიური შედეგები. ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებსა და ჩვენს კონტრაქტორებს, რომ განაცხადონ ყველა შესაძლო ინციდენტის შესახებ. პოტენციური ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მოწოდება ყოველწლიურად უმჯობესდება. 2014 წელს აღიხსნა პოტენციური ინციდენტების რაოდენობა 179–მდე გაიზარდა, 2013 წელს აღიხსნა 143 და 2012 წელს აღიხსნა 76 შემთხვევასთან შედარებით.

გარდა ამისა, ჩვენ ყოველთვიურად ვაანალიზებთ მომხდარ ინციდენტებს და კვარტალში ერთხელ ვამზადებთ ტენდენციის ამსახველ ანგარიშებს, რომელთა მომზადებაში ჩართული არიან ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების, პროექტების, საინჟინრო, ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) განყოფილებების სპეციალისტები. ჩვენ ვაანალიზებთ უშუალო და სისტემურ მიზეზებს, გამოვავლენთ პრობლემურ არეებს, ვათანხმებთ და ვახორციელებთ გამოსასწორებელ ღონისძიებებს.

ჩვენ ვგარძელებთ BP-ის თანამშრომლებისა და კონტრაქტორების ცნობიერების ამაღლებას მიღებული გამოცდილებისა და უსაფრთხოების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა პოტენციური სერიოზული შედეგების მქონე ინციდენტებთან, გველებთან, სითბოსთან, სიციცხლთან, ყინულთან, ცეცხლთან, მოცურებასთან, ფეხის წამოკვრასა და დაგარდანასთან, თითების დაზიანებასთან, ბარიერებთან, სიმძიმის აწევასთან, ბუნებრივ რადიოაქტურ ნივთიერებებთან, უსაფრთხო მართვასთან და ნახშირბადის მონოქსიდის გაუონვასთან დაკავშირებული რისკები.

რისკების შეფასება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მართვა

BP გვერდის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ სისტემატურად ვაანალიზებთ მთავარ რისკებს და ყოველწლიურად ვახალბობთ რისკების რეესტრში ასახულ ინფორმაციას. კვარტალში ერთხელ, ხელმძღვანელი უნდა იკრიბება სრული შემადგენლობით, ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების, პროექტების, ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE), უშიშროების, საინჟინრო-ტექნიკური და მოლსადენების ტექნიკური კონტროლის განყოფილებების სპეციალისტებთან ერთად და მსჯელობს რისკების შესაძლო სცენარებზე, არსებულ დამცავ ბარიერებსა და შესაძლო შედეგებზე. ჩვენ რისკებს ვახარისხებთ მათი მნიშვნელობის მიხედვით და ვათანხმებთ ამ რისკების დასარეგულირებელ ღონისძიებებს. BP საქართველოს რისკების შეფასების შედეგები აისახება მთლიანად სახმელეთო ოპერაციების რისკების შეფასებებში, რომლებზეც მოიცავს ოპერაციებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. ჩვენი მიზანია, მუდმივად დავხვეწოთ რისკების პრევენციისა და შემცირების საშუალებები მათი ეფექტიანი იდენტიფიცირების, პრევენციის და მართვის მიზნით.



▲ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების წვრთნაში მონაწილეობენ.

უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნება

ჩვენ ვახორციელებთ ფართო სპექტრის თვითკონტროლს, რათა უზრუნველყოთ პერსონალის სრული უსაფრთხოება.

აღნიშნული მოიცავს სხვადასხვა სახის შემოწმებებს ისეთი ყოველდღიური სამუშაოებისათვის, როგორიცაა აწვევა, სიმაღლეზე მუშაობა, ელექტრომოწყობილობების შემოწმება, შესაზღვრული ტერიტორიებზე შესვლა, ცეცხლთან დაკავშირებული სამუშაოები, ენერგოიზოლაცია, მიწის სამუშაოები, ხარაჩოებზე მუშაობა, პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება და სხვა.

ჩვენი ობიექტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხელმძღვანელების ფუნქცია გვირჩიორ, როგორ გავაუმჯობესოთ მუდმივად ჩვენი საქმიანობის შედეგები, ჩავატაროთ თვითშემაჯობა და ინსპექტირება, და წარვმართოთ საქმიანობა ისე, რომ დავიცვათ წარმოების მართვის სისტემის (OMS) მოთხოვნები.

ყოველდღიურად ისინი ყურადღებას აქცევენ, რომ შესრულდეს პირადი და პროცესთან დაკავშირებული უსაფრთხოების ამოცანები, ზედამხედველობას უწევენ კონტრაქტორების საქმიანობას, მონაწილეობენ და განიხილავენ საქმიანობის კონტროლის (CoW) რისკების შეფასებას სამშრობის გამოვლენის და სათანადო რეაგირების მოხდენის მიზნით, მონაწილეობენ საავარიო შემთხვევების გამოძიებებში გამომწვევი მიზეზების გამოვლენის და გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელების მიზნით, კოორდინირებს უწევენ საგანგებო ღონისძიებებს, ეხმარებიან და წარმართავენ უსაფრთხოებასთან და HSE-თან დაკავშირებულ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს. 2014 წელს ყველა ობიექტზე HSE წამყვან თანამშრომელს ჩაუტარდა „Excellence“ პროგრამის საბაზისო დონის ანალიზი, რომელიც შემუშავებულია რათა დაეხმაროს HSE პროფესიონალებს განავითარონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები კარიერული მიზნების მისაღწევად.

სამუშაო პროცესის კონტროლი

ყველგან, სადაც BP საქმიანობს, BP ჯგუფის „სამუშაოს კონტროლის“ სტანდარტის სისტემატური დაცვა სავალდებულოა როგორც BP-ის თანამშრომლებისათვის, ისე კონტრაქტორებისათვის. „სამუშაოს კონტროლის“ სტანდარტი მოითხოვს, რომ თითოეული სამუშაო წინასწარ და ზედმიწევნით უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მიერ. თითოეული კონკრეტული სამუშაოს თანხმლები რისკები უნდა შეფასდეს და დარეგულირდეს, ხოლო სამუშაო შესრულდეს და გაკონტროლდეს შესაბამისი ნებართვის ფარგლებში. რაც მთავარია, იგი თითოეულ თანამშრომელს ავალდებულებს, რომ შეაჩეროს სამუშაო, თუ ის უსაფრთხოდ არ სრულდება. სამუშაო პროცესებზე კონტროლი ხელს უწყობს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დავალებების უსაფრთხოდ შესრულებას და გაუზიაროს თავიდან არიდებას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს, საწარმოს ან აღჭურვილობას.

ჩვენი პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ინდივიდუალური უსაფრთხოების გარდა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი საოპერაციო სისტემების და პროცესების მთლიანობის შენარჩუნებას სწორი სამშენებლო პრინციპების, საინჟინრო, საექსპლუატაციო და ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის – პროცესის უსაფრთხოების – დანერგვით.

ჩვენ განვსაზღვრეთ პროცესის უსაფრთხოების ძირითად რისკებს ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისას და ვთხოვთ თანამშრომლებს შეგვატყობინონ პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები. ჩვენ გვაქვს პროცესის უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტის ამსახველი რამდენიმე ყოველთვიური დასკვნა – როგორიცაა საოპერაციო რისკების შეფასება და დასკვნები სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებთან შესაბამისობის და მუშაობის უსაფრთხო სისტემების შესახებ. მენეჯერების ყოველთვიურ შეხვედრებზე, რომლებსაც უძღვებიან საინჟინრო და ტექნიკური სპეციალისტები, ჩვენ ვიხილავთ მთავარი პროცესის უსაფრთხოების და მთლიანობის მართვის განხორციელების ინდიკატორებს. ბევრი მათგანი „წამყვანი“ ინდიკატორია, რომლებიც მიუთითებს ჩვენი კონტროლის სიძლიერეზე.

2014 წელს მოხდა ნავთობის დაღვრა (დაირღვა პირველადი გარსამის ჰერმეტიკულობა), რომელიც გამოწვეული იყო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენთან უკანონო მიერთებით. შედეგად, მიმდებარე ნიადაგში დაიღვრა 12,300 ლიტრი ნავთობი. აქედან 5,000 ლიტრი ნავთობი აიწმინდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანონო დაზიანება მილსადენს მესამე მხარემ მიაყენა, BP-მ ეს მონაკვეთი შეაკეთა, ამოღებულ იქნა დაბინძურებული ნიადაგი, მოხდა მისი აღდგენა და ავარიული შემთხვევის მონაკვეთის ახალი ნიადაგით შევსება.

ჩვენ ვაწარმოებთ მცირე გაუზიარების ან დაღვრის შემთხვევების ამსახველ ანგარიშგებას, ჩანაწერებს და მონიტორინგს, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა და ყველა ღონე ვიხმაროთ მაქსიმალურად შევამციროთ შესაძლო სერიოზული ინციდენტების რისკი. ჩვენ ვიყენებთ ამერიკის ნავთობის ინსტიტუტის (API) სტანდარტს პროცესის უსაფრთხოების შემთხვევების კლასიფიცირებისთვის და ჩვენთან 2014 წელს არ დაფიქსირებულა პროცესთან დაკავშირებული არც ერთი სერიოზული ინციდენტი.

მუშაობა კონტრაქტორებთან

ჩვენი უნარი ვიყოთ უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი ოპერატორი დიდწილად დამოკიდებულია ჩვენი კონტრაქტორების მიერ სამუშაოს შესრულების უნარზე.

როგორ უნდა

მენეჯერი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოს დაცვის ხარისხის საკითხებში, სოკარ კეიპ

„2014 წელს ჩვენი კომპანია ჩართული იყო სუფსის ტერმინალის სამრეწველო დასუფთავების, ნავთობრეზერვუარის ჭავლურ-აბრაზიული გაწმენდის და შეღებვის სამუშაოების შესრულებაში BP-ის სხვადასხვა ობიექტზე. ყველა ეს აქტივობა განხორციელდა ინციდენტების გარეშე და უმაღლესი ხარისხით.“

ფორუმები უსაფრთხოების საკითხებზე და უსაფრთხოების ჯგუფების ხელმძღვანელების შეხვედრები მიღებული გამოცდილების, მიღწევების, პრობლემების, საუკეთესო მეთოდების და ინოვაციების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს გუნდური მუშაობის გაუმჯობესებას, კომუნიკაციასა და ნდობის მოპოვებას კლიენტსა და სერვისის მიწოდებელს შორის. ასეთი შეხვედრები აძლიერებენ ჩვენ კომპანიას უწყვეტი განვითარების მიმართულებით ახალი იდეების გენერირების გზით და აძლიერებენ ჩვენს მუშაობას იმ მიმართულებით, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გეგმები წარმატებით.“



კონტრაქტორების ხელმძღვანელი პირები უსაფრთხოების ყოველწლიურ ფორუმზე.

როგორც წესი, ჩვენ მიერ დაფიქსირებული კაც-საათების დაახლოებით 80% გამოუმუშავებულია კონტრაქტორების მიერ. თანმიმდევრულობის და გათანაბრების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენ კვარტალში ერთხელ კონტრაქტორებთან ვატარებთ უსაფრთხოების მართვის ხელმძღვანელების შეხვედრებს, სადაც ვიხილავთ HSE შესრულებას, მომხდარ საავარიო შემთხვევებს და მიღებულ გამოცდილებას, ვაწვდით მნიშვნელოვან ინფორმაციას, ვუზიარებთ გამოცდილებას და ვამაღლებთ კონტრაქტორების ცნობიერებას უსაფრთხოების მნიშვნელოვან თემებზე. ჩვენ ასევე ვატარებთ კონტრაქტორების უსაფრთხოების აღმასრულებელი დირექტორების წლიურ ფორუმს, სადაც ჩვენ ვურთიერთობთ კონტრაქტორების მმართველ გუნდებთან უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებით მათი ცოდნის გაღრმავების და იმის გააზრების მიზნით, თუ რას ველით მათგან, როგორც ხელმძღვანელებისგან. 2014 წელს ფორუმზე ძირითადი აქცენტი პროცედურებზე გაკეთდა, კერძოდ კი ისეთი საკითხები იქნა განხილული, როგორიცაა სწორი პროცედურების შემუშავება, დანერგილი პროცედურების გადამოწმება, კომპეტენტური კადრების უზრუნველყოფა, რომლებიც ამ პროცედურებს დანერგავენ და პროცედურების ეფექტიანობის შემოწმება.

2014 წელს ჩვენ კვლავაც დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენ კონტრაქტორებს შორის ინციდენტების ანგარიშგების დონის ამაღლების წახალისებას. კონტრაქტორების მიერ დაფიქსირებული შესაძლო ინციდენტების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა და 2014 წელს დაფიქსირებული ინციდენტების საერთო რაოდენობის 31% მიაღწია, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 24% შეადგენდა, ხოლო 2012-ში – მხოლოდ 15%. ჩვენ მომავალშიც გვგეგმავთ შესაძლო ინციდენტების ანგარიშგების ხარისხის მიმართულებით მუშაობას.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ იმ პირებს, რომლებიც ჩვენ მაგივრად ახორციელებენ სამუშაოებს, ჰქონდეთ სათანადო უნარები, გამოცდი-

ლება და კომპეტენცია. სამუშაოს განმახორციელებელი კონტრაქტორების იმ უწყებებისთვის, რომლებიც დავალებების უსაფრთხო შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი, ტარდება სპეციალური ტრენინგები და ინტერვიუ-შეფასებები BP-ის ობიექტის და სადგურის ხელმძღვანელობასთან, რომელთა წარმატებით დასრულების შემთხვევაში კონტრაქტორის შესაბამისი ჯგუფებს ენიჭებათ კომპეტენციის სერტიფიკატები.

უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით შესრულებისთვის 2014 წელს შემდეგი კონტრაქტორი კომპანიები დაჯილდოვდნენ:

SOLAR TURBINES – ინციდენტების ღია ანგარიშგებისთვის, ტურბინების გამოცვლის პროექტის უსაფრთხოდ განხორციელებისთვის, ობიექტზე შემსრულებელი უწყებების მიერ სამუშაოს კომპეტენტურად შესრულებისთვის, მუშაობის პროცესის სისტემატური მართვისა და აქტიური მონაწილეობისთვის BP-ის კონტრაქტორების ღონისძიებებში.

MQS – სუფსის ტერმინალზე ნახშირწყალბადების გამტარი მილსადენის სისტემის სადგურზე რემერგურ C-ში შეზღუდულ სივრცეში ცეცხლით დამუშავების და ქაფის მიწოდების მილის სარემონტო სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისთვის.

SOCAR CAPE – სუფსის ტერმინალზე რემერგურ C-ში შეზღუდულ სივრცეში გაწმენდის, ჭავლურ-აბრაზიული გაწმენდის, შეღებვის და ხარაჩოების აგების სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისთვის.

IDC – WREP-ის ფარგლებში მდინარე ლიახვის გადაკვეთის სარეაბილიტაციო პროექტის უსაფრთხოდ შესრულებისთვის.

OCEANEERING – მთლიანობის მართვის სერვისის უზრუნველყოფისთვის BP საქართველოსთვის საექსპორტო ოპერაციების და რემერგურ C-ის ეფექტიანი მართვის და კოორდინაციის პროცესში სუფსის ტერმინალზე, და WREP-ის ფიზიკური მთლიანობის შემოწმების, და სარემონტო პროექტების განხორციელებისთვის.

პირადი და პროცესების უსაფრთხოება

ჩვენი წარმატება მიზნების უსაფრთხოდ მიღწევას.
თანამშრომლების, მოსახლეობის და ექსპლუატაციის
უსაფრთხოება ჩვენი მთავარი პრიორიტეტი.

გურამ ზაქარაიშვილი

დირექტორი ჯანმრთელობის,
უსაფრთხოების, უშიშროების, გარემოს
დაცვის და ხარისხის უზრუნველყოფის
და ხარისხის კონტროლის საკითხებში,
IDC

„2014 წელს IDC-იმ BP-სთვის განახორციელა რამდენიმე პროექტი, მათ შორის იყო მდინარის გადაკვეთის გაძვრები-
თი სამუშაოები, მდინარე ლიახვის გადაკვეთის რეაბილიტა-
ცია, მცირე პროექტის შედგენა და სამოქალაქო სერვისები.
ეს ყველაფერი გულისხმობდა ფართო სპექტრის საპროექტო
და სამშენებლო სამუშაოებს.

ჩვენ წარმატებით შევასრულეთ პირველი სამშენებლო
პროექტი SCP სისტემის გაფართოების პროექტის ფარგ-
ლებში – ავამშენეთ შენობის დამხმარე ბანაკის მოედანი
CSG2-სთვის წალკაში. ამას გარდა, ჩვენ განვახორციელეთ
შესაძლოა ყველაზე მსხვილი მდინარის გადაკვეთის გაძვრ-
ებითი პროექტი WREP-ის ფარგლებში – ავავით მასიური
ქვის კონსტრუქციები გადაკვეთის გასწვრივ მომავალში
მოლსადენის გამორეცხვისგან დაცვის და მისი გარანტირებუ-
ლი ფიზიკური მთლიანობის შენარჩუნების მიზნით.

ჩვენ რეგულარულად ვესწრებით BP-ის კონტრაქტორების
ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა უსაფრთხოების საკითხე-
ბის ხელმძღვანელების ჯგუფის კვარტალური შეხვედრები და
უსაფრთხოების აღმასრულებელი დირექტორების წლიური
ფორუმი. ყველა კონტრაქტორს საშუალება ეძლევა ერთ-
მანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, შეცდომების
ანალიზის შედეგები და არსებული საუკეთესო პრაქტიკა.
ჩვენ ასევე შეგვიძლია გადაუჭოლებსო ჩვენი საქმიანობა
არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიღე-
ბის გზით, რათა დახვეწოთ ჩვენი HSE მართვის სისტემები,
გავზარდოთ შრომის უსაფრთხოების კულტურის დონე და
გადაუჭოლებსო შრომითი მაჩვენებლები.

ყოველი წლის ბოლოს ჩვენთან იმართება კონტრაქტორების
დაჯილდოების ცერემონია, სადაც აჯილდოებენ საუკეთესო
შრომითი მაჩვენებლების და HSE სტანდარტების მქონე
კომპანიებს. ასეთი აღიარება მოტივაციას უზრდის სხვა
კომპანიებსაც უკეთესად იმუშაონ მომდევნო წლებში და
თანამშრომლონ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს
უფრო უსაფრთხო ქვეყანა“.



ინციდენტების მართვის გუნდის მოხილვაშია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების წვრთნის დროს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვა

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება ერთ-ერთი ყვე-
ლაზე მთავარი რისკია საქართველოში, ვინაიდან
BP-ს და კონტრაქტორის თანამშრომლებს დიდი
მანძილების გავლა უწევთ, და ზოგადად, შეიძლება
ითქვას, რომ რეგიონში ავტოსაგზაო მოძრაობის
საშიში გარემოა.

BP საქართველოს თანამშრომლებმა და კონტ-
რაქტორებმა 2014 წელს ჯამში გაიარეს 7.7 მლნ.
კილომეტრი – ეს მანძილი დედამიწის დაახლოებით
195 გაერომიწერილობის ტოლია. ჩვენი ავტობარკი
შედგება ჯამში 200 ავტოსატრანსპორტო საშუალე-
ბისგან; დაქირავებული გვყავს 140-მდე პროფესი-
ონალი კონტრაქტორი მძღოლი.

ჩვენი წარმოების მართვის სისტემის ფარგლებში,
შემუშავებული გვაქვს წლიური მართვის უსაფრთ-
ხოების გაუმჯობესების გეგმა. ეს გეგმა ითვალისწი-
ნებს მძღოლებისთვის ჩასატარებელ ღონისძიებებს,
როგორიცაა უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერე-
ბის ამაღლების ტრენინგი და მათი ინფორმირება
ავტოსატრანსპორტო საშუალებების მდგომარე-
ობასთან და გზის მდგომარეობის შესახებ შეტყობი-
ნებასთან დაკავშირებულ თემებზე. ჩვენ ყოველთ-
ვიურად ვაფასებთ ჩვენს მუშაობას, ვაანალიზებთ
მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევებს და შედეგად
წამოჭრილ სხვა საკითხებს.

ყოველწლიურად ჩვენი ავტოსატრანსპორტო საშუ-
ალებების მართვის უსაფრთხოების სპეციალისტი,
რომელიც ბაქოს ოფისში მუშაობს, ამოწმებს BP-ის
ოპერაციების და კონტრაქტორების შესაბამისობას
ჩვენი წარმოების მართვის სისტემის მოთხოვნებ-
თან. მათ შორისაა BP-ის ავტოსატრანსპორტო საშუ-
ალებების მართვის უსაფრთხოების სტანდარტის
ელემენტები. რეგულარულად ხდება ისეთი პარა-
მეტრების შემოწმება, როგორიცაა ავტოსატრანს-
პორტო საშუალების მდგომარეობა, მძღოლის და
მგზავრის ქცევა, ტვირთების დამაგრება, მძღოლის
შეფასება, მართვის მოწოდებებთან დაკავშირებული
საკითხები, ტრენინგი და შესაბამისობა, მგზავრობის
მართვის დაგეგმვა და უსაფრთხოების ღვედების
გამოყენება. 2014 წელს აუდიტმა მთელ რიგ კარგ
პრაქტიკასთან ერთად გამოავლინა კონკრეტულ
ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან და უზრუნ-
ველყოფის ზოგიერთი პროცესის გამკაცრებასთან
დაკავშირებული მცირე ნაკლოვანებები, რომლებიც
გამოსწორებას საჭიროებს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის უსაფ-
რთხოების სემინარის მსვლელობისას, რომელსაც
ჩვენ კონტრაქტორებისთვის ყოველწლიურად
ვატარებთ განხილულ იქნა სერტიფიცირებასთან,
მომზადებასთან, ზამთრის პირობებში ავტოსატ-
რანსპორტო საშუალების მართვასთან და ფეხით
მოსიარულეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებუ-
ლი საკითხები.



ხანძარზე რეაგირების სასწავლო წვრთნა მე-2 ნავთობსაქარ სადგურზე.

კრიზისული სიტუაციების მართვა

კრიზისული სიტუაციებისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სისტემის მართვის დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ ორიენტირებული ვართ უზრუნველყოფით ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოება, ეფექტიანად გავემკლავდეთ საგანგებო სიტუაციებს და თავი ავარიდოთ შესაძლო სერიოზულ დარღვევებს. რეგულარულ მონიტორინგთან ერთად, ჩვენ აგრეთვე ვმუშაობთ პოტენციური კრიზისული სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის რისკების გამოვლენის მიმართულებით და ვაწყობთ რეგულარულ წვრთნებს ჩვენი ჯგუფების მზადყოფნის შესამოწმებლად.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ კრიზისული სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის მართვის საკითხების, ნავთობის დაღვრაზე რეაგირებასა და ხანძარსა-წინააღმდეგო შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე. ეს ყველაფერი კი მოითხოვს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას და გეგმებს, კარგი ხარისხის რეაგირების რესურსებს და მაღალ დონეზე მომზადებულ პერსონალს.

2014 წელს ჩვენი აქტივობები აღნიშნულ პრიორიტეტებს ეფუძნებოდა. მაგალითად, ჩვენ დავასრულეთ მუშაობა ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმების განახლებაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, WREP-სთვის და სუფსის ტერმინალისთვის. დღეისათვის, უკვე დასრულდა ამ სამი დამოუკიდებელი გეგმის დამუშავება BP ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულ გეგმებში მოცემულია წინა წლების შეფასებებში ასახული ისეთი ხარვეზების აღმოფხვრის გზები, როგორიცაა, უკეთესი ურთიერთშეჯერების და სტანდარტიზაციის აუცილებლობა, რათა შესაბამისი დოკუმენტაცია საბოლოო მომხმარებელს უფრო გამარტივებული სახით წარედგინოს.

ჩვენ ადგილზე გვყავს 2 ხანძარსაწინააღმდეგო სატვირთო ავტომანქანა და ჩვენი ნავთობის დაღვრაზე რეაგირების კონტრაქტორი კომპანიის NRC International Services 6 თანამშრომელი, რომლებმაც ხანძარსა-წინააღმდეგო ეროვნული ასოციაციის საერთაშორისოდ აღიარებული ტრენინგი გაიარეს. ამჟამად, დამატებით 8 სტაჟიორი გადის შეფასების ანალოგიურ პროცესს. დღესდღეობით, ჩვენ ვმუშაობთ ხანძარზე რეაგირების ყველა რესურსის გაერთიანებაზე BP საქართველოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ერთიან ორგანიზაციაში. ტრენინგის ჩატარების გარდა, ტრენერთა გუნდი უზრუნველყოფს ტრენინგთან დაკავშირებული ყველა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებას. შარშან მათ ტრენინგი ჩაუტარეს ექსპლუატაციის 68 თანამშრომელს ძირითადი ხანძარსა-წინააღმდეგო ღონისძიებების თემაზე.

2014 წელს ჩვენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების 100-ზე მეტი სასწავლო წვრთნა ჩავატარეთ სხვადასხვა სცენარის გამოყენებით და სხვადასხვა რეაგირების ჯგუფების მონაწილეობით. ჩატარებული წვრთნების შედეგად ჩვენ მოვაშადადეთ და კომპეტენცია ავუმჯობესეთ 12 ადგილზე მომუშავე მეთაურს, და შევარჩიეთ და მოვაშადადეთ ინციდენტების მართვის ჯგუფის 11 ახალი წევრი.

რამდენიმე თვითნა დაგეგმვის და დისკუსიების პროცესის შემდეგ, 5 სექტემბერს ჩვენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ერთდღიანი წვრთნა ჩავატარეთ, რომელიშიც ჩართული იყო საქართველოს და აზერბაიჯანის მხარეების ადამიანური და ფიზიკური რესურსები. აღნიშნულ საწვრთნელ ღონისძიებაში ჩართული იყო BP-ს კრიზისის მართვის მთელი რეგიონული სისტემა, BP საქართველოს ინციდენტების მართვის, ობიექტის რეაგირების, ქვეყნის მხარდაჭერის და ბიზნეს მხარდაჭერის გუნდების მონაწილეობით. სცენარისთვის შეირჩა მიწისძვრა, რომლის შედეგად სხვადასხვა ეროვნული ინფრასტრუქტურის გარდა, ასევე დაზიანდა მილსადენიც, რამაც ნავთობის დაღვრა გამოიწვია.



▲ პირველადი დახმარების სამედიცინო პუნქტი, რომელიც კრიზისული სიტუაციის დროს ადგილზე მონტაჟდება.

ჩვენ ასევე მონაწილეობა მივიღეთ ეროვნული მასშტაბის სასწავლო საწვრთნელ ვარჯიშებში, რომლებიც სექტემბერში ჩატარდა შავ ზღვაში ეროვნული საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან (MTA) და სხვა საპორტო ოპერატორებთან თანამშრომლობით.

ჯანდაცვა და კეთილდღეობა

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობა და ის წვლილი, რისი შეტანაც ჯანდაცვას შეუძლია უსაფრთხოების შენარჩუნებასა და საქმიანობის მაჩვენებლებში.

გასული წლების მსგავსად, ჩვენ წელსაც ჩავატარეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების ყოველწლიური შეფასება ჯანმრთელობის რუკის ინსტრუმენტის გამოყენებით, ჩვენი რისკების რეესტრის განახლების მიზნით. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ იმ კარგად დამკვიდრებული პროცესების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენს საქმიანობას და SCP გაფართოების პროექტს. ეს პროცესებია: ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისობის შესამოწმებლად, ჯანმრთელობის სკრინინგი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების მართვა. 2014 წელს ჩვენმა პროფესიული ჯანდაცვის ხელმძღვანელთა რეგიონულმა ჯგუფმა შეამოწმა ჩვენი საქმიანობა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული პროცესები შეესაბამება დასახულ მიზნებს.

პირად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების სხვადასხვა გამომწვევი ფაქტორი არსებობს. პროფესიული ჯანდაცვის და საწარმოო ჰიგიენის პროგრამები ჩვენი წლიური პრიორიტეტების შესაბამისად ხორციელდება. პრიორიტეტულ საკითხებს შორისაა ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებაზე არაგვემართი შემოწმებების ჩატარება საექსპლუატაციო ობიექტებზე და თბილისის ოფისში. ამას გარდა, ჩვენ დავწერეთ საწარმოო ჰიგიენის პროგრამები ჩვენს მოქმედ საექსპლუატაციო ობიექტებზე, რომლებიც შემდეგ საკითხებს მოიცავენ: ხმაურის დონის მონიტორინგი, ქიმიკატებთან მუშაობა და მათი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, რისკების მართვა და ცვლებში მომუშავე პერსონალის დაღლილობის ფაქტორი.

ჩვენ გავაგრძელებთ კანის დაავადებებზე შემოწმების პროგრამა ჩვენს საექსპლუატაციო ობიექტებზე მომუშავე ყველა თანამშრომლისთვის. ჩვენ ვახორციელებთ აუდიომეტრიკულ დავირვებას იმ თანამშრომლებზე, რომლებსაც ხმაურის ზემოქმედების ქვეშ უწევთ მუშაობა საოპერაციო ობიექტებზე; ყველა ეს თანამშრომელი ჩართულია სმენის შენარჩუნების პროგრამაში. ჩვენ კვლავაც ვახორციელებთ ერგონომიულ ინიციატივას, რომლის დანიშნულებაცაა მონოტონური მოძრაობებით გამოწვეული დაავადებების პრევენცია. ინიციატივის ფარგლებში ერგონომიკის სპეციალისტი აფასებს არსებულ მდგომარეობას მოქმედ ობიექტებსა და ოფისებში. ობიექტებზე მომუშავე ექიმებს უტარდებათ ტრენინგი. ჩვენ მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა ობიექტის ერგონომიკული მდგომარეობის შეფასების ანგარიშები.



2014 წელს ჩვენ საგანგებო
სიტუაციებზე რეაგირების

100

-ზე მეტი
სასწავლო წვრთნა ჩავატარეთ.



▲ ჩვენს ობიექტებზე მომუშავე თანამშრომლებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ტრენინგი ჩაუტარდათ.

სურსათის უვნებლობას და წყლის ხარისხს აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელი სამუშაო გარემოსთვის. ჩვენ ჩავატარეთ საოპერაციო ობიექტების აუდიტი, რომელმაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ ჩვენი აქტივობები შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. SCP/BTC და SCPX ობიექტების ეპიდემიოლოგიური კვლევები დასრულდა 2014 წელს.

ჯანმრთელობის დაცვაზე მიმართული კამპანიები

2014 წელს ჩვენ ცნობიერების ამაღლების და ჯანმრთელობის დაცვის რამდენიმე საინფორმაციო კამპანია ჩავატარეთ, რომლების მიზანი იყო მონაწილეებისთვის სტიმულის მიცემა, რათა მათ მეტი პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ ჯანმრთელობასა და გავრცელებულმა.

ინიციატივის „თამბაქოს გარეშე“ – ფარგლებში BP საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის, საინფორმაციო სესიები, მონაწილეებს დაურიგდათ მწველობისგან გათავისუფლების დამხმარე საშუალებები და ჯანდაცვის სპეციალისტებმა ჩაატარეს ინდივიდუალური კონსულტაციები.

„ჯანმრთელი გულის“ კამპანიის ფარგლებში, თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია და განმარტებები იმ მარტივი გზების თაობაზე, რომლებიც გულის მუშაობის უკეთეს გაკონტროლებას უწყობენ ხელს. ასეთი ღონისძიებების წლების განმავლობაში განხორციელების მეშვეობით თანამშრომლები საკუთარ შედეგებს წინა წლების შედეგებს ადარებენ. შემდეგ, ჯანმრთელობის ჯგუფი თითოეული თანამშრომლის შედეგებს შეაჯერებს და ასევე მონაწილეების მიერ გაზიარებულ ინფორმაციას აჯამებს.

ამას გარდა, ჩვენ ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანია ისეთ თემებზე, როგორიცაა გრიპი, გაციება, მოყინვისა და სითბური დარტყმისგან თავდაცვის წესები, ჯანმრთელობის დაცვა მგზავრობის

დროს; აგრეთვე, აქცენტი გაკეთდა ისეთ არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ვირუსული მენინგიტი და ებოლა. 2014 წელს ჩვენ განსაკუთრებული ძალისხმევა წარვმართეთ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მრავალფეროვანი სპორტული შეჯიბრებების მოწყობის გზით.

ტრენინგები ჯანდაცვისა და სამედიცინო საკითხებზე

2014 წელს ჩვენ ჩავატარეთ რიგი საბაზისო ტრენინგი ჩვენი თანამშრომლებისთვის ისეთ თემებზე, როგორიცაა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ქიმიური ნივთიერებების ცონდა და სურსათის უვნებლობა. ამას გარდა, ჩვენ ჩავატარეთ პროფესიული ჯანმრთელობის შეფასება, რათა შეგვემოწმებინა ჩვენი მომწოდებელი კლინიკის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობები. ჩვენ განმეორებთ ჩავატარეთ პირველადი სამედიცინო დახმარების და სამედიცინო მზადყოფნის აუდიტი PSG1-ზე, PSG2-ზე, სუფსის ტერმინალზე, EDDF-სა და სადგურ 80-ზე.

ჯანდაცვის და უსაფრთხოების პროფესიონალებს და ჩვენს სამედიცინო პერსონალს სპეციალისტების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი ისეთ საკითხებში, როგორიცაა ტვირთის ხელით გადაადგილება და საწარმოო ჰიგიენა. 2014 წელს ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს მედიკოსთა პირველი ფორუმი, სადაც ათზე მეტმა BP საქართველოს ჯანდაცვის სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა და სადაც განხილული იქნა არსებული გამოწვევები და ამოცანები სამედიცინო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ტრენინგის, შრომის ჰიგიენის და საწარმოო ჯანდაცვის საკითხებში.

გარემოს დაცვა

ჩვენ სისტემურ მიდგომებს ვიყენებთ გარემოს დაცვის მართვის სფეროში და მივმართავთ ძალისხმევას გარემოსდაცვითი შესრულების მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

დასახული მიზნები

შევინარჩუნოთ სისტემური მიდგომა გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის და მართვის სფეროში.

გავანალიზოთ და გავაკონტროლოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე და მუდმივად ვიზრუნოთ ჩვენი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

დავწეროთ პროცესები და მოვამზადოთ პერსონალი, რათა მომავალშიც უზრუნველყოფილი იქნეს მაღალი შედეგები გარემოს დაცვის სფეროში.

რას მივაღწიეთ

ჩვენ საქმიანობას წარვმართავთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის – ISO 14001-ის და BP-ს წარმოების მართვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.

შევამცირეთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება.

ჩვენ გავამკაცრეთ მიდგომები შეუსაბამო ანგარიშგების მიმართ და გადავამზადეთ თანამშრომლები აღნიშნულ საკითხებში.

რას ვაპირებთ

გავაგრძელოთ სისტემური მიდგომის გამოყენებას გარემოსდაცვით სფეროში საოპერაციო რისკების მართვის საკითხში.

გავაგრძელოთ შესაძლებლობების ძიებას, რათა მაქსიმალურად შევამციროთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება.

გავაგრძელოთ მუშაობას გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მიღებაზე, მათ შორის გაფრქვევებზე ხუთწლიანი ლიცენზიის განახლების ჩათვლით.

საერთაშორისო სტანდარტი ISO 14001 და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა

ვაგრძელებთ ობიექტების ექსპლუატაციას ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში, რომელსაც გავლილი აქვს სერტიფიცირება საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით.



გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის აუდიტი დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ 2014 წელს

მე-16-ედ ჩატარდა.



ველური ფაუნის ნათობის დაღვრით გამოწვეულ ზიანზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიება.

ჩვენ მიერ დანერგილი კომპლექსური სისტემები გვებმარება, რომ ზედმიწევნით შევასრულოთ HSSE ყველა შესაბამისი მოთხოვნა. ბოლო წლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობაში გატარებული არსებითი ცვლილებების შედეგად, 2014 წელს ჩვენ საფუძვლიანად გავაანალიზეთ გარემოსდაცვითი სფეროს მარეგულირებელი ჩარჩო. გამოვავლინეთ კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელება საოპერაციო და გარემოსდაცვითი პერსონალს დაეკისრა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოთხოვნებთან შესაბამისობა. შესაბამისი საკითხები შეტანილია შესაბამისობის უზრუნველყოფის მონაცემთა ბაზაში, რომლის მეშვეობით მათი შესრულების შემოწმება ხდება.

პროექტის შემუშავების და მისი განხორციელების საწყისი ეტაპის დროს გამოყენებული იქნა საქართველოში განხორციელებული სხვა პროექტების და საექსპლუატაციო საქმიანობის შესრულების შედეგად მიღებული გამოცდილება. პროდუქტიული თანამშრომლობა ვაგრძელდა პროექტის თანამშრომლებთან SCPX ESIA განახლებული ვერსიის განხილვის პროცესში და ნარჩენების მართვის სფეროში მჭიდრო კოორდინირების დროსაც.



დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ESIA პროცესის თითოეულ ასპექტზე მოცემულია www.bpgeorgia.ge ვებსაიტზე, მათ შორის ინფორმაცია საჯარო კონსულტაციების შესახებ და ინფორმაციის საჯაროობის გეგმები, რომლებიც პროცესის განუყოფელი ნაწილია.

დაკისრებული ვალდებულებების შესრულება

2014 წელს BTC პროექტის თავდაპირველი კრედიტორების მიერ დანიშნულმა დამოუკიდებელმა გარემოსდაცვითმა კონსულტანტმა მე-16 წლიური პოსტ-ფინანსური აუდიტი ჩატარა. ამ აუდიტორული შემოწმებების მიზანია BTC-ის გარემოს დაცვის და სოციალური ვალდებულებების შესრულების შემოწმება. აუდიტის შედეგად არც ერთი შეუსაბამობა არ იქნა გამოვლენილი.

კონტრაქტორების მიმართ გარემოსდაცვითი მოთხოვნების გამკაცრება

ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ კონტრაქტორებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მხრიდან ჩვენი გარემოსდაცვითი სტანდარტების დაკმაყოფილება. 2014 წელს ჩვენ კონტრაქტორებთან ხელშეკრულებებსა და პირობებში ჩავამატეთ დეტალური პუნქტები გარემოსდაცვითი მენეჯმენტთან დაკავშირებით. ეს დებულებები შემდეგ საკითხებს ეხება: ნარჩენების მართვა, ფლორის და ფაუნის შენარჩუნება, ჰაერის და წყლის ხარისხის დაცვა და ეკოლოგიური მენეჯმენტი. ჩვენ მოველოთ ჩვენი კონტრაქტორებისგან მოცემული მოთხოვნების დაკმაყოფილებას და სავალდებულო მართვის სისტემების და პროცედურების დანერგვას.

ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორია.

ზემოქმედების მართვა

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.



ჩვენ ჩავატარეთ ობიექტებზე
50 –ზე მეტი ინსპექტირება.



ველური ფაუნის გადარჩენის საწვრთნელი ღონისძიების მოსამზადებელი სამუშაოები.

გაგრძელდა მუშაობა კონტრაქტორების პერ-სონალთან, რომელთაც ვაწვდით ინფორმაციას გარემოსდაცვითი სფეროს მართვის საკითხებზე და ვეხმარებით მათი პროექტების ჩვენს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანაში. თითოეული პროექტის, ისევე როგორც ყველა ცვლილების, შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ გარემოსდაცვითი რისკების შეფასების მექანიზმს, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რამდენად სრულდება გარემოსდაცვითი მოთხოვნები სავსელე ობიექტებზე. 2014 წელს ჩვენ ჩავატარეთ ობიექტებზე 50-ზე მეტი ინსპექტირება და შევამოწმეთ კონტრაქტორების პროექტთან დაკავშირებული წინასაშენებლო კვლევების დოკუმენტაცია, რომელიც ობიექტის გარემოსდაცვითი შეფასებების შესწავლას მოიცავდა. ჩვენ რეგულარულად ვაკვირდებით კონტრაქტორების სამუშაო უბნებზე მიმდინარე საქმიანობას, ვამოწმებთ კონტრაქტორების სამუშაოების დასრულების ან-გარიშებს, რომლებშიც ასახულია, თუ როგორ იქნა შესრულებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები.

გაჟონვების გამოვლენა

ჩვენ მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელებთ BTC/SCP მილსადენებზე ნავთობის გაჟონვის შემთხვევების გამოვლენის მიზნით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის შესაბამისად. მაგალითად, მილსადენზე გაჟონვების აღმოსაჩენად ჩვენ სპეციალურად გაწვრთნილ მეძებარ ძალებს ვიყენებთ, რომლებსაც შეუძლიათ მილსადენიდან ან რეზერვუარიდან გაჟონილი ნახშირწყალბადების აღმოჩენა გრუნტის და თოვლის საფარის მიუხედავად.

უკანონო მიერთება და აღდგენითი სამუშაოები

2014 წელს WREP-ზე მესამე მხარის მიერ 2 უკანონო მიერთების შემთხვევა გამოვლინდა. რომელთაგან ერთ-ერთი მიწაზე ნავთობის დაღვრით დასრულდა. შემთხვევის აღმოჩენიდან რამდენიმე საათში დაიწყო დაღვრილი ნავთობის გადარჩენის პროცესი. ანალიზის შედეგად, ჩვენი გათვლებით დაღვრილი ნავთობის მოცულობა 12,300 ლიტრს შეადგენდა.

აღდგენის პროცესი მოიცავდა ნიადაგის ზედა ფენის მოხსნას და ამოთხრას და დაღვრის ადგილის სხვადასხვა ფენიდან ნიადაგის სინჯების აღებას. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ რაიმე მკაფიოდ გამოკვეთილი ეკოლოგიური ან არქეოლოგიური სენსიტიურობა ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზონაში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენებოდა. დაბინძურებული ნიადაგი მოვხსენით და გავგზავნეთ ბაქტერიოლოგიური გაწმენდისთვის. BP-ს ობიექტზე რამდენიმე თვიანი ბიოაღდგენითი ღონისძიებების და ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების შემდეგ უბანი ამოვავსეთ გაწმენდილი ნიადაგით.

ველური ფაუნის დაცვა ჩვენი ობიექტების გარემო

ველური ფაუნის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ჩვენ PSG1-ზე ავაშენეთ, აღჭურვილია საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოწყობილობებით. ნავთობის დაღვრით გამოწვეულ ველური ფაუნის დაზიანებაზე რეაგირებისათვის ჩვენი მზადყოფნის შესამოწმებლად მოხალისეებისათვის 3 ტრენინგი მოვაწვეთ, რომლებიც ფრინველების გადარჩენისა და ნავთობის დაღვრის საკითხებზე ტრენინგის საერთაშორისო კომპანია ჩაატარა (International Bird Rescue and the Oil Spill Training Company Ltd). ტრენინგი ჩაუტარდა არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს, ადგილობრივ სერტიფიცირებულ ვეტერინარებს და მოხალისეებს.

BP-ს პერსონალის დახმარებით, ჯანდარის და წალკის ტბების მიდამოებში ორგანიზებულ ტრენინგში 36-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. ეს ადგილები მათი გარემოსდაცვითი მოწყვლადობის გამო იქნა შერჩეული. აღნიშნული ინიციატივების შედეგად შემოწმებული იქნა ჩვენი მზადყოფნა ველური ფაუნის დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების კუთხით. ასევე იდენტიფიცირებული იქნა საბაზისო მონაცემები, შესწავლილი იყო გარემოზე პოტენციური ზემოქმედება და სხვადასხვა დონის შესაძლო რეაგირების გზები იქნა შეფასებული.

განხორციელდა ნავთობის დაღვრის სიტუაციის მოდელირება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და ასევე შემოწმდა კომუნიკაციის გეგმები. თეორიული ელემენტების გარდა, ასევე გამოვიყენეთ ცენტრში არსებული ველური ფაუნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების აღჭურვილობა, რათა შეგვემოწმებინა მობილიზაციასთან, განლაგებასთან და ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებული მიდგომები.

სასწავლო წვრთნებთან ერთად გაგვანალიზებთ მიღებული გამოცდილება, მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც გავუზიარებთ ყველა მონაწილეს მხარეს.



ნარჩენების გადამამუშავებელი თანამედროვე აღჭურვილობა.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. ჩვენ სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით ნარჩენების გადამამუშავებელი თანამედროვე აღჭურვილობა შევიძინეთ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნარჩენების ეფექტური გამოყენება, მათ შორის ენერგიის წყაროს სახით.

ამ დანდაგარის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოებული ისეთი სახიფათო ნარჩენების უმეტესი წილის BTC მილსადენის PSG1-ზე ნარჩენების შეგროვების ცენტრალურ ზონაში შეგროვება, დაპრესვა და შენახვა, როგორცაა ნავთობით გაუღენთილი ქსოვილები ან ნავთობის დანალექი ნარჩენები.

ისტორიულად, ხდებოდა სახიფათო ნარჩენების ექსპორტისთვის მომზადება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის საწარმოებში გადამამუშავების მიზნით, ვინაიდან ადგილობრივ კომპანიებს არ შეეძლოთ ნარჩენების უსაფრთხო განთავსება. ჩვენ შევაფასეთ ქართველი ოპერატორები, რომლებსაც შეეძლოთ ევროსტანდარტების შესაბამისი სახიფათო ნარჩენების ინსინერატორის ოპერირება და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში. ამ ტიპის ობიექტის დაარსება წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის შესაძლებლობის განვითარების პროცესში.

პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავება

ჩვენ წელსაც ვაგრძელებთ თანამშრომლობა ქართულ კომპანიებთან, რომლებსაც სათანადო ტექნიკური შესაძლებლობები გააჩნიათ ქალაქის, პლასტმასის, ლითონის და სხვა ტიპის ნარჩენი პროდუქტების გადამამუშავებისთვის.

ველური ფაუნის დაცვა: რეაგირების ლონისძიებები

ჩვენი ინციდენტების მართვის გეგმით გათვალისწინებულია რეაგირების სპეციალური ღონისძიებები ისეთი ინციდენტების შემთხვევაში, რომელთა შედეგად დაღვრილი ნავთობი ველურ ფაუნას აზიანებს.

ამ მიზნით, 2010 წელს, 1-ლი ნავთობსაქაჩი სადგურის მიმდებარედ მოვაწვეთ ველური ფაუნის სარეაბილიტაციო ცენტრი. 2014 წელს ველური ფაუნის ნავთობის დაღვრით გამოწვეულ ზიანზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიება ჩატარებოდა.

საზოგადოება

ჩვენი მიზანია, რომ ჩვენმა საქმიანობამ სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას. ამ მიზნით პროგრამებსა და ინიციატივებს ვახორციელებთ, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის პოტენციალის ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

დასახული მიზნები

გავაძლიეროთ პოზიტიური ურთიერთობები, რომლებიც გაგვანია ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩვენი ოპერირების არეალში.

გავაგრძელოთ ადგილობრივი კადრების უნარების და კვალიფიკაციის განვითარება

გავაგრძელოთ მუშაობა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით.

რას მივაღწიეთ

შევინარჩუნეთ მჭიდრო ურთიერთობები, 2014 წლის განმავლობაში ჩავატარეთ 803 შეხვედრა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და მივიღეთ პოზიტიური გამოხმაურება ჩვენ მიერ განხორციელებულ სათემო ინვესტირების პროგრამებზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ პირადი და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა პროგრამას და პროექტს.

480 მცირე ბიზნეს საწარმო დაარსდა სათემო განვითარების ინიციატივის ფარგლებში, მათ შორის 91 2014 წელს.

რას ვაპირებთ

გავაგრძელებთ არსებული სათემო ინვესტირების პროგრამების განხორციელებას და გადავდგამთ შემდგომ ნაბიჯებს იმ ადგილობრივი თემების მხარდასაჭერად, რომლებიც ამაჟამად მოხვდნენ SCPX პროექტის ზემოქმედების ზონაში.

გავაგრძელებთ შესაძლებლობების ამაღლებაზე მიმართული პროგრამების განხორციელებას.

გავაგრძელებთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა ჩვენი პროექტების და პროგრამების მეშვეობით.



ადგილობრივ თემთან თანამშრომლობა

ჩვენ რეგულარული კონტაქტი გვაქვს ჩვენი მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ თემებთან, რადგანაც დაინტერესებულები ვართ მათთან კონსტრუქციული ურთიერთობების შენარჩუნებაში.



სოფლის მოსახლეობამ BP-ისა და მისი პარტნიორების დახმარებით მცირე ბიზნესი წამოიწყო.

ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან

ჩვენ სისტემატური კავშირი გვაქვს ჩვენი მილსადენების სიახლოვეს მცხოვრებ თემებთან. BP ცდილობს შეინარჩუნოს პოზიტიური ურთიერთობები მილსადენების გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან. ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის მიზნები და კომუნიკაციის ფორმები აღწერილია ჩვენს „მოსახლეობასთან ურთიერთობის გეგმაში“. BTC/SCP და WREP მილსადენების გასწვრივ მდებარე სოფლები კატეგორიულად არის დაყოფილი მათი სოციალური და ეკოლოგიური მოწყვლადობის მიხედვით და რეგულარულად ვმართავთ შეხვედრებს ამ სოფლების მოსახლეობასთან.

ჩვენ გავაგრძელებთ თემებთან მჭიდრო ურთიერთობები, რომელთა ფარგლებში 800-ზე მეტი საკონსულტაციო შეხვედრა ჩავატარეთ მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებთან, ჩვენი მილსადენების გასწვრივ და მილსადენების ობიექტების სიახლოვეს მდებარე სოფლებში. ასეთი ინტენსიური ურთიერთობის წყალობით, კომპანიის სოციალური საკითხების ჯგუფის თანამშრომლები კარგად იცნობენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის აქტუალურ საკითხებს, ისმენენ მოსახლეობის პრობლემებს და აქვთ შესაძლებლობა, რომ მათ გადასცენ მნიშვნელოვანი ინფორმაცია უსაფრთხოების წესებისა და მილსადენების დერეფანში მოქმედი შეზღუდვების შესახებ. ჩვენი შეხვედრების მიზნობრივი ჯგუფები არიან სოფლის თავკაცები და რწმუნებულები,

ადგილობრივი მაცხოვრებლები, მომჩივნები და მიწის მესაკუთრეები. ჩვენ ასევე შევიმუშავეთ 2015 წლის სათემო კალენდარი, რომელიც შეიცავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მიწის მესაკუთრეებისთვის საჭირო ინფორმაციას მილსადენების დადგული უსაფრთხოების ზონებისა და გარემოს დაცვის მარტივი გზების შესახებ.

მოსახლეობასთან ურთიერთობები სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში

2014 წელს ჩვენ გავაგრძელებთ ურთიერთობა მოსახლეობასთან სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში. კერძოდ, გავმართებთ შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, გავაცანით ჩვენი გეგმები და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გავუზიარებთ. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ეკისრება ჩვენს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფს (CLOs), რომელიც ადგილობრივი თემების პრობლემების თაობაზე ინფორმაციას ისმენს და ამ პრობლემებზე რეაგირებას ახდენს, გარდა ამისა ამ ინფორმაციას პროექტზე მომუშავე თანამშრომლებს აწვდის და რჩევებს აძლევს მათ ამა თუ იმ დასახლებისთვის სპეციფიკური პრობლემების თაობაზე.

სოფელ მარტოთუბნის მცხოვრები BP-ისა და მისი პარტნიორების ფინანსური დახმარებით მოწყობილი სათბურში.

საჩივრებზე რეაგირება

ჩვენი საქმიანობა მრავალი სოფლისა და მუნიციპალიტეტის სიახლოვეს მიმდინარეობს და მიწის ნაკვეთებისადმი წვდომას და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, ზოგჯერ მოსახლეობას ჩვენ მიმართ პრეტენზიები უჩნდება. ჩვენ მესამე მხარეთა პრეტენზიებზე რეაგირების მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურა გაგვარჩევს, რომელიც ჩვენი მოსახლეობასთან ურთიერთობის სტრატეგიის ნაწილია.

2014 წელს 22 ახალი საჩივარი შემოვიდა ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც 2013 წელს მიღებულ 41 საჩივართან შედარებით ნაკლებია. 21 მათგანი დეტალურად იქნა შესწავლილი და 2014 წელს ამ საჩივრებთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარებული იქნა. შემდეგ კიდევ 7 საჩივართან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება შევძელით, რომლებიც 2013 წელს წამოჭრილ საკითხებთან იყო დაკავშირებული.

გადაწყვეტილ საჩივრებს შორის იყო ერთი, რომელიც 2013 წელს იყო შემოტანილი WREP-ის გასხვისების ზოლის გასწვრივ ხეხილის განადგურების გამო. ჩვენ დავიქირავეთ დამოუკიდებელი კონსულტანტი სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე და ინჟინრები, რათა მათ შეეფასებინათ არსებული პრობლემა, და მათ შეფასებაზე დაყრდნობით კომპენსაცია გადავუხადეთ დაზარალებულ მხარეს.

ჩვენ ვაკონტროლებთ, თუ რა დრო გვჭირდება საჩივრების მოგვარებისთვის, თუმცა ვითვალისწინებთ, რომ საჩივრის მოგვარების სისწრაფე შეიძლება მთლიანად ჩვენზე არ იყოს დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ორ თვეზე ნაკლებ დროში მოგვარდა საჩივრების 68%, ხოლო 2013 წელს ეს მაჩვენებელი 51% იყო.

საჩივრების სტატისტიკა

საჩივრის კატეგორია	2013		2014	
	შემოსული საჩივარი	დასრულებული საჩივარი	შემოსული საჩივარი	დასრულებული საჩივარი
დამატებით დაკავებული მიწის ფართობი	1	1	0	0
მეფუტკრეობასთან დაკავშირებული	3	3	0	0
ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტის დაზიანება	1	1	2	2
დასაქმება	1	0	3	3
მოსავლის დაზიანება/კომპენსაცია	0	0	11	10
კერძო ინფრასტრუქტურის დაზიანება	2	2	0	0
სადავო ინვენტარიზაცია/ კომპენსაციის თანხა	7	7	1	1
სარწყავი სისტემები	2	1	0	0
მიწის სარგებლობაში დაბრუნება/ მიწის აღდგენის ხარისხი	5	3	3	3
მისასვლელ გზასთან დაკავშირებული პრობლემები			1	1
მშენებლობით გამოწვეული დისკომფორტი	1	1	0	0
მიწასთან დაკავშირებული სხვა საკითხები	11	9	1	1
სხვა სოციალური საკითხები	7	6	0	0
სულ	41	34	22	21

ჩვენი პროგრამები

ჩვენ ვაფინანსებთ სოციალურ პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე არის მორგებული და, ამავე დროს, ჩვენს ბიზნესსაქმიანობასთან არის კავშირში.



▲ ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორია.



2014 წელს სოციალურ საინვესტიციო პროექტებზე დაახლოებით **\$3.3** მილიონი დაიხარჯა.

2003 წელს ჩვენ პირველად წამოვიწყეთ „სათემო განვითარების პროგრამა“, რომელიც დაკავშირებული იყო სამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან BTC/SCP მილსადენებზე. იმ დროიდან მოყოლებული ჩვენ პარტნიორებთან ერთად, მთელი რიგი პროექტების განხორციელებაში შევიტანეთ წვლილი საქართველოში, რომელთა მიზანია იყო ადგილობრივი თემების დახმარება, ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა, განათლების დონის გაუმჯობესება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა.

ინიციატივებს შორის იყო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ბიზნეს გარემოს ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებში მეწარმეებს რეგულირების ტვირთი შეუმსუბუქდათ და კორპორაციული მმართველობის პრინციპები გაუმჯობესდა; მოსახლეობამ მიიღო მეტი ინფორმაცია ენგო-ეფექტურობის საკითხებზე, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სადემონსტრაციო ენერგოეფექტური პროექტების განხორციელებამ; სამაგისტრო დონის სასტიპენდიო პროგრამის საშუალებით ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინათ

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში; გარემოს დაცვის სფეროში მიღწეულ ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გრანტები იქნა გამოყოფილი, რომელთა მიზანია იყო ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკების დანერგვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელების გზით. ეს მხოლოდ რამდენიმე პროგრამაა, რომელსაც ჩვენ მხარი დაუჭირეთ.

მხოლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში, ჩვენ და ჩვენი პარტნიორების მიერ \$20 მილიონზე მეტი დაიხარჯა სოციალურ საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე. ბევრ პროექტში ჩართული იყო სხვა მონაწილეებიც, მათ შორის ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები, რომელთაგანაც ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა დავამყარეთ, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ინვესტიციების ეფექტურობას.

მიმდინარე ინიციატივები

ჩვენ ვაგრძელებთ სხვადასხვა პროექტის მხარდაჭერას. 2014 წელს სოციალურ საინვესტიციო პროექტებზე დაიხარჯა დაახლოებით \$3.3 მლნ.

ჩვენი მიმდინარე სოციალური ინვესტიციების პროექტები

პროგრამული სფერო	პროექტის სათაური	პროექტის ამოცანები	განხორციელების ვადები	დაფინანსება (\$US მლნ.)*
მილსადენების მარშრუტის სახსოვრები	BTC/SCP და WREP მილსადენების მარშრუტების სახსოვრებს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა; პარტნიორები – საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები.	ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკური აპექტების გაუმჯობესება სამოქალაქო სამოგადოების კვალიფიკაციის ამაღლების, შემოსავლების გენერირებაზე ორიენტირებული საქმიანობის მხარდაჭერის გზით, სოფლის მეურნეობის და მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განვითარების მეშვეობით.	2003-დან დღემდე	20.5
ბიზნესის განვითარება	საქართველოში ბიზნეს გარემოს ხელშეწყობის პროექტი; პროექტის პარტნიორი – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.	მდგრადი კრძოლ სექტორის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი კომპანიების კონკრეტულწარმოების დონის ამაღლების, არსებული წარმატებული რეფორმების გატარების, გამრავლი გატარებისა და პარდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოიღების გზით; საკითხის მოგვარება, რომელიც ეხება საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მსხვილ ხარჯებს, რომელთა გაღება უწყვეტ ბიზნეს კომპანიებს დღე-ს ადმინისტრაციისთვის.	2014-17	0.4
	პროექტების მართვის კოლეჯი (PMC); პარტნიორები: ESI International და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.	მოფლადი დონის პროექტების შედეგების მომზადება, რათა მათ დახმარება გაუწიონ ადგილობრივი ბიზნეს სექტორის გაძლიერებას, დაეხმარონ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.	2009-17	2.3
ენერგო ეფექტურობა	განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის ინიციატივების განხორციელება საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში (RE&EE).	3 პროექტი ამ სფეროში: 1) „Energy Bus“ პროექტის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოს მასშტაბით; 2) RE&EE პროექტის მიზანია მცირესაზომიანი სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; 3) RE&EE პროექტები საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც შეუერთდნენ ევროკავშირის „მერების ხელშეკრულებას“.	2008-17	2.45
განათლება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაფინანსება.	რეგიონში ნიჭიერი სტუდენტების მხარდაჭერა დიპლომის შემდგომ ეკონომიკურ სწავლებასა და კვლევებში.	2006-დან დღემდე	2.4
	ინგლისური ენის ტრენინგი მედიის წარმომადგენელთათვის.	ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში.	2005-დან დღემდე	0.2
	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება: პარტნიორული პროექტი ფონდთან „პარტნიორობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის“ ერთად.	სამოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და დახმარება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების სფეროში საქართველოში.	2008-დან დღემდე	0.2
	თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან (NPC).	საქართველოს NPC-ის ოფიციალური პარტნიორის რანგში, კომიტეტის და სპორტსმენების გუნდის დახმარება მომზადებაში პარალიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.	2012-დან დღემდე	0.3

* BP და მისი პარტნიორების მიერ გამოყოფილი თანხა (US\$ მლნ.) – 2014 წლის ბოლოსთვის.

ადგილობრივი საწარმოების ხელშეწყობა

„ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივის“ (CDI) ფარგლებში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. 2012 წლის მაისში ინიციატივის მეოთხე ეტაპი დაიწყო, რომლის ძირითადი მიმართულებები უფრო მეტად არის მორგებული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე, რადგანაც დროთა განმავლობაში მოცემული პროგრამა იხვეწებოდა. CDI პროგრამი განხორციელდა 2003 წელს დაიწყო.

CDI-ს მეოთხე ფაზის მიღწევები

- 2014 წელს განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის 28 პროექტი, რამაც პროექტების საერთო რიცხვი 66-მდე გაზარდა.
- 7,962-ზე მეტმა ოჯახმა სარგებელი მიიღო რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურისგან.
- პროგრამის მცირე ბიზნესის განვითარების აქტივობების შედეგად ჯამში ჩამოყალიბდა 184 ბიზნეს კომპანია, აქედან 91 კომპანია დაარსდა მხოლოდ 2014 წელს. ამავე წელს 79 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.
- დაფინანსებული დამწყები საწარმოების პროექტების დაახლოებით 90%-მა რენტაბელურობას მიაღწია მათი გახსნიდან პირველ 12 თვეში.
- 2014 წელს 186 (სულ პროექტის ფარგლებში 483) მეწარმეს ჩაუტარდა ტრენინგი ბიზნესის მართვის, საბუღალტრო და ფონდების მოძიების საკითხებში.
- შეიქმნა 7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. 3 მათგანი უკვე მომგებიანია.
- სოციალური საწარმოები ასევე აწვდიან მომსახურებას ადგილობრივ მოსახლეობას და უკვე გამოიმუშავებენ მოგებას.

რეგიონების განვითარების ხელშეწყობა

ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივის მეოთხე ფაზა (CDI 4) მიზნად ისახავს პოზიტიური ურთიერთობის გაღრმავებას კომპანიასა და მილსადენების მარშრუტის სახსოვრებს მცხოვრებ მოსახლეობას შორის. პროგრამა მიმართულია სოციალური თანამშრომლობის, აგრარული წარმოებისა და რეგიონალური აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე მიმართული მდგრადი მოდელების დანერგვაზე. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია დახმარების გაწევა მცირე ბიზნესების დაწყებაში, რაც გულისხმობს ტრენინგების ჩატარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბიზნესის დაგეგმვა, ბაზრის ფუნქციონირების პრინციპები, „ღირებულების წარმოების ჯაჭვი“ („value chain“) ცნების განმარტება, პროდუქცია და ფასი, პროდუქტის ცნება და ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია, რეალიზაცია და მარკეტინგი.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა პროგრამების განხორციელების პროცესში

ჩვენი „ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივის“ (CDI) მეოთხე ფაზის განმახორციელებელ პარტნიორებად შევარჩიეთ ორი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი“ და „რეგიონალური განვითარების ასოციაცია“. მათ კონსულტაციას უწევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სააგენტო CARE, რომელიც ჩართულია CDI-ში მისი დაწყების მომენტიდან. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა მიზანმიმართული პოლიტიკაა, რომლის მიზანია დგილობრივი შესაძლებლობების განვითარება.

ბიზნესის განვითარების მოდელი

„ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივამ“ დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც სათემო განვითარების მოდელმა. 2014 წელს ჩვენ მოგვმართეს თხოვნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილისთვის გაგვეწვია კონსულტაცია და გაგვეზიარებინა სათემო განვითარების ინიციატივის განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილება, რაც მათთვის ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენდა სამინისტროს ახლად ჩამოყალიბებული „მეწარმეთა განვითარების სააგენტოს“ საქმიანობის და ხელშეწყობის პროგრამის დასაწყებად.

ეკონომიკის სამინისტროს ახალი ინიციატივა, რომელიც განხორციელების პროცესშია, CDI-ს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტის მოდელზეა აგებული.

CDI აგრეთვე მხარს უჭერს სოციალური საწარმოების დაარსებას, რომლებიც ხელს უწყობენ სათემო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ბიზნეს იდეების განვითარებას. ისინი მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის საჭირო სერვისების მიწოდებაზე. სოციალური საწარმოების შემოსავლები ისეთი პროექტების განხორციელებისთვის გამოიყენება, რომლებიც სასარგებლო იქნება ადგილობრივი თემისთვის მომავალშიც. დღესდღეობით ამ ტიპის 12 სოციალური საწარმოა შექმნილი.

CDI ასევე იმ სფეროებშიც ხორციელდება, რომლებიც WREP-ის პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცნენ. ამ სფეროებში განმახორციელებელი პარტნიორი საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციაა. აქ პროგრამის მიზანია 100-ზე მეტი ოჯახისთვის დახმარების გაწევა, რომელთა ტერიტორიაზე მილსადენი გადის. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირებისა და ახალგაზრდების დახმარება გათვალისწინებულია.

პროგრამა ეხმარება დამწყებ მეწარმეებს. 2014 წელს დამწყები ბიზნეს კომპანიებისთვის ჯამში 38 გრანტი გაიცა. ამჟამად უფრო პროფესიულად ხორციელდება ინიციატივის ფარგლებში შექმნილი საწარმოების ზედამხედველობა და დამატებითი ტრენინგებია გათვალისწინებული. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განკუთვნილ კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საზაფხულო ბანაკები დაარსდა. ამ ბანაკებში, სხვა საქმიანობასთან ერთად, გარემოს გაუმჯობესების მცირემასშტაბიანი პროექტების შემუშავებაც არის შესაძლებელი.

ახალგაზრდა ლიდერების ახალი თაობა

CDI-ს ფარგლებში 28 სათემო ორგანიზაცია (CBO) შეიქმნა. 10 მათგანი 2012 წლიდან ფუნქციონირებს. ყველა ახალი სათემო ორგანიზაციის მუშაობაში თემის ახალგაზრდა წევრები არიან ჩართულები. სათემო მუშაობისადმი ინტერესი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის კეთილი საქმის კეთების მოტივაცია უაღრესად მაღალია.

სათემო ორგანიზაციები საქმიანობის განხორციელებისას დაახლოებით ერთნაირ პრობლემებს აწყდებიან, განსაკუთრებით პროექტების საწყის ეტაპზე, როდესაც რთულია თემის დონეზე ფინანსების და კადრების მოზიდვა. ტრენინგის დროს სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია აბათიური განწყობების გადალახვა, რასაც ხშირად აქვს ადგილი ადგილობრივ მოსახლეობაში.

„გულუბრყვილოა იფიქრო, რომ თუ სამუშაოს შევასრულებთ, ჩვენი თანასოფლელები ბედნიერი გახდებიან, არ აქვს მნიშვნელობა თვითონ მონაწილეობდნენ თუ არა. სამწუხაროდ, ჩვენი დაკვირვებით იმ მოქალაქეებს, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა პროექტში, არ გაუჩნდათ თანამონაწილეობის განცდა და შესაბამისად, პასუხისმგებლობის გრძნობა პროექტის მიმართ“, აღნიშნა სოფელ საკირის ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზურაბ კაპანაძემ. მაგრამ ანგარიშებამ ადგილობრივ მოსახლეობასთან პროექტების განხორციელების დაწყებამდე, განხორციელების პროცესში, და მისი დასრულების შემდგომ, ძალიან შეცვალა ადგილობრივი მაცხოვრებლების განწყობები.

სოფელ ივლითაში, აგარასა და წინუბანში ახლად ჩამოყალიბებულმა სათემო ორგანიზაციებმა ძალიან ბევრი ოჯახის ჩართვა შეძლეს სათემო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული სხვადასხვა მოქმედების გამოყენების გზით და CDI დახმარებით სოციალური საწარმოები დააარსეს.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების გარდა, ყველამ გაიღო მატერიალური რესურსი პროექტის მხარდასაჭერად და აგროტექნიკის შესაძენად, რათა აგროსერვისები ყველა ჩვენთაგანისთვის ყოფილიყო დროულად მისაწვდომი. ამის შედეგად, ჩვენ უფრო მეტი ვალდებულება გვაქვს ჩვენი წევრების წინაშე, რათა გავამართლოთ მათი მოლოდინები ყველა სასოფლო-სამეურნეო სეზონის დროს“, აღნიშნავს გიორგი ქიმერიძე, აგარის სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

CDI4 გამოცდილებაზე დაყრდნობით, პროგრამის განმახორციელებელმა პარტნიორმა RDA-მ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ლიდერები, იმის მიუხედავად, თუ რამდენად გამოცდილი არიან, დიდი ნდობით სარგებლობენ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. სოფელი წინუბნის ერთი-ერთი ხანდაშული მაცხოვრებლის იური ხმაღაძის თქმით, ახალგაზრდების ჩართულობით პროექტებში სოფელი გაგილებით მეტ სარგებელს იღებს, ვიდრე სარეაბილიტაციო პროექტების ან მომსახურების მიღების შედეგად. „ამით ჩვენ ვახერხებთ ახალგაზრდების შენარჩუნებას სოფლად, რათა ისინი არ გადავიდნენ სხვაგან საცხოვრებლად. ამას კი, საბოლოო ჯამში, გაცილებით უფრო დიდი შედეგი მოაქვს სოფლისთვის, ვიდრე სუფთა წყალს ან ტრაქტორს“, განაცხადა მან.



რუსთაველმა ფერმერმა BP-სა და მისი პარტნიორების დახმარებით კურდღლების ფერმა დააარსა.

ჩვენ ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ CDI პროგრამა ითვალისწინებდეს მონაწილეების საჭიროებებს და შეიძლებოდა მისი ადაპტირება ცვალებადი გარემოებების შესაბამისად. 2013 წელს პროგრამა გაფართოვდა და მასში კიდევ 2 ახალი სასოფლო თემი იქნა ჩართული (სოფელი თორი ბოჯომის რაიონში და სოფელი ირაგა თეთრიწყაროს რაიონში), რომლებიც BTC/SCP-ის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარეობენ. შედეგად, აღნიშნული მილსადენების და CDI-ის არეალში მდებარე ადგილობრივი თემების საერთო რაოდენობამ 79 შეადგინა.

2013 წლის მაისიდან CDI-ის ინიციატივა იმ სოფლებში იქნა წამოწყებული, რომლებიც SCP სისტემის გაფართოების პროექტის შემოქმედების არეალში მოხვდნენ. ამ სოფლების საერთო რაოდენობა ამჟამად 18-ს შეადგენს.

ჩვენი მიზანია ავამაღლოთ პროექტის შესახებ ინფორმირებულობა და გავავლივით თანამშრომლობის სულისკვეთება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. დღეისათვის, 9 სარეაბილიტაციო პროექტია დაწყებული, რომელთა ფარგლებში ისეთი ინიციატივები ხორციელდება, როგორიცაა გადახურვა, სასმელი წყლის და სარწყავი სისტემები. ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირების პროცესში ჩართული იყო ჯამში 49 ფერმერი 12 ჯგუფი, დაარსდა 10 ახალი საწარმო.

სამომავლო გეგმები

BTC და SCP მილსადენების მიმდებარე ზონებში განხორციელებული პროგრამის დამოუკიდებელი შეფასება 2014 წელს დასრულდა და მთელი რიგი რეკომენდაციები შემუშავდა, რომლებსაც ჩვენ ვითვალისწინებთ. მათ შორისაა ისეთი რეკომენდაციები, როგორიცაა კერძო სექტორის მხარდაჭერის გაძლიერება დამწყები საწარმოებისთვის და დაფინანსების მოპოვება განვითარების ხელშეწყობაზე მიმართული პროექტების განხორციელებაში დაინტერესებული ინვესტორებისგან.

ზოგადად, შეფასებებში ბევრი რეკომენდაცია მოცემულია BTC/SCP პროგრამისთვის და ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება შემდგომი ინიციატივების შემუშავებას უფრო მეტი აქცენტით BP-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციებიდან ამონაგების მიღებაზე, და იმავდროულად სოციალური ამოცანების მიღწევის მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას.

ჩვენი დაკვეთით ჩატარდა WREP -ის არეალში მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის დამოუკიდებელი შეფასება. შეფასდა პროგრამის რელევანტურობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, ზემოქმედება, რენტაბელურობა და მდგრადობა. მთელი რიგი რეკომენდაციები იქნა შემუშავებული, მათ შორის ადგილობრივი და რეგიონული ბიზნესის მფლობელების მონაწილეობის შესახებ პროექტის შერჩევის პროცესში, და მათი როგორც საწარმოების პოტენციური მრჩეველების და მენტორების გამოყენება. შეფასებამ გამოავლინა, რომ BP-ს ყველა შესაძლებლობა აქვს კარგ ბიზნეს პრაქტიკას დაუჭიროს მხარი, სწრაფად მოერგოს ბაზრის ცვალებად პირობებს და განახორციელოს ინდივიდუალური საწარმოების თანანივესტირებაზე მიმართული პროგრამები.

შემოსავლის მიღება მცირე ბიზნესის განვითარების გზით

სოფელი ახალსოფელი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) დასახლებულია ეკომიგრანტებით გუდამაყრიდან (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). ადგილობრივი მაცხოვრებლების საარსებო წყაროები ძირითადად მეცხოველეობა და მარცვლეულის წარმოებაა.

მოცემული თემა არის ერთ-ერთი სამიზნე სოფელი, რომელიც მდებარეობს BTC/SPC მილსადენის აღმოსავლეთ სექციის გასწვრივ. წლების მანძილზე ეს იყო ყველაზე ნაკლებად აქტიური თემი. CDI 4-ის ფარგლებში მხოლოდ ერთი სამედონსტრაციო ფერმა დაარსდა კარტოფილის წარმოების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის სწავლების მიზნით. პროექტის სხვა სოციალური და ეკონომიკური კომპონენტები, როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მიღმა აღმოჩნდა.

2014 წელს, როდესაც დამწყები მეწარმეებისთვის გამოცხადდა მცირე გრანტების კონკურსის შესამე ტური, პროექტის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა, სადაც მათ აუხსნეს კონკურსის ვადები და პირობები, და მოსალოდნელი სარგებელი.

ორმა ახალგაზრდა ქალბატონმა წარმოადგინა განაცხადი, მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგ-ში და შემუშავეს კარგი სამუშაო გეგმა. მათი პროექტი გულისხმობდა ბაზრის გახსნას სოფელში, რომელიც არა მხოლოდ ახალსოფლის მოსახლეობას, არამედ მიმდებარე 3 სოფლის, ანუ გოხნარის, შირბითის და საფუძრების მოსახლეობასაც მოამარაგებდა, სადაც მანამდე არც ბაზარი იყო, და არც სურსათის მაღაზიები.

„ბაზრის გახსნა დიდი შვება იყო ჩვენთვის იმიტომ, რომ მანამდე მხოლოდ მობილური ბაზარი გვქონდა, რომელიც სოფელში კვირაში ორჯერ მოდიოდა. ჩვენ ხშირად ვერ ვახერხებდით პროდუქტის ყიდვას. ამჟამად, ეს პრობლემა ჩვენთვის მოგვარებულია“, ამბობს გივი ქავთარაძე, ადგილობრივი მოსახლე და ხშირი მყიდველი.



პროექტების მართვის კოლეჯის 2014 წლის კურსდამთავრებულთა სამეიმო ღონისძიება.

პროექტების მართვის კოლეჯი

პროექტების მართვის კოლეჯი (PMC), რომელიც 2009 წელს გაიხსნა BP-ს და მისი პარტნიორების – ESI International-სა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, მსმენელებს სთავაზობს შვიდი მოდულისგან შემდგარ სასწავლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ, მსმენელებს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატი ენიჭებათ. კოლეჯის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ პროექტების მართვის პროფესიონალის (PMP®) სერტიფიკატი, რომელსაც Project Management institute (PMI®) გასცემს.

აკადემიური კურსი მოიცავს ერთ წელზე გადნაწილებულ 24 სასწავლო დღეს. კოლეჯმა ფუნქციონირების პირველი 5 წლის განმავლობაში 252 მსმენელისგან შემდგარი 13 ნაკადი მიიღო, აქედან 215-მა კოლეჯი მაგისტრის სერტიფიკატით დაამთავრა, ხოლო 14-ს პროექტების მართვის პროფესიონალის სერტიფიკატი მიენიჭა.

კოლეჯის სტუდენტების კონტინგენტს შეადგენენ მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები 100-ზე მეტი სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მათ შორის არიან როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო კომპანიები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. BP და მისი პარტნიორები ორი მილიონი დოლარით აფინანსებენ კოლეჯს (ხელშეკრულების ვადის განმავლობაში), ხოლო „თავისუფალი უნივერსიტეტი“, თანადაფინანსების სახით, დამატებით 0,3 მილიონ დოლარს გამოყოფს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენი მიზანია ქართველი პროფესიონალების მომზადება, რათა მომავალში მთელი სასწავლო პროგრამა ქართველმა სპეციალისტებმა წარმართონ.

პროექტი კიდევ ორი წლის ვადით გაგრძელდა და დამატებით \$250,000 ოდენობის დაფინანსება იქნა გამოყოფილი. ეს საშუალებას მისცემს კიდევ 50 სტუდენტს ისწავლოს ინგლისურად და ქართულ ენაზე ითარგმნოს 7-ვე კურსის მასალა. აგრეთვე, დაფინანსდა ტრენერთა ტრენინგი უკვე ქართულ ენაზე არსებული პროგრამით.

ჩვენი საქმიანობის განვითარების პროექტების მხარდაჭერა რეგიონებში

ჩვენი სურვილია, რომ მოსახლეობამ მიიღოს სარგებელი, რომელიც უკავშირდება ჩვენს საქმიანობას მათ რეგიონში და ვაფინანსებთ ფართო სპექტრის პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებას ისახავს მიზნად.

ჯერ იყო კვერცხი

ღალი მამულაშვილი, რომელიც ხაშურის რაიონის სოფელ ვაკაში ცხოვრობს, WREP მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის (SBDP) ბენეფიციარია. მოცემული პროექტის მიზანია იმ მეწარმეების ხელშეწყობა, რომლებიც ახალი ბიზნესის ჩამოყალიბების პროცესში არიან.

ქ-ნმა ღალიმ მეფრინველეობის ფერმის ბიზნესი დაიწყო 60 წიწილით. თავიდან მისი საშუალო შემოსავალი თვეში 100 ლარს შეადგენდა. მაგრამ, ბაზრის კვლევის შედეგად, მან შეცვალა სტრატეგია და პარალელურად დაიწყო წიწილების მოშენება და გაყიდვა.

“SBDP ფარგლებში გავლილი ტრენინგის და მიღებული კონსულტაციების შედეგად, ჩვენ გავიარეთ ბაზრის შესწავლის მნიშვნელობა. ყველაფრის გაანალიზებამ მიიძღვა ჩამეტარებინა ბაზრის საჭიროებების და მიწოდების ანალიზი, და გადამეცინა ჩემი ბიზნესი უფრო მაღალ საფეხურზე. მე გავეცნობიერე არა მხოლოდ კვერცხის, არამედ წიწილების რეალიზაციის უპირატესობაც. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩემი თვეური საშუალო შემოსავალი გაიზარდა 100-დან 700 ლარამდე – პირდაპირი დაკვირვების, კვლევის და გოტა-ოდენი სიმამრის შედეგად. იმის მიუხედავად, რომ ეს ბიზნესი სეზონურია და მხოლოდ ზაფხულსა და შემოდგომაზე შემოსავლიანი, მე მაინც უზომოდ კმაყოფილი ვარ”.



პროექტების მართვის კოლეჯში დაარსებიდან 5 წლის განმავლობაში **252**-მა პროფესიონალმა დაასრულა სწავლა.



სოფელ ბურნაშეთის მცხოვრებმა BP-ისა და მისი პარტნიორების დახმარებით მაღაზია გახსნა.

განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება

რამდენიმე ნოვატორული პროექტის განხორციელების შემდეგ, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონებში ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ტექნოლოგიების პოპულარიზაციას, ჩვენ დავიწყეთ ახალი პროგრამა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ თვითმმართველობებს მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებაში დაეხმარება. მოცემული პროგრამა ხორციელდება საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრთან თანამშრომლობით და მოიცავს 23 მცირემასშტაბიან ინიციატივას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.

პროექტების ფარგლებში განხორციელდა ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული სამუშაოები. მაგალითად, მოხდა არაეფექტიანი შეშის ღუმელების ჩანაცვლება ენერგოეფექტური ღუმელებით, დამონტაჟდა ორმაგი მინაპაკეტიანი მეთალოპლასტმასის ფანჯრები, კარები და სახურავის იზოლაცია, გამოიცვალა განათების ნათურები და დამონტაჟდა მზის ფოტოგალვანური პანელები და თერმული სისტემები.

23-ვე პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები 2014 წლის ბოლოსთვის:

- დაიზოგა დაახლოებით 285,000 კვ/ს ელექტრო-ენერგია – რაც დაახლოებით 100 შინამეურნეობის წლიური მოხმარების ტოლია.
- დაიზოგა დაახლოებით 78,000 მ³ ბუნებრივი გაზი – რაც დაახლოებით 95 შინამეურნეობის წლიური მოხმარების ტოლია.
- წყლის დანაგოზი დაახლოებით 22,900 მ³.
- შეშის დანაგოზი – 150მ³.
- ღიზელის დანაგოზი დაახლოებით 3,625 ლიტრი.
- ნახშირორჟანგის გამონახოლქვის შემცირება დაახლოებით 370,000 კგ. CO₂ ეკვივალენტი – რაც დაახლოებით 55 შინამეურნეობის წლიური ემისიების ტოლია საქართველოში.
- 214,659 ლარზე მეტი ოდენობის ფინანსური დანაზოგი.
- 2,300-ე მეტი ბენეფიციარი.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ინიციატივების ფარგლებში, ჩვენ მრავალ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ.

SCPX-ის განხორციელების არეალში მოქცეულმა ფერმერებმა დაძლიეს არასასურველი კლიმატური პირობები

სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები SCPX-ის განხორციელების არეალის მახლობლად მდებარე სოფლებში საკმაოდ მოძველებულია. ადგილობრივი მაცხოვრებლები თავს იკავებენ საფერმერო მეურნეობების შექმნისგან და ხშირად მიზეზად არასასურველ კლიმატურ პირობებთან დაკავშირებულ რისკებს ასახელებენ. მოსავლის დაკარგვის შემთხვევების გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დანაკარგს ისეთი ბუნებრივი კატასტროფები იწვევს, როგორიცაა გვალვა, ყინვა, წყალდიდობა და სეტყვა, ადგილობრივი ფერმერები ხშირად საკუთარი მიწის ნაკვეთებს იჯარით გადასცემენ მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებს.

რეგიონული განვითარების ასოციაციის (RDA) სპეციალისტების მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას უფრო მეტი რწმუნა გაუჩნდა საკუთარი თავისადმი, და ბევრი დაუბრუნდა საკუთარი ნაკვეთების დამუშავებას შემოდგომამდე შემოსავლის მიღების იმედით. მაგრამ აპრილსა და მაისში უხვი ნალექი მოვიდა, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა ახალი უფრო პროდუქტიული კულტურების ახლად დარგულ ნერგები, რომლებიც RDA-ს დახმარებით იყო შეძენილი. არასასურველი კლიმატური პირობების საპასუხოდ, RDA სპეციალისტებმა უფრო ინტენსიური კონსულტაციები ჩატარეს და ასწავლეს ფერმერებს როგორ და რა დოზებით უნდა დაამუშაონ ნერგები, რათა არ მოხდეს მათი დაღობა.

პირველად 15 წლის მანძილზე ლევონ მიქაელიანმა სოფელ აბათხევიდან თვითონ დამუშავა საკუთარი მიწის ნაკვეთი და არ გასცა იგი იჯარით. „ამ გადაწყვეტილმა წყნად ძალიან გამიერო იმედი“, თქვა მან და დამატა, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა დაეკარგა ყველა მისი დანაშაუმი, რომელიც მან დახარჯა მიწის დამუშავებისთვის და გარდა ამისა, იმ შემოსავალსაც კარგავდა, რომელიც შეეძლო მიეღო მიწის ნაკვეთის იჯარით გაემის შედეგად.

„თვალს არ ვუყვრებდი, როდესაც ივნისში ნერგებმა გაიხარეს. ეს რომ წინათ მომხდარიყო, უფალს მადლობას შევწირავდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ეს ჩემი მოსავლის გადასარჩენად მიმართული ჩემი ცოდნის და ძალისხმევის სწორად გამოყენების შედეგია. ეს არა მხოლოდ მიღებული ინფორმაციაა, არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი თავის რწმუნა, რომელსაც იღებ ცოდნასთან ერთად“, დასძინა მან.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება

პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირის „მერების ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული საქმიანობის მხარდაჭერას. „მერების ხელშეკრულებას“ მიერთებული ქალაქების მუნიციპალიტეტებს ავლენს აქვთ ვალდებულება, რომელიც 2020 წლისთვის ნახშირორჟანგის ემისიების 20%-ით შემცირებას ითვალისწინებს, რაც ფართომასშტაბიანი ენერგეტიკული და გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების განხორციელებას მოითხოვს.

პროგრამა დააფინანსებს 8 მსხვილი სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას საქართველოს ქალაქებში, რომლებიც ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების პრაქტიკული მაგალითები იქნება და სტიმულს მისცემს სხვა პროექტების განხორციელებას. ამ მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მუნიციპალიტეტებში შეირჩევა საზოგადოებრივი შენობები, მაგალითად, სკოლები, ბაგა-ბაღები, სამედიცინო ცენტრები, სახელოვნებო და სპორტული სკოლები და ბავშვთა სახლები. თითოეულ ქალაქში დასაფინანსებლად შეირჩევა ერთი პროექტი, რომლის ინვესტიციის მოცულობა დაახლოებით 60 ათასი აშშ დოლარი იქნება.

დღეისთვის ოთხი პროექტი განხორციელდა სამ მუნიციპალიტეტში: გორი, თელავი და რუსთავი. დაწყებულია მუშაობა განსახორციელებელი პროექტების იდენტიფიცირების მიზნით სხვა მუნიციპალიტეტებში.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების პროექტი საქართველოში

მოცემულ პროექტს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ახორციელებს და მისი მიზანია მდგრადი კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერა ადგილობრივი კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდის გზით.

პროექტში 3 საკვანძო სფეროა გამოკვეთილი:

- საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება (პირველ რიგში დღგ).
- საბაჟო პროცედურების და სისტემების გამარტივება.
- ინვესტიციების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვა სავაჭრო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშესაწყობად.

პირდაპირი ბენეფიციარები ამ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო შემოსავლების სამსახური იქნებიან. დროთა განმავლობაში, გამარტივებული ადმინისტრაციული გარემო უფრო მეტ სარგებელს მოუტანს მოქმედ კომპანიებს.

ვაჭრობის და ინვესტიციების ხელშეწყობა

ჩვენ ვაფინანსებთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) საქმიანობას, რომელიც BP-ის მიერ 2004 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „ვალდებულების“ ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი 300 ათასი დოლარის ოდენობის გრანტით არის დაფუძნებული. EUGBC არის ბიზნესის ინტერესებზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზნებია:

- ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისება.
- საქართველოს, როგორც ინვესტიციების განხორციელებისა და ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმორჩენა ევროკავშირის ქვეყნებში და პოიქით.
- საბჭოს წევრების საერთო ბიზნეს ინტერესების გატარება და დაცვა.
- ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნესებს, მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოების წრეებს შორის კავშირების ხელშეწყობა.

ბიზნეს საბჭოს წევრები არიან: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ქართველ ექსპორტიორთა ასოციაცია.

2014 წელს EUGBC მიერ განხორციელებულ ინიციატივებს შორის იყო შეხვედრები საქართველოს მთავრობის, ევროკავშირის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ბიზნეს დელეგაციების ორგანიზება ევროპაში და სემინარების ჩატარება ვაჭრობის საკითხებში საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

პროგრამის შესახებ

„ჩვენი ტრენინგი ინგლისურ ენაზე იყო, თარგმანის გარეშე და ერთი კვირის გასვლის შემდეგ მიღებულმა შედეგებმა გამოავა“, ამბობს ბ-ნი დან მელისონი, ბრიტანეთის საბჭოს კურსების ხელმძღვანელი. „ჟურნალისტები ჩვენი ტრენინგ-პროგრამის დასრულების შემდეგ აღჭურვილი იყვნენ ცოდნით ონლაინ ინსტრუმენტების, დოკუმენტების და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, რომლებიც ონლაინ ფორმატშიც არსებობს. ეს ყველაზე წარმატებული კვირა იყო, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნაყოფიერი იყო თითოეული მონაწილისთვის“.

იმ დამსწრეთა გამოხმაურებებიდან, რომლებიც შეურთდნენ პროგრამის ელემენტარული ან შუალედური ინგლისური ენის დონეებს, შევითვით, რომ სტუდენტებს მოეწონათ ჩვენი სასწავლო პროგრამა და მათ ის დაახასიათეს, როგორც ნაყოფიერი და საინტერესო.

„ყოველი გაკვეთილის შემდეგ, ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ სახლში ვბრუნდებოდი ახალი სიტყვების და ფრაზების ცოდნით, და ახალი გამოცდილებით“, ამბობს ქ-ნი სოფიო თოდუა. „მე მომეცა საშუალება გამეუმჯობესებინა ცოდნა არამხოლოდ ინგლისურ ენაში, არამედ გუნდურ მუშაობაშიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის“.

ქ-ნი თამილა ჩანტლაძე, BP საქართველოს კომუნიკაციის გუნდის ხელმძღვანელი, BP-ს მხრიდან პროგრამის ხელმძღვანელი: „ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთა აზრით BP-ს მიერ დაფინანსებული ინგლისური ენის ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის პროფესიაში წარმატების მისაღწევად. ტრენინგი მათ რეალურ შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ სხვადასხვა მედიაარხები, პროცესი, გააზიარონ ინფორმაცია და დაუკავშირდნენ ადამიანებს მთელ მსოფლიოში“.

ენის ტრენინგ-პროგრამა ქართველი ჟურნალისტებისთვის „ინგლისური მედიისთვის“ ძალიან მოთხოვნილი პროგრამაა, რომელშიც მონაწილეობა თბილისისა და რეგიონების

300 -მდე ჟურნალისტმა მიიღო.



ჟურნალისტების სერტიფიკატებით დაჯილდოვება ტრენინგ-პროგრამის „ინგლისური მედიისთვის“ წარმატებით დასრულებისთვის.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, თბილისი

განათლების მხარდაჭერა ყოველთვის იყო ჩვენი ინიციატივების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საქართველოში. ამ კომპონენტში შედის სასკოლო და უმაღლესი განათლების, და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენ ვაგრძელებთ თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ფინანსურ მხარდაჭერას. სკოლა მიზნად ისახავს რეგიონის მასშტაბით, სწავლებისა და კვლევის უმაღლესი სტანდარტების დანერგვას ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში.

2014 წელს ჩვენ გავაგრძელებთ ხელშეკრულება ISET-თან, რათა მათ განავითარონ ადამიანური რესურსების ეკონომიკის სპეციალობა, მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში. ეს პროგრამა მოამზადებს სტუდენტებს ანალიტიკოსის კარიერისთვის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა შრომის ბაზრის რეგულირება, ჯანდაცვა და განათლების რეფორმა საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

მედიის შესაძლებლობების განვითარება

ენის ტრენინგ-პროგრამა ქართველი ჟურნალისტებისთვის „ინგლისური მედიისთვის“ ძალიან მოთხოვნილი პროგრამაა, რომელშიც მონაწილეობა თბილისისა და რეგიონების 300-მდე ჟურნალისტმა მიიღო 2005 წელს მისი დაარსების შემდეგ პროგრამას BP-ს ფინანსური დახმარებით ბრიტანეთის საბჭო ახორციელებს.

ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ სასწავლო პროგრამა თანადროული იყოს. შარშან პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეეძლოთ ტომსონის ფონდის ლექტორების ლექციებზე დასწრება. ტომსონის ფონდი მედიის განვითარების ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც ორმოცდაათწლიანი ისტორია აქვს ჟურნალისტებისთვის ტრენინგების ჩატარების სფეროში. კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ბლოგები, სოციალური პლატფორმები, ადამიანის შექმნილი და სოციალური მედია-კონტენტის გადამოწმება, და მონაცემთა ჟურნალისტიკა. ტრენინგის დროს ჟურნალისტებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ციფრული რჩევები და ინსტრუმენტები დროის გრაფიკების, რუკების, პანორამების, ანოტირებული სურათების და სხვა მულტიმედიაური კონტენტის შესაქმნელად.

ჩვენი პარტნიორი და ანგარიშგება

ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ მტკიცე პარტნიორობა შევქმნათ საქართველოში, დამაყვაროთ მყარი ურთიერთობები ხელისუფლებასთან, მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, მომწოდებლებთან და ადგილობრივ თემებთან, რომლებიც ურთიერსასარგებლოა ყველა მხარისთვის.

ჩვენ დაინტერესებულ მხარეებად განვიხილავთ ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, რომელთაც რაიმე ფორმით ზეგავლენას ახდენს ჩვენი საქმიანობა, იქნება ეს ჩვენი საქმიანობა როგორც ენერგოკომპანიისა, დამსაქმებელისა თუ იმ კომპანიის სტატუსით, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

თანამშრომლები

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში ჩვენი თანამშრომლების რიცხვი იზრდება და ამჟამად 530-ს აჭარბებს. ჩვენ თანმიმდევრულად ვზრდით საქართველოს მოქალაქეების ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში. ამ მაჩვენებელმა 2014 წელს საშუალოდ 96% შეადგინა, რაც სავსებით პასუხობს ჩვენს გეგმებს, რომლებიც ადგილობრივ ენერგოკომპანიაზე ჩამოყალიბებას უკავშირდება. თუმცა, ადგილობრივ კომპანიაზე ჩამოყალიბება მხოლოდ თანამშრომელთა რიცხვის ზრდას არ გულისხმობს. ჩვენ უზრუნველყოფთ ადგილობრივი თანამშრომლების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა მათ შემდეგ ხელმძღვანელი პოზიციები დაიკავონ. ჩვენ გაგვანჩია ტრენინგებისა და კადრების პროფესიული განვითარების ვრცელი პროგრამა. ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს თანამშრომლებს მიეცეთ BP-ში საინტერესო და ნაყოფიერი კარიერის შექმნის შესაძლებლობა.

ხელისუფლების ორგანოები

ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ყველა დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ვმუშაობთ კონკრეტული დასახლებების პრობლემებზე, ხოლო ზოგად სტრატეგიულ საკითხებს ქვეყნის ცენტრალურ მთავრობასთან განვიხილავთ. ჩვენ მუდმივად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა მარეგულირებელ ორგანოსთან ნებართვებისა და ლიცენზიების მისაღებად, აგრეთვე მათი მხრიდან ჩვენი საქმიანობის მონიტორინგის განსახორციელებლად. ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ სპეციალიზებულ სამთავრობო უწყებებთან, როგორცაა მაგალითად, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც BTC/SCP მილსადენებს უშიშროების დაცვას უზრუნველყოფს.

ჩვენ ვთანამშრომლობთ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსთან, საჭიროების მიხედვით, რათა ჩვენი საქმიანობა წარგმართოთ შეუფერხებლად, იცინდენტების გარეშე და მაღალი სტანდარტების დაცვით. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 174 ქვეყანას შორის 50-ე ადგილს იკავებს. სამთავრობო უწყებებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ BP-ის „ქვეყნის კოდექსით“, რომელიც გვაწვდის მსოფლიოს, რომ ყველაწინაპირი ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლებასთან და მარეგულირებელ ორგანოებთან წარგმართოთ კეთილსინდისიერად, პატიოსნად და გამჭვირვალედ.

საქართველოს ბიზნეს სექტორი

ჩვენ ვთანამშრომლობთ მთელ რიგ ბიზნესებთან და სამრეწველო ჯგუფებთან, ვუზიარებთ მათ გამოცდილებას, ვახორციელებთ ერთობლივ პროგრამებს და ხელს ვუწყობთ მოწინავე პრაქტიკის დანერგვას. ჩვენ ვართ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა და ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი და მრავალ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ ორმხრივი ინიციატივების ფარგლებში.

ჩვენი პარტნიორები და კონტრაქტორები


ჩვენი ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ თითქმის არასდროს ვმოქმედებთ იზოლირებულად. ჩვენი უსაფრთხო და საიმედო ოპერაციები დამოკიდებულია მომწოდებლების, კონტრაქტორებისა და პარტნიორების შესაძლებლობებსა და წარმატებულ საქმიანობაზე. ჩვენ მათ ვუწყებთ მუშაობის სტანდარტებს, რომლებსაც ავსახავთ მათთან გაფორმებულ იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებებში, ტრენინგებისა და აქტიური კომუნიკაციის მეშვეობით ვცხადებთ მუშაობის პრაქტიკის დახვეწაში. ვაგრძელებთ მუშაობას ადგილობრივი კონტრაქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, დასაქმების პოლიტიკისა და სოციალური საკითხების მართვის სფეროებში. საქართველოში ჩვენმა ინვესტიციებმა არაერთ ადგილობრივ კომპანიას შეუქმნა ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

პარტნიორებთან ერთად ვაფინანსებთ ინიციატივებს, მათ შორის, მთელ რიგ სოციალურ პროგრამებს, რომლებიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს.


ადგილობრივი მოსახლეობა

გასული წლების განმავლობაში ჩვენ კონსტრუქციული ურთიერთობა ჩამოვიყალიბეთ ჩვენი მილსადენებისა და ობიექტების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობასთან. ჩვენი სოციალური პროგრამები გათვლილია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, ინფრასტრუქტურის ობიექტების კეთილმოწყობა, განათლება, გარემოს დაცვა, ახალგაზრდა თაობის უნარების განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისი რეგიონალური სისტემატური კავშირი იქონიონ მილსადენების მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან, ეცნობიან მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ჩვენი ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან



რას ვაშუქებთ



ჩვენ ვაშუქებთ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია გარე საზოგადოებისთვის და ამავდროულად კავშირშია ჩვენს შიდა პრიორიტეტებთან

ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი გვცხმარება, რომ უკეთ განვსაზღვროთ, რაში გამოიხატება ჩვენი საქმიანობით გამოწვეული პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამის ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი ჩვენი საქმიანობისთვის, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ პროექტებთან კავშირში, როგორცაა სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, რადგან ახალ პროექტებს თან ახლავს ლოკალური მასშტაბის ცვლილებები, მათ შორის არის, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი მომწოდებლებისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების გაჩენა, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ხელშეწყობა. თუმცა, მეორე მხრივ, პროექტების განხორციელებას შეიძლება თან ახლდეს გარკვეული არასასურველი ცვლილებები, მაგალითად, ტრანსპორტის გახშირებული მოძრაობა გზებზე, ცვლილებები მიწათსარგებლობაში, შეცვლილი ლანდშაფტი, მტკნარი წყლის მოხმარების ზრდა და შიდა მიგრაციის დონის ცვლილება. ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე შევამციროთ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება.

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

ჩვენ სისტემატურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. რამდენიმე მათგანმა ჩვენი დახმარებით გაიფართოვა გამოცდილება და აიმაღლა კვალიფიკაცია. ჩვენ შევიმუშავეთ სტრატეგია, რომლის თანახმად, ჩვენი სოციალური პროგრამის რამდენიმე წამყვანი კომპონენტის განმხორციელებელ პარტნიორებად შევარჩიეთ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი პროგრამების მეშვეობით, არასამთავრობო ორგანიზაციები იძენენ გამოცდილებას ისეთ სფეროებში, რომლებიც აქტუალურია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორისაა, საგზაო უსაფრთხოება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. ჩვენ ხელს ვუწყოთ მედიის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მაგალითად, ჟურნალისტებს ჩავუტარეთ გაცნობითი კურსი ენერგეტიკული სექტორის საფუძვლებში.

ვაგრძელებთ თანამშრომლობას „ბრიტანეთის საბჭოსთან“, მედიის წარმომადგენლებისთვის ინგლისური ენის სწავლების პროექტის ფარგლებში. ჩვენ ვართ რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი წევრი, მათ შორისაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა და პროექტების მართვის კოლეჯი. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით, ეს სასწავლებლები აგრძელებენ მაღალკვალიფიკირებული სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც მზად არიან დაიმკვიდრონ კუთვნილი ადგილი საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.

ჩვენი ანგარიშგება

ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ ჩვენი ანგარიშგების სისტემას ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეებისთვის და რომელთა შეუძლია გავლენის მოხდენა ჩვენს უნარზე შევასრულოთ ჩვენი მიერ დასახული სტრატეგია. ჩვენი პარტნიორებისგან მიღებული მონაცემები წლის მანძილზე გვცხმარება გავაუმჯობესოთ ჩვენი მიდგომა ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ანგარიშის გამოცემამდე, BP საქართველოს მაღალი რანგის ხელმძღვანელები იხილავენ მის შინაარსს, რათა შეამოწმონ, რომ ანგარიშში ასახული იყოს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გამოთვლები არ იყოს რომელიმე სასარგებლო მონაცემი.

2014 წელს შეფასდა ის საკითხები, რომლებიც დაინტერესებული მხარეებისთვის ყველაზე მაღალი ინტერესის საგანი იყო და ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა BP საქართველოსთვის:

SCP სისტემის გაფართოების პროექტი

- მიწის შეძენა და ნებართვების გაცემა
- ურთიერთობები სამთავრობო უწყებებთან
- ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან

მიმდინარე ოპერაციები

- საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩუნება
- უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნება
- კონტრაქტორების რისკების მართვა

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)

- მილსადენის ფიზიკური მთლიანობა
- მილსადენის უსაფრთხოება (უკანონო მიერთებები)
- სექციური ცვლილების პროექტი

ჩვენ შევეცადეთ ყველა აღნიშნული თემა გავვეშუქებინა მოცემულ ანგარიშში.

BP საქართველო ციფრებში

ჩვენი მაჩვენებლები შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, კადრების მართვის და კომერციული საქმიანობის სფეროებში, 2010-2014 წლებში.

საქართველოში განხორციელებული ოპერაციები

31 დეკემბრის მდგომარეობით

შრომის უსაფრთხოება	2010	2011	2012	2013	2014
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC) ^ა – პერსონალი ^ბ	0	0	0	2	0
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF) მხოლოდ ტრავმები ^ბ – პერსონალი	0	0	0	0.11	0
აღრიცხვადი პროფესიული ავადმყოფობისა და ტრავმების შემთხვევები ^ბ – პერსონალი	0	1	1	2	1
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF) ^ა	0	0.07	0.06	0.11	0.05
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა ^ბ	5	9	6	6	7
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე ^ბ	0.71	1.12	0.66	0.63	0.90
ნამუშევარი დრო ^ა – პერსონალი	3,108,395	3,066,299	3,400,626	3,725,561	3,974,956
გავლილი კილომეტრები ^ა	7,077,498	8,055,182	9,152,233	9,482,753	7,751,396
გარემოს დაცვა^ა					
ნახშირწყალბადების დაღვრის შემთხვევების რაოდენობა ^ა	2	0	0	0	1
დაღვრილი ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	25,454	0	0	0	12,300
დაკარგული ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	3,700	0	0	0	7,300
პირდაპირი ნახშირორჟანგი (CO ₂) (ტონა)	255,321	277,183	266,887	251,802	248,903
პირდაპირი მეთანი (CH ₄) (ტონა)	325	339	315	320	311
პირდაპირი სათბურის აირები (BP-ის წილი) (CO ₂ -ის ეკვივალენტი ტონებში)	79,122	85,765	83,013*	78,471	78,129
გოგირდის ორჟანგი (SO _x) (ტონა)	90	78	79	80	49
აზოტის ოქსიდები (NO _x) (ტონა)	2,116	2,017	1,963	1,955	1,518
არამეთანური ნახშირწყალბადები (NMHC) (ტონა)	1,204	1,212	1,166	1,171	1,180
განთავსებული სახიფათო ნარჩენი (მ ³)	545	643.5	480.8	537.2	608.4
განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა) ^ბ	335	316	394.6	364.9	388.8
თანამშრომლები					
BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	398	438	490	504	537
საქართველოს მოქალაქეები BP საქართველოს თანამშრომელთა შორის (%)	96	95	94	94	97
საქმიანობის მაჩვენებლები					
ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა (მლნ. ბარელი ნავთობის ეკვივალენტი)	346.5	313.8	300.7	308.8	333
სოციალური ინვესტიციები (\$ მლნ.) ^ა	8.2	3.4	2.2	3.7	3.3

* 2013 წლის აგარიში შესული მაჩვენებელი 93,013 ჩასწორებულია 83,103-ით.

SCPX პროექტის მარჯვენა გვერდი

31 დეკემბრის მდგომარეობით

შრომის უსაფრთხოება	2013	2014
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	–	0
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC) – პერსონალი	1	0
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF) მხოლოდ ტრავმები – პერსონალი	0.29	0
აღრიცხვადი პროფესიული ავადმყოფობისა და ტრავმების შემთხვევები – პერსონალი	2	1
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF)	0.59	0.12
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა	1	2
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე	–	0.31
ნამუშევარი დრო – პერსონალი	–	1,664,998
გავლილი კილომეტრები	–	1,281,105
გარემოს დაცვა		
ნახშირწყალბადების დაღვრის შემთხვევების რაოდენობა	–	0
დაღვრილი ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	–	0
დაკარგული ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	–	0
განთავსებული სახიფათო ნარჩენი (მ³) ¹	–	0
განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა)	–	132
თანამშრომლები		
საერთო რაოდენობა (კონტრაქტორი თანამშრომლების ჩათვლით)	32	530

შენიშვნები: ¹ გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWR): სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმა ან ავადმყოფობა, რომლის შედეგად დგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე გარემოება: - BP-ის თანამშრომელმა ვერ შეძლო მუშაობა, ტრავმის ან ავადმყოფობის გამო, ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში, მოუხდევად იმისა, იგვემბოდა თუ არა მისი მუშაობა სამუშაო გრაფიკის მიხედვით. - ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მოუხდევად, რომ თანამშრომელი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე. ² BP-ის პერსონალში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი. ³ DAFWCF: გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე: BP-ის პერსონალის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. BP-ის კონტრაქტორების პერსონალის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. ⁴ აღრიცხვადი პროფესიული ტრავმები და ავადმყოფობა: აშშ-ის შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების ადმინისტრაციის (OSHA) სტანდარტის მიხედვით, აღრიცხვადობას განაპირობებს კრიტერიუმების ორი ჯგუფი: ზოგადი და კონკრეტული. თუ ავადმყოფის ან ტრავმის შემთხვევა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებიდან რომელიმეს, მაშინ ის აღრიცხვად შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. ზოგადი: დაღუპვა; გაცდენილი სამუშაო დღე (დღეები); შრომის შესრულები უნარი ან სხვა სამუშაოზე გადადგანა; სამედიცინო დახმარების საჭიროება, პირველადი დახმარების გარდა; გონების დაკარგვა; ექიმის ან ლიცენზირებული სამედიცინო პერსონალის მიერ დიაგნოსტიკური სერიოზული ტრავმა ან ავადმყოფობა. კონკრეტული: ნახშირი ნეშით ან ისეთი ბასრი სამედიცინო იარაღით მიღებული ჭრილობა, რომელიც დაბინძურებულია სხვა ადამიანის სისხლით ან პოტენციური ინფექციის მატარებელია; სამუშაოდან ჩამოშორება სამედიცინო მიზეზებით, შთაფრთხილის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით; პროფესიული საქმიანობით გამოწვეული სმენის დაქვეითება (სმენის სიმახვილის ტესტმა უნდა უქვენოს 10 დეციბელის სხვაობა მიმდინარე ფონურ მარცხენებელთან შედარებით, ხოლო სმენის დაქვეითების ჯამური მარცხენებელი 25 დეციბელით ან მეტით უნდა აღემატებოდეს აუდიომეტრულ ნულს).		
⁵ აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში BP-ის თანამშრომლების მიერ ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. კონტრაქტორი: BP-ის კონტრაქტორების პერსონალის აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში BP-ის კონტრაქტორების მიერ ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. ⁶ ავტოსატრანსპორტო შემთხვევები: საშასხურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მთავარ ან მეორად გზებზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რომელიც იწვევს სხეულის დაზიანებას, ზარალს/ზიანს, გარემოზე მიყენებულ ზიანს, მოუხდევად იმისა, პირდაპირ ესება თუ არა BP-ს და/ან მის კონტრაქტორს თუ რომელიმე მესამე მხარეს, ან შეიძლება თუ არა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ეს არ მოიცავს ყველა იმ ავტოსატრანსპორტო შემთხვევას, როგა: - BP-ის თანამშრომლის ავტოსატრანსპორტო საშუალება კანონიერად იყო გაჩერებული; - ავტოსატრანსპორტო საშუალება მოძრაობდა მძღოლის სახლიდან სამუშაო ადგილამდე ან პირიქით მიმართულებით. - მიყენებულია მცირე დაზიანება ან გვითა (მაგ., საქარე მინაზე კენჭის მოხვედრა, შეღებვის ფენის მცირე დაზიანება). - ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია ქურდობის ან ვანდალიზმის აქტის მიზეზით. - კომპანიის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოყენებულია არასამუშაო მიზნებით (მაგ., პირად საქმეზე ან სამსახურისგან თავისუფალ დროს). ⁷ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე (TVAR): მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე. ⁸ ნამუშევარი დრო: BP-ის პერსონალის მიერ ნამუშევარი საათები იმ დანაყოფის შემადგენლობაში, რომელიც ანგარიშების საგანს წარმოადგენს. ⁹ გავლილი კილომეტრები: BP-ის ან კონტრაქტორების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, მათი პერსონალის მიერ საშსხურებრივი მიზნით გავლილი კილომეტრების რაოდენობა. მასში შედის საშსხურებრივი დანიშნულებით, ნაქირავები/იჯარით აღებული ან კერძო ავტოსატრანსპორტით გავლილი კილომეტრების რაოდენობა.	⁴ ყველა გარემოსდაცვითი მარცხენებელი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გაფრქვევების სრულ მოცულობას, გარდა „სათბურის აირების პირდაპირი გაფრქვევის წილობრივი მარცხენებისა“, რომელიც უჩვენებს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომელშიც BP-ს წილობრივი მონაწილეობა გააჩნია. ⁵ ნახშირწყალბადების დაღვრა: ერთი ბარელი (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) მოცულობის ნებისმიერი თხევადი ნახშირწყალბადის დაღვრა. პირველადი გარსაცმის ჰერმეტიკულობის დარღვევა არის მასალების არაგვემართი და უკონტროლო გაღწევა პირველადი გარსაცმიდან. ⁶ არასახიფათო ნარჩენი მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, საკვების ნარჩენებს, მინისა და სხვა მასალების ნარჩენებს, რომლებიც მორად გადაუმუშავებს არ ექვემდებარება. ⁷ ეს ციფრები გამოსახავს BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ გადახდილ „ნაღდ“ თანხებს, მათ შორის, BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ ფარგლებში გააცემულ თანხებს. BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, შესაბამისად, BP საქართველოს 2005 და 2006 წლების „მდგრადი განვითარების ანგარიშები“. ⁸ სახიფათო ნარჩენების განთავსება არასოდეს მომხდარა. სახიფათო ნარჩენები ამჟამად სამშენებლო ობიექტებზე ინახება.	

გამოყენებული ტერმინები და დამატებითი ინფორმაცია

BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვალდებულებებისა და საქმიანობის შესახებ – ჯგუფის, ქვეყნებისა და ცალკეული საწარმოების დონეზე, ელექტრონული ფორმით. კომპანიის ვებსაიტის დამთვალიერებლებისათვის შექმნილია აგრეთვე ამ ინფორმაციის მოსაძებნი ინტერაქტიული რუკა.

BTC

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი

CBO

სათემო ორგანიზაცია

CDI

ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივა

CO₂

ნახშირორჟანგი

DAFWC (f)

შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე)

EDDF

ნავთობის ავარიულად ჩამოსაცლელი ობიექტი

EMS

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა

EU

ევროკავშირი

EUGBC

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

ESIA

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

GHG

სათბურის აირი

HSE

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა

IDP

იძულებით გადაადგილებული პირები

IEC

დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი

IFC

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

ISET

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

Mmboe

მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი

Mmscf

მილიონი სტანდარტული კუბური ფუტი

NGO

არასამთავრობო ორგანიზაცია

PMC

პროექტების მართვის კოლეჯი

PSG

ნავთობსაქანი სადგური საქართველოს ტერიტორიაზე

SCP

სამხრეთ კავკასიური გამსადენი

SCPX

სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტი

WREP

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (იგივე, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი)

ანგარიშგება BP ჯგუფის დონეზე

ჩვენი მდგრადი განვითარების ანგარიშგების პროცესის განუყოფელი ნაწილია ჩვენი ვებგვერდი bp.com/sustainability, რომელიც შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მრავალ სხვადასხვა საკითხზე. ვებგვერდი ასევე შეიცავს დეტალურ ინფორმაციას და ინსტრუმენტულ საშუალებებს, რომლითაც შესაძლებელია გაანალიზდეს ჩვენი მიერ გაწეული საქმიანობა გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროებში. გასული ათწლეულის მონაცემების ხილვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატის გრაფიკების სახით. ასევე მოცემულია პრაქტიკული მაგალითები იმის თაობაზე, თუ როგორ ვახორციელებთ სხვადასხვა საკითხების მართვას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, სადაც ჩვენი კომპანიაა წარმოდგენილი.

BP-ს მდგრადობის მიმოხილვის 2014 წლის ანგარიშში შეჯამებული სახით ხელმისაწვდომია არაბულ, ინგლისურ, ჩინურ, გერმანულ, ესპანურ, პორტუგალიურ და რუსულ ენებზე.

 BP.com/translations

ცალკეული ქვეყნებისა და საწარმოების ანგარიშგები

ჩვენ ვაქვეყნებთ ანგარიშებს ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგოლასა და აზერბაიჯანში. გარდა ამისა, გავაჩნიათ ოცდაათამდე მსხვილი საწარმოსა და ობიექტის მდგრადი განვითარების ანგარიშების არქივი.

 BP.com/countrysustainabilityreports

გამოხმაურება

თქვენი აზრი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე: bpgeosust@bp.com

BP საქართველო, თბილისი 0160, ს. ცინცაძის ქ. #24

BP საქართველოს გასული წლების „მდგრადი განვითარების ანგარიშების“ გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: bpgeorgia.ge

მადლობა

დიზაინის ავტორი: ბესიკ დანელია, *IB Design*
ფოტომასალის ავტორები: გელა ყაველაშვილი, „ინტერნუი“, ჯონ ჩალიკოძი